# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, 28 ნოემბერი, № 47 (2775) გამოცემის 59-ე წელი, 1990 ფასი 20 კაპ.





## მოვუხმოთ!

დღეს გიორგობაა — წმიდა დიდმოწამისა და ძლევამოსილი გიორგის დღე — ქართველი ხალხის ტრადიციული რელიგიური დღესასწაული.

წმიდა გიორგის კულტი ალბათ იმიტომაცაა მეტად პოპულარული, რომ ხალხი მას ქვეცნობიერად მუდამ მესიასთან აიგივებდა.

მართლაც, წმიდა გიორგი მხსნელია, ბოროტების დამთრგუნველია, ნათლის მომძლენელია, ბნელის განმქარვებელია.

სიმბოლოს დიდი ძალა აქვს, ხშირად ძალა—პროვიდენციალური, განგებითი, ბედისწერული: ხომ გიორგობისთვეს მოგვეცა საქართველოს აღდგინების ნიშანი.

გიორგიანთა ბედი გიორგი ძლევამოსილის მახვილმა უნდა გადაწყვიტოს.

ბნელეთის მპყრობელი გველეშაპი უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებს, ახალ მსხვერპლს ითხოვს.

ხალხი — მსხვერპლის გაღებით სისხლგამშრალი და მოთმინების ფიალაავსებული — წმიდა გიორგის მოუხმობს.

თუკი მოვუხმობთ, აუცილებლად მობრძანდება თეთრი მხედარი.

მაშ, მოვუხმოთ, მოვუხმოთ დღეს — წმიდა გიორგობას.

ის აუცილებლად გაიგონებს წმიდა სანთელთან ჩურჩულით ამოთქმულ ვედრებას.

მოვუხმოთ!

## აღსრულდა!

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის ინიციატივით სამშობლოში ჩამოასვენეს საქართველოს უკანასკნელი მონარქის სოლომონ მეორის ნეშტი; ცხედარი იმ ქართველი მეფისა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ქვეყნის, ერის თავისუფლებისათვის ბრძოლას შეალია. მისი სიცოცხლე სამშობლოს ბედ-იღბალივით ტრაგიკული აღმოჩნდა, არსთაგანმრიგემ სამუდამო განსასვენებელიც საქართველოს გარეთ განუწესა. ორმოცდაერთი წლისა ტრაპიზონში გარდაიცვალა, სიკვდილის წინ ისურვა, ქართულ მიწაში დამაბრუნეთო. ანდერძი მხოლოდ 175 წლის შემდეგ აღუსრულა შთამომავლობამ.



18 ნოემბერს, 26 მაისის სახელობის სტადიონზე თბილისელები მირონცხებული მეფის ნეშტს შეეგებნენ, სიონის საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ წირვა-ლოცვა აღავლინა.

ქართველმა ხალხმა პატივი მიაგო სოლომონ მეორის ცხედარს სვეტიცხოვლის ტაძარში, შემდეგ პროცესია ერთი ღამით გორში შეჩერდა. საბოლოოდ კი გეზი ქუთაისისკენ აიღო...

დღეს, გიორგობას, ნეშტს დაასვენებენ ოქროს ჩარდახში, შაბათს, ქართველი მეფის დაღლილი ძვლები სამარადისო განსასვენებელს ჰპოვებს გელათის წმინდა ტაძარში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას, ბლოკ „მრგვალი მაგიდა—თავისუფალ საქართველოში“ გაერთიანებულ პარტიებს!

გილოცავთ დამსახურებულ გამარჯვებას. გვწამს, თქვენი შემართებით გამხნევებული ხრულიად საქართველო მოიკრებს ძალას და მიაღწევს დასახულ მიზანს — ერთობას და დამოუკიდებლობას.

მზად ვართ ამოგიდგეთ მხარში, არ დავიშუროთ გამოცდილება, ენერგია, შესაძლებლობა, ხელი შევუწყოთ ხაგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას და საქართველოში ძლიერი, დამოუკიდებელი სავალუტო-საკრედიტო სისტემის შექმნას.

ულრმესი პატივისცემით,

საქართველოს დამოუკიდებელი სავალუტო-საკრედიტო სისტემის შექმნის ხელისშემწყობი ფონდი „ბანკირი“-ს გამგეობა.

## ბატონ ზვიად გამსახურდიას, ბატონ თენგიზ სიგუას, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს!

გილოცავთ ამ დღეს. ქართველი ხალხი, საქართველოს ყველა მოქალაქე თქვენი ხელმძღვანელობით მიდის აღთქმული ქვეყნისაკენ — თავისუფლებისკენ. ჩვენ გვჯერა მომავლისა, გვჯერა, რომ ეს გზა ხულიერი განახლებისა და ეროვნული აღორძინებისკენ მიდის. მალე მოელება ბოლო ეშმაკეული ძალების ბატონობას.

გვინდა ორიოდე სიტყვით თქვენ მოგმართოთ, ბატონო ზვიად: თქვენ ის ადამიანი ბრძანდებით, ვინც იცის, რა არის საპყრობილე, რა არის მშობლიური კუთხის, მშობლიური ოჯახის მონატრება. გაგვიგებთ — ჩვენ განსაკუთრებული სახით „დამნაშავენი“ ვართ — ჩვენ ავადმყოფი და უსულგულო იმპერიის შვილები ვართ. ამ იმპერიამ არ იცის ღმერთი, არ იცის შებრალება, არ იცის ზნეობა და ჩვენც გადმოგვედო ეს უბედურება.

გულისტკივილით ვაღიარებთ, რომ ჩვენ, დროებით იზოლირებული ადამიანები — თავდახრილნი, გულგაბზარულნი, უუფლებონი ვხვდებით ქართველი ხალხის უდიდეს მიღწევებს, მაგრამ გვამხნევებს ხვალინდელი დღის იმედი, რომ ჩვენ კიდევ გამოვადგებით ახალ საქართველოს, პირნათელნი დავდგებით მერაბ კოსტავას აჩრდილის წინაშე, თქვენს წინაშე, საქართველოს თავისუფლებისათვის ყველა მებრძოლის წინაშე.

კიდევ გილოცავთ!

დაუხრელად გეჭიროთ მრავალჭირგამოვლილი ქართული დროშა!

მოწყალე ღმერთი ფარავდეს საქართველოს!

ქალთა მე-12 კოლონიის ქართველი მსჯავრდებული ქალები.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას!

მარნეულის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლები გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევას და გაუწყებთ, რომ ჩატარდა მარნეულის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების დეპარტიზაცია.

მარნეულის რაიონის შ/ს განყოფილების გამგე **ფარნა სვანიძე**

## ოლეს გონჩარი

# მწერალთა კავშირის კიევის ფილიალის პარტიულ კომიტეტს

ძვირფასო ამხანაგებო! გატყობინებთ, რომ გადავწყვიტე გავიდე სკკპ-ს რიგებიდან.

რამ მაიძულა გადამედგა ასეთი ნაბიჯი? მე არ შევუდგები იმ უთვალავი ბოროტების ჩამოთვლას, რაც პარტიის ეგიდით ხდებოდა წლების განმავლობაში. ეს ფაქტები დღეს ყველასათვის ცნობილია. მქონდა იმედი, რომ თავის უკანასკნელ ყრილობებზე პარტია მისცემდა წარსულს შესაფერის შეფასებას, რათა თავისი მონანიებით დაეცვა იმ მილიონობით კომუნისტის სახელი, რომელთაც არავითარი ბრალი არ მიუძღვით რეპრესიებსა და ტერორში. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა. მქონდა იმედი, რომ სკკპ, რომელმაც გამოაცხადა გარდაქმნისა და განახლების კურსი, უარს იტყოდა ველიკოდერჟავულ, იმპერიულ მიზნებზე. ჩემი ეს იმედიც არ გამართლდა.

მაგრამ უშუალო მიზეზი, რამაც მაიძულა გადამედგა ასეთი უკიდურესი ნაბიჯი, იყო ჩვენი პარლამენტის კომუნისტური უმრავლესობის, ე. წ. ჯგუფ „239“-ის მოქმედება, განსაკუთრებით კი რეაქცია, როგორითაც შეხვდა ის სტუდენტთა შიმშილობის დაწყებას, ადრეც ვხედავდი, რომ ჯგუფი „239“ სარგებლობს რა თავისი ფორმალური უმრავლესობით, ამუხრუჭებს დემოკრატიზაციის პროცესს რესპუბლიკაში, ახრჩობს ნებისმიერ კონსტრუქციულ აზრს, ცენტრის საამებლად საბოტაჟს უწევს იმ კანონების მიღებას, რომელიც აუცილებელია ჩვენი დეკლარირებული სუვერენიტეტის რეალური დამტკიცებისათვის, მაგრამ მოთმინების ფიალა ამივსო გუშინდელმა სხდომამ, სადაც ლაპარაკი იყო მოშიმშილე სტუდენტებზე.

სკკპ-ს რიგებში მიმიღეს ფრონტზე, ალპებში, ბრძოლის წინ, რომელიც ბევრი ჩემი თანამებრძოლისათვის უკანასკნელი გამოდგა. კომუნისტი-ფრონტელები, ისევე როგორც უპარტიოები, ჩემი ნამდვილი ძმადნაფიცები იყვნენ, მათი ხსოვნა წმინდაა ჩემთვის და ახე გამყვება მე ცხოვრების ბოლომდე. ჩემს მოვალეობად ვთვლიდი მომეთხრო მათზე ჩემს ნაწარმოებებში და ამას ვაკეთებდი გულისა და ხინდისის კარნახით.

წლების განმავლობაში ვიყავი რა მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციაში, მე ვხედავდი პატიოსან, პრინციპულ კომუნისტებს, ჩემს ნამდვილს მეგობრებს. ერთად ვიცავდით ამხანაგებს, ჩვენს მშობლიურ ენას გამყიდველი, ბიუროკრატიული ჩინოვნიკებისაგან, ვიბრძოდით ყოველი ეროვნული სკოლისათვის, ბეჭდვითი ორგანოსათვის, უკრაინული კულტურის ყოველი პლაცდარმისათვის. მადლობელი ვარ ჩემი ლიტერატორი ძმადნაფიცებისა ასეთი მეგობრობისათვის. მადლიერების გრძნობა ამ ადამიანებისადმი უცვლელი დარჩება მომავალშიც.

გუშინ მე მოვინახულე მოშიმშილე სტუდენტთა ბანაკი. ამ არაქათგამოცლილ, გათოშილ, მაგრამ თავგანწირულ და გაუტეხელ ყმაწვილებში შევიცანი ჩვენი ახალგაზრდობა. მოშიმშილეებმა მითხრეს: ჩვენ გავიზარდეთ თქვენს წიგნებზე, ჩვენ აქ მოგვიყვანა ჩვენი ერის ტკივილებმა — აი ჩვენი მოთხოვნები.

მოშიმშილე სტუდენტთა მოთხოვნები მე თავიდან ბოლომდე სამართლიანად მიმაჩნია.

და ამ მოთხოვნებს, ამ თავგანწირვას ჩვენი შვილებისა, პარლამენტის კომუნისტური უმრავლესობა შეხვდა ღრიალით. ამ უხულგულობამ შემძრა სულით-ხორცამდე. სტუდენტებმა ომსკიდან, თბილისიდან, ირკუტსკიდან გაითავისეს უკრაინელი სტუდენტების ტკივილი, გამოუცხადეს მათ სოლიდარობა და მხოლოდ პარლამენტის მოღრიალეებმა პარტბილეთითა და დეპუტატის მანდატებით ვერ უთანაგრძნეს მოშიმშილეებს, რომლებიც მზად არიან თავი დასდონ მშობლიური ერის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

მაშ, მეც იმათთან ვარ, ვისაც შეუძლია თანაგრძნობა და გულმოწყალება, ჩვენს თავგანწირულ ახალგაზრდობასთან, საზოგადოების შეგნებულ ნაწილთან, ყველასთან, ვინც იბრძვის უკრაინის ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისათვის და არა იმათთან, ვინც ჯიუტად ეწინააღმდეგება ცხოვრებაში რადიკალურ ცვლილებებს, იჩენს დოგმატურ კონსერვატიზმს, აყენებს პირად კეთილდღეობას ერის ინტერესებზე მაღლა, ამჟღავნებს თავის ანტიხალხურ ბუნებას. იმ უსაზღვრო სისასტიკესთან, რომელიც დამამცირებელი ღრიალით ხვდება ერის ტრაგედიას, უკრაინის შვილთა ტანჯვას, არ მინდა მქონდეს რაიმე საერთო. ამით აიხსნება ჩემი გასვლა სკკპ-დან.

მგონია, ამხანაგებო, რომ თქვენ ყურად იღებთ ჩემს მოტივებს და გაიგებთ ამ, ჩემთვის ძნელი გადაწყვეტილების აუცილებლობას.

„ლიტერატურნა უკრაინა“
9. X. 90 წ.

თარგმნა **ნიკო თევზაძე**

# „შეცდომილებისაგან მამათაისა“

## პასუხად უნივერსიტეტის დოცენტს ბატონ ზურაბ გოგუას

„ჩვენი უარყოფა გსურს შენ, რომელიც ჩვენგან ილებ ცოდნას, მაგრამ გახსოვდეს, ჩვენი უარყოფა, შენი დამარცხებაა!“

დემოკრიტე

იმედი მაქვს, მაპატიებთ თქვენთან გულახდილ საუბარს. გაუწყებთ, რომ წავიკითხე გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ მიმდინარე წლის 23 ოქტომბერს გამოქვეყნებული თქვენი საინტერესო წერილი „ღმერთმა შეგინდოთ ანუ შეჩერდით, მამებო!“ მეც თქვენს მიერ დახასიათებულ მამათა თაობის წარმომადგენელი გახლავარ.

ბატონო ზურაბ, დღეისათვის, როცა დამპყრობელი, ისტორიული გარდაუვლობით და არა მხოლოდ ჩვენი დამსახურებით „გუდა-ნაბადს იკრავს“, ჩვენ უფლება არა გვაქვს ამდენ ენერგიას, ამ ეროვნულ ძალას ვაკნინებდეთ და ვხარჯავდეთ, მტერთა გასახარად, ერთმანეთის სამტროდ, სამეტოქეოდ, ურთიერთ შურისათვის. ასეთი მოქმედება, ჩემო ძვირფასო მეგობარო, კარგად მოგეხსენება, რისი ტოლფასიცაა.

ერთშიც უნდა შევთანხმდეთ, — უნდა შევერთდეთ, თუ გვინდა (და ეს ყველა მოკვდავი ქართველის სურვილია), რომ ეროვნულ, ტრადიციულ კალაპოტს დავუბრუნოთ ნამდვილად ჩვენს მიერ გაყიდულ-გახაჩუქრებული და გატიალებული საქართველო (თუმცა უზრუნველესი პირობები შექმნილი აქ მაცხოვრებელ ქართველთა და არაქართველთა იმ ნაწილისათვის, ვისაც არ ედარდება შენი საქართველოს თავისუფლება. მათთვის უკეთეს პირობებს ვერც ინატრებდა კაცი. აქ მოგვიმრავლდნენ კიდეც ყველა ჯურის საქმოსნები, რომლებსაც პირადი გამდიდრების მეტი არაფერი ახსოვთ).

დიახ, საგარეო პირობების გარდა, საჭიროა ქვეყნის შინაგანი გაერთიანება და გამაგრება. ამის მიღწევა კი შეიძლება ისტორიაზე დაყრდნობით, თანამედროვეობის ერთიანი ძალით, ერთიანი ძალისხმევით, ერთიანი სულისკვეთებით, — მამათა და შვილთა ერთიანი მეცადინეობით. ბატონო ზურაბ, მამათა ძალა თუ შეაჩერეთ („დაგაგვიანდათ. და გთხოვთ — შეჩერდით მამებო!“ — ეს თქვენი წერილის უკანასკნელი სიტყვებია) და იმავე დროს შეგვაჩვენეთ, როგორც ეროვნული პროგრესის დამაბრკოლებელ-დამამუხრუჭებელნი და, „მოწინააღმდეგენიც“, გაგვიჭირდება, მეტად გაუჭირდება ქართველ ხალხს, საქართველოს მონობის უღლის გადაგდება...

მეტად სამწუხაროა, რომ წერილის სამიზნედ გაგიხდიათ „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი“ და მისი ხელმძღვანელი ვალერიან ადვაძე. საინტერესოა, რამ გაკარნახათ, უფრო ზუსტად, რამ გაიძულათ ამ მიმართებით? რა ძალამ მიიყვანა ქართველი (ყველაფერს რუსეთს ვერ გადავაბრალებთ), რომ 25 ოქტომბერს ბატონ ვალერიან ადვაძის ბინის კარები და ფანჯრები ავტომატებით დაეცხრილა? აი, ჩვენი პოლიტიკური ბრძოლის კულტურის დღევანდელი დონე.

ვერაფერი გვისწავლია ისტორიიდან! მადლობა ღმერთს, დღეისათვის ილია არა გვყავს, თორემ ისე მოვემზადებულვართ „საქართველოს განთავისუფლებისათვის“, რომ ილიას თან მივაყოლებდით აკაკის, ვაჟას, გოგებაშვილს...

„ისტორიის ცოდნა გადაგვარჩენსო“, — ამბობენ ინდოელები. ეს მით უმეტეს საჭიროა ჩვენთვის...

არა მგონია მართალი ბრძანდებოდეთ, თითქოს რაც ცუდი ხდება ეროვნული თვითშეგნების სარბიელზე, ჩვენი „დამსახურება“ იყოს. არა, ჩემო მეგობარო, თავისუფლებისათვის ბრძოლა სწორედ შენმა მშობლებმა, შენმა აღმზრდელებმა, — პროფესორმასწავლებლებმა, ქალაქისა და სოფლის ინტელიგენციამ, მათმა თაოსნობამ— „წითელმა და მედროვე ინტელიგენციამ“, როგორც თქვენ უწოდებთ, წამოიწყო დესპოტური სახელმწიფო წყობილების პირობებში. ! აბა, თვალი გადაავლეთ მათ სისხლიან ნაკვალევს, თუნდაც უახლოეს პერიოდს, თუ როგორ სპობდა მათ „კანონით შეუზღუდავი და ძალადობაზე დამყარებული პროლეტარიატის დიქტატურა“.

აბა, წაიკითხეთ არქივებში გადარჩენილი დოკუმენტები, თუ როგორ უდანაშაულოდ, უმიზეზოდ სპობდნენ ყველას და ყველაფერს. ახეული ათასობით შეეწირა ქართველი ერის გადარჩენას... მათ საფლავებიც კი არ ეღირსათ შუა აზიის, თუ შორეული აღმოსავლეთის ყინულეთში...

თქვენ, ჩემო ძვირფასო ზურაბ, მათ პერიოდში, რომ გეცხოვრათ, ვერც თქვენ ასცდებოდით ამ ბარბაროსობას. იგივე ითქმის ჩვენს თაობაზე, თქვენს „მამებზე“. თუ ჩვენი თაობის ხალხთან დაიბადებოდით, თქვენც იქნებოდით ოქტომბრელი, პიონერი, კომკავშირელი და წევრი იმ პარტიისა, რომელსაც ხელში ეპყრა მმართველობის ყველა სადავეები. და მაინც ვიბრძოდით თავისუფლებისათვის, რაც შეგვეძლო. ამიტომ ნუ იქნებით ზომაზე მეტად მკაცრი, იყავით სულგრძელი, მცირედად მაინც ეცით პატივი მამასა და დედასა თქვენსა; ნუ შეურაცხყოფთ, ნუ უწოდებთ უსინდისოებს; ნუ დასწამებთ ცილს და ნუ იტყვით, თითქოს ისინი („თანხმობისა და აღორძინების კავშირი“ და მათი წევრები) უსირცხვილოდ დაეპატრონენ თქვენი „საკუთარი სისხლის, ათასგვარი დამცირებისა და შეურაცხყოფის ფასად მოპოვებულ“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სარბიელს. აქვე, ყველას გასაგონად, გვაფრთხილებთ ჩვენ: — „ერის მამებს“, „ინტელიგენციის ფართო ნაწილს“, „უფროს მეგობრებს“, რომლებიც თურმე ყოველთვის მხარში ვუდექით და ვიცავდით „ცეკას და მის უკუღმართ ნაბიჯებს“, ვიღებდით „მთავრობის რბილ სავარძლებს“, — რომ მიუხედავად ჩვენი „მაღალი რეგალიებისა და ტიტულებისა, მთავრობის მიერ ბოძებული ჩინ-ორდენ-მედლებისა... ხალხი მაინც არ დაგიჯერებთო“.

რა გაეწყობა, შეგინდოთ ღმერთმა!

მარად თქვენი კეთილის მსურველი

**ვახტანგ გურგენიძე**

# ლეო ჭეიშვილი

1990 წლის 1 ნოემბერს ბუენოს-აირესში გარდაიცვალა ჩვენი თანამემამულე, ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლეო ჭეიშვილი.

ბატონი ლეო მოღვაწეობდა ბუენოს-აირესის ქიმიის ინსტიტუტში, კითხულობდა ლექციებს, იყო უდიდესი ლაბორატორიის გამგე. მისი ნაშრომები საკმაოდ ცნობილია ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. 2 წლიწადს ლექციებს კითხულობდა პენსილვანიის უნივერსიტეტში. მიწვევები ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნებში, აქვს უამრავი ნაშრომი ქიმიის დარგში, რომელთა ნაწილი გადმოგზავნილია საქართველოში და ინახება ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ლეო ჭეიშვილს დარჩა მეუღლე — ტურფა ჭეიშვილი და 4 შვილი, რომლებიც ხშირად ჩამოდიან საქართველოში.

იგი გახლდათ ჩვენი თანამემამულეების თამარ და აკაკი პაპავების სიძე.

აკაკი პაპავას გარდაცვალების შემდეგ ბატონი ლეო ჭეიშვილი იყო მისი საქმის უშუალო გამგრძელებელი, არგენტინის ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე. ანდერძის თანახმად მისი ნეშტი გადმოსვენებულ იქნება საქართველოში. ამით კიდევ ერთხელ დაიბრუნებს ქართული მიწა მასზე უზომოდ შეყვარებულ, მაგრამ ტიალი ცხოვრების გამო შორს გადახვეწილ შვილს.

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრაგედია

**თამაზ ჩაჩავა**

ჩვენი სკოლის მასწავლებლების საყვარელ აქსიომას, რომ სიცივეში რელსი იკუმშება, სიცხეში კი ფართოვდება, განსაკუთრებული სიამაყით ვიხსენებ. ჩვენი ინტელექტუალიზაციის სხვადასხვა უცნაურ ხერხებს შორის ამ აქსიომას გადამწყვეტი როლი ეკისრებოდა. მაგრამ ვერც ეს ჭეშმარიტება ახდენდა სასწაულს და სკოლის გათავების წინ, ჩემი დაკვირვებით, ყველანი შეუდარებლივ უარესნი ვიყავით, ვიდრე მაშინ, როცა სკოლის კარები შევაღეთ. იმედიანი მასწავლებლები კი სოციალისტური რკინიგზიფიკაციის გამოცდილების შესანიშნავ თეორიულ მონაპოვარს ისეთი დაჟინებით ავითარებდნენ და უმატებდნენ, რომ ლიანდაგების დაგების დროს რელსებს შორის გარკვეული დაშორება დაგვეტოვებინა, თითქოს უშუალოდ გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ვაპირებდით წყნეთისა და ლონდონის რკინიგზის ლიანდაგით შეერთებას.

მაგრამ ეს ცოდნა გაღრმავა და შინაგანი მნიშვნელობით გაამდიდრა სულ სხვა მარშრუტის— მოსკოვ-თბილისის მატარებელში გატარებულმა მრავალმა უძილო ღამემ. ლიანდაგზე საწყალობლად მხტუნავი მატარებელი ერთის მხრივ მახარებდა, რომ სკოლაში სულ ტყუილად მაინც არ მივლია (რადგან მატარებლის ბუქნის მიზეზს ვხვდებოდი). ამავე დროს, ასე დაბეჯითებით დაპირებული გრანდიოზული მომავლის ოცნებას მღვიძებდა, რომ ჩვენს ქვეყანაში, ადამიანების გარდა, კლიმატსაც კი გაათანაბრებდნენ, აღარ იქნებოდა ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებები და ჩვენი მასწავლებლების ჯინაზე, ბოლოსდაბოლოს, რელსებს შორის დაცილებას შეავსებდნენ.

ევროპაში ყოველივე ეს, სხვათაშორის, კლიმატის შეცვლის გარეშე განახორციელეს. მათ რაღაც ისეთი მინარევი დაუმატეს რელსს, რომ იგი მოცულობას არასგზით არ იცვლის და ამ მთლიან რელსებზე ისე დასრიალებენ მატარებლები საათში 200 კილომეტრი სიჩქარით, რომ სავსე ჭიქიდან წვეთიც კი არ დაიღვრება.

წარმოიდგინეთ ახლა, შუა ევროპაში, ესპანეთისაკენ გზაალებული ამგვარი ექსპრესი, ფანჯრებში მართლაც მაკრატლით გამოჭრილი სახლები, თითქოს ჯერ ისევ სველი საღებავებით აფერადებული ბაღები და ერთ-ერთ ვაგონის გასავლელში, ჩვენი ფალსიფიცირებული ქინძმარაულის ბოთლით ხელში, მოქანავე, ქართული მუსიკალური ანსამბლის წევრი. რამდენიმე წუთში, ერთ-ერთ კუპეში, შეშინებული ფრანგი ქალების წინ, ის, ე. წ. „ტრადიციული“ კანონიზირებული ტექსტების მიხედვით, სადღეგრძელოთა დაშტამპულ ლიტურგიას ატარებს, რომელთა ახორხოცებულ ზარებში უკვე დიდი ხნის ატროფირებული, პრიმიტიული ენა ჰკიდია. ღვინის ბოლო ბორდოსფერი წვეთი დედმამიშვილობის სადღეგრძელოზე დაიხარჯა და კმაყოფილი, ამაყი, დარწმუნებული, რომ ევროპის მატარებელში ლამაზი ქალები სადღეგრძელოებზე ოცნებობენ, და რომ ის წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს, მხრების ტრიალით, ახალი ბოთლის საშოვნელად მიდის.

თავის უპირატესობაში ამ კოლონიალურ-ინფანტილურ თვითდაჯერებას, ხშირად, მხოლოდ ის უდევს საფუძვლად, რომ ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს გონების ცარიელ დაფაზე რამდენიმე სადღეგრძელო და ბილწი სიტყვების თავისებური უებსტერის ლექსიკონი აქვს აღბეჭდილი, რა თქმა უნდა, ერთდროული არასრულფასოვნების ქვეცნობიერი შეგრძნებით. აქედან, ეს მამლაყინწური გაზვიადებანი, გადამეტებანი და ქედმაღლობა: „როცა ადამიანს არასრულფასოვნების კომპლექსი აწუხებს, ამის მიზეზი ყოველთვის არის, თუმცა, უფრო ხშირად, ის ამაში თავად ვერ გარკვეულა. მოკრძალება და თავმდაბლობა არასრულყოფილებას არ ნიშნავს. ისინი აღტაცების ღირსი თვისებებია. ამ ღირსებით დაჯილდოებული ადამიანი არ შეიძლება, რომ საკუთარ თავზე შეყვარებული სულელი იყოს. მან შესანიშნავად იცის, რამდენად შეზღუდულია ადამიანის ბუნება და თავისი წარმოსახვითი სიდიადით თავბრუდახვეული და მოწამლული არასოდეს გადალახავს ადამიანობის საზღვრებს“ (კ. იუნგი).

დიახ, ეს საოცრად გამძაფრებული, ყალბზე შემდგარი, გამარტივებული ინდივიდუალიზმი და ამავე დროს პიროვნებისეული უკიდურესი სილატაკე და დეგრადირება. ვუკვირდებოდი ამ თითქოსდა ტრადიციულ სამოსელში გადაცმულ ვულგარობას და კითხვა მებადებოდა: რომელი საუკუნის ქართველი იცნობდა თანამოძმეს მასში? როდის შეიძლებოდა ეს ნასესხები სიყალბე ქართულ ტრადიციად გასაღებულიყო? — ამ სავალალო სინამდვილის ასახსნელად აზრი წარსულს უბრუნდება, რადგან წარსულის სარკეებში ჭეშმარიტება უფრო მოურიდებლად შიშვლდება.

დღევანდელი ცივილიზაცია აღორძინების ცდომილმა მნათობებმა გამოაღვიძა. შუა საუკუნეთა ზეცათა ჭვრეტით დაღლილმა ადამიანის თვალმა მიმოიხილა ქვეყნიერება და გაოცებულმა დაასკვნა, რომ „იგი მშვენიერ არს“.

შემოსაზღვრული სამყაროს კედლები თითქოს ჯერ შეირხა, მერე კი ჩამოირღვა და გადაიხსნა უკიდეგანო სამყარო, რომლის წინაშე ადამიანი მარტო იდგა. ეს იყო ინდივიდუალიზმის დაბადების ეპოქა. ადამიანის შინაგან სამყაროში ჩაღრმავების დრო. როცა ადამიანმა აღმოაჩინა, რომ მის სულში ბობოქრობენ ის შემოქმედიც და ნგრევის ძალებიც, რომლებიც აქამდე მხოლოდ ტრანსცენდენტულ სივრცეებში მოქმედებდნენ. რა თქმა უნდა, თვალზეც იყო დამოკიდებული, თუ რას დაინახავდა ადამიანი თავის თავში — ნგრევის სტიქიას მხოლოდ, თუ შემოქმედებითსაც.

აღორძინებისდროინდელი ინდივიდუალიზმი სულიერების ახალი საფეხური იყო, რადგან გონება ბუნების იდუმალების შეცნობას დაეწაფა და ყველგან ღვთის ხელწერა აღმოაჩინა, მშვენიერებისა და სიბრძნის ხელწერა. სულიერება ღვთის მიერ შექმნილ ქვეყნიერებას გაენდო. ამიტომაა, რომ აღორძინების დროინდელი ინდივიდუალიზმის ჯანსაღი ნაკადი შუა საუკუნეთა ღვთისმოსაობას მთლიანად არ მოსწყვეტია და ესოდენ სახიფათო ინდივიდუალიზმი ცოცხალი ღმერთის ძალით გაწონასწორდა, პიროვნებისეული სიღრმით გამდიდრდა.

თავისი თავით მოხიბლული, ვნებიანი, ღვთის მგმობი, აღვირახსნილი ნაწილი კი მომავალი კატაკლიზმების წინამორბედად იქცა.

მათ მიერ ათამაშებული, თითქოსდა მშვიდი, სალაღობო ტალღები, ზვიადად მოასკდნენ XX საუკუნის ნაპირებს. XX საუკუნის ნაპირებს ის ურჩხული მოაწყდა, რომელიც აღორძინებამ და შემდგომმა ეპოქებმა ჯერ მიწიერი ჰუმანიზმით, შემდგომ პოზიტივიზმით და, ბოლოს, დამთრგუნავი მატერიალიზმით გამოკვებეს. XIX საუკუნეში ინტელიგენციის გარკვეულმა ნაწილმა სულიერება გონებით ჩაანაცვლა და მოდურად გამოჭრილი ინტელექტუალიზმით დიდხანს იწონებდა თავს (ყოველ შემთხვევაში იმ დრომდე, ვიდრე მათ მიერვე შექმნილი რევოლუციური გილიოტინა ამ ინტელექტუალიზირებული თავებით არ დაინტერესდა). ინტელექტუალებმა სულიერება ექსცენტრულობად მონათლეს და გაბატონდა თავისივე თავისა და გარემოს გამანადგურებელი, ამაყი და თვითდაჯერებული გონება — ორლესული მახვილი, რომელიც გაბედულად და ეფექტურად ანადგურებს ყველა მიმართულებით — მარჯვნივ და მარცხნივ, წინ და უკან, როგორც კი მას სულიერების ნათელი მოაკლდება.

დაირღვა კავშირი ღმერთსა და ადამიანს შორის და მიხვდა ადამიანი, რომ მხოლოდ ის ინტელექტია ჭეშმარიტი და შემოქმედი, რომელიც სულიერებიდან მომდინარეობს. ბოროტების წყლულებით დაფარული, მუხლებზე დამხობილი უძღები შვილი, უკვე ეძებს მამისეულ სახლს, შარაგზაც თითქოს ნაპოვნია, მაგრამ მანძილი ჯერ კიდევ ბევრია გასავლელი.

მე-20 საუკუნის დასაწყისში კი თამამად და ელვარებით შემოიჭრა აპოკალიფსის წითელი ცხენი და კაცობრიობა თავისივე თავის მონელებას შეუდგა.

მე-20 საუკუნის ინდივიდუალიზმში მხოლოდ კულტურული პროცესებისაგან საუკუნეების განმავლობაში იზოლირებულ საქართველოში ბოლშევიკების ხიშტებზე აფრიალებული ათეიზმით შემოიჭრა. ადამიანის გამანადგურებელი **ათეისტური ინდივიდუალიზმი** საფრთხეს უქმნიდა არა მარტო ქართულ კულტურასა და ტრადიციებს, არამედ თვით ერის არსებობას. ეს კი სწორედ ბოლშევიზმის გეგმებში შედიოდა, რადგან მას მხოლოდ უდაბნოში შეეძლო ბატონობა.

ათეისტური სახელმწიფოს შექმნა, ფაქტიურად ანტიქრისტეს გაბატონებაა. მისი ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, ღვთის წინააღმდეგაა მიმართული. ერთდროულად იგი ადამიანსაც ებრძვის, რათა ღვთიური სამყარო ამოფხვრას მასში, რომელიც მას გარემოსაგან დამოუკიდებელსა და თავისუფალს ხდის. უსიტყვო მონად ქცეულ ადამიანს ყოველი რეპროდუქტორი ჩასძახის, რომ მთელი ქვეყანა მას ეკუთვნის, რომ ის არის მისი ერთადერთი პატრონი, ევოლუციის გვირგვინი. მაგრამ, მართლაც რომ არ მოიკრიბოს შინაგანი ძალები, უმატებენ, რომ ისიც ცხოველია და ცხოველური არ უნდა იყოს მისთვის უჩვეულო. ადამიანში ცხოველის გაღვიძება, ვნებათა ქაოსის დამკვიდრებაა, **თავისივე თავის და ამავე დროს თავისი მონობის ფეტიშიზაციაა.**

„რა ამაყად ჟღერს ადამიანი!“ — გაიძახიან ისინი, რომ იქნებ, როგორმე ქრისტიანობის მე-20 საუკუნის მსვლელობა შეატრიალონ. არ შეიძლება ამაყად ჟღერდეს ეული, უღვთოდ დარჩენილი ადამიანი, რადგან ამ წუთიდან იწყება ზნეობის შეუქცევადი რღვევა. დავიწყებას ეძლევა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობანი და ბოლოს საწინააღმდეგო მისწრაფებებით იცვლება: სიყვარული — სიძულვილით, სულიერებისკენ მისწრაფება მატერიალური ინტერესებით, თავმდაბლობა — ქედმაღლობით, კეთილშობილება — მტარვალობით, ალტრუიზმი — ქურდობით, თვინიერება — აგრესიით. ფიტულებად ქცეულ თვალებბრიალებულ ქვეშევრდომთ, ათეისტურმა სახელმწიფომ სინდისიც ჩამოართვა და ერთდროულად აუხსნა, რომ იგი პირადი ბედნიერებისათვის უაღრესად ხელისშემშლელია. მართლაც, თუ კი უწინ ადამიანი მთელ სიცოცხლეს გაიძვერობდა, სიცოცხლის ბოლოს მაინც, სულის გადასარჩენად, ბერად აღიკვეცებოდა და ლოცვითა და ხორცთა გვემით ცდილობდა ცოდვათა გამოსყიდვას. ახალი 1917 წლის მოდელის ადამიანის პირადობის მოწმობად იქცა. პირადი გამორჩენის ინსტინქტი, რომელსაც ღირსეულად ავსებდნენ სხვა ამგვარივე „ზნეობრივი“ ცნებებიც, მათ შორის დარვინისტულ-ევოლუციური თეორიიდან აღმოცენებული „ჭეშმარიტება“, რომ არსებობისათვის ფართოდ გაშლილ ბრძოლაში ყველა ხერხი არა თუ დასაშვები, არამედ საპატიოცაა. ხორციელი მისწრაფებების დაკმაყოფილება ჩექმა-გალიფე-ქამარ-ბლუზაში, უფრო მოგვიანებით კი „კრასნაია შვეია“ ერთი ზომის კოსტუმებში გამოწყობილ ინდივიდუალისტებისათვის, ფატალურ ჟინად იქცა და გაკვირვებასაც აღარ იწვევდა დასმენის, მოსყიდვის, ცილისწამების, სიცრუის, ქურდობის განსაცვიფრებელი მასშტაბები. ამავე დროს, საკუთარი ხელით დახატული თვალთმაქცი ღიმილით, ყურმოჭრილ მონად უდგებოდნენ ყველას, ვისაც კი მათთვის რაიმე სარგებლის მოტანა შეეძლო.

ბოლშევიკების დაკანონებული უსახო კოლექტივიზმიც იმავე **ათეისტურ-ინდივიდუალიზმის** ჩამოყალიბებას ემსახურებოდა, რადგან კოლექტივის წევრებს ერთმანეთთან სიყვარული კი არ აერთიანებდათ, არამედ კავშირი უარყოფითი ნიშნით (შიშით, სიძულვილით) ხორციელდებოდა. ამიტომ ეს თითქოსდა ყოვლისმომცველი, მონოლითური კოლექტივი სინამდვილეში დაქუცმაცებულ პატიმართა ბანაკს წარმოადგენდა, სადაც ურთიერთზიზღი მძვინვარებდა და აავადებდნენ მებრძოლი თაობები ერთმანეთს ევროპიდან შემოტანილი, მაგრამ უკვე არაევროპული დაავადებით და ჩამოყალიბდა ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული, თითქოს ურთიერთგამომრიცხავი მისწრაფებებით მოჯადოებული ადამიანი — **ათეისტი ინდივიდუალისტი**, რომელიც მონობისა და თავისი თავის აბსოლუტიზაციის შეუღლებას ახერხებდა (ცხენისა და უნაგირის ჰიბრიდი). ასე გამოისხიპა 250 მილიონი კისრისათვის ისტორიაში ყველაზე საიმედო, ყველაზე ცბიერი და ყველაზე მძიმე უღელი — **ათეისტური ინდივიდუალიზმისა.**

თითქოს ყოველივე ამას ხედავდა ჯონ ქითსი, როცა წერდა:

თქვენ სახელმწიფო აღამაღლეთ
მწუხრით მოცული,
თავისუფლება კი აკრძალეთ
ერთხმად და სწრაფად...

თავისუფლება მაშინაც და მარადჟამს, ბოროტსა და კეთილს შორის თავისუფალ არჩევანს, ზნეობრივ პასუხისმგებლობას და ამიტომ, პიროვნების განვითარებას გულისხმობს. წრიული ბოროტების გამეფებით, არჩევანი ისპობა და ის საზოგადოება ყალიბდება, სადაც ბოროტება აუცილებლობადაა ქცეული. განა შორს იყო ჭეშმარიტებისაგან რეიგანი, როცა მან გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანას ბოროტების იმპერია უწოდა და ასე გაანაწყენა ჩვენი ქვეყნის მუდამ მართალი ჟურნალისტები.

კაცობრიობის ისტორიაში არასოდეს ყოფილა მასობრივი ათეიზმის და ამიტომ მასობრივი მონობის დრო და არც არასოდეს ყოფილა ზნეობის ესოდენ უიმედო დაცემის ხანა, ადამიანმა უკიდურეს ზღვრამდე მიათრია თავისი ქვეყანა და მოჯადოებული ისე დიდხანს ჩასცქეროდა უფსკრულს, რომ მიეჩვია კიდეც მას.

და აი, დაიარებიან ისინი, თქვენს წინ, ქუჩებში, დარბაზებში, გაამაყებულნი თავისი ხორციელებით, თვითშეყვარებულნი, გათამამებულნი და თავდაჯერებულნი ნაყიდი წარმატებებით. რა ქედმაღლურად დააქვთ სხეულები, რომელთა ფერების, მოვლისა და სიამოვნებისათვის არსებობენ მხოლოდ. გამარჯვებულნი, დარწმუნებულნი და საოცრად კმაყოფილნი ჩანან შემორჩენილი გონების რუდიმენტებით. ჩამოუყალიბებელი ფსიქიკა, ჯერ ისევ სიზმარულ, სომნამბულურ რეალობებში არსებობს. ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობენ აიცილონ სიძნელეთა და წინააღმდეგობათა ის გზა (ყოველი ადამიანის მიერ გასავლელი გოლგოთის გზა), რომელიც სიზმარს ინტელექტად აქცევს და ფეხზე გამობმული სიცრუის მძიმე ლოდით მოძრაობის მხოლოდ იმიტირებას ცდილობენ. ღმერთო, მოგვეცი უნარი, ჩვენს თავს უცხოელივით ვაკვირდებოდეთ, რომ მართლაც მივხვდეთ უბედურებას ჩვენში დატრიალებულს, რომელსაც **ადამიანის კრახი ეწოდება.**

სნეულების ნიშნები ერთნაირად გამოვლინდა მსახიობსა თუ გამყიდველში, სტუდენტსა თუ აკადემიკოსში, მუსიკოსსა თუ მენაგვეში, მღვდელსა თუ კომუნისტში. მოუსმინეთ თქვენს მეგობრებს, რა ენაზე ლაპარაკობენ, საიდან გაჩნდა ბილწი სიტყვების ათასნაირი კომბინაცია, რომელთა გარეშე, თურმე, უკვე შეუძლებელია აზრის გამოთქმა თვით ლიტერატურულ წრეებშიც! და თუ კი მაინც კორექტულად ვლაპარაკობთ, რაზე ვლაპარაკობთ? როდის დაიშრიტა ამდენად ადამიანის გონება? თითქოს საუკეთესო ოჯახებშიც ქუჩის დიალექტი, ქურდული ცნებები, კრიმინალური სამყარო შეიჭრა. ქრება გრძნობების, გონების, გემოვნების სინატიფე, რომელიც ერთ დროს გადაულახავი წინაღობა იყო ყოველგვარი უკადრისისათვის. ან ისევ ქართულმა შემწყნარებლობამ, გადამეტებულმა დათმობამ, ლიბერალიზმმა გაათამამა დანაშაულებრივი სამყარო და ის იმ საქართველოს ჩაეზარდა, რომელსაც სულ სხვა მოვალეობა ეკისრებოდა.

ერთ-ერთი მაგალითი: თბილისის მუსიკალურ ათწლედში, სადაც თითქოსდა საუკეთესო ნიჭიერი ახალგაზრდობა სწავლობს, ოციოდე მომავალმა მუსიკოსმა, რომლებიც მოცარტზე, ბახზე, ბეთჰოვენზე, ფალიაშვილზე უნდა ფიქრობდნენ, ერთ-ერთ მოსწავლეს დაკითხვა მოუწყო, იზიარებდა იგი თუ არა ქურდულ კანონებს, როდესაც მოსწავლემ უპასუხა, რომ არაფერი იცის მათ შესახებ და თუ კი ისინი არსებობენ, არა თუ იზიარებს, სასირცხვოდ მიაჩნია ისინი, ბრბო მას თავს დაესხა და მხოლოდ შემთხვევამ გადაარჩინა სიკვდილს.

ვინ არიან ეს ჯოგებად შეკრულნი, რომლებსაც პლებეურობა და ჰუჭყის სუნი განმასხვავებელ საამაყო ნიშნად აქვთ მიჩნეული? თუ დრონი მეორდებიან და მათ უკანა ეზოებში უკვე ჩამოყალიბდა პროლეტარიატის შემცვლელი ცნება — ქურდები — და ამჯერად ისინი გაუსწორდებიან საქართველოს?

რა პირველყოფილმა ინსტინქტებმა შეაკავშირა ისინი და რატომ ეამაყებათ, რომ ცხოველურმა მათში ადამიანური დაიპყრო? იქნებ იმიტომ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში წმინდანთა ხატების ნაცვლად ისინი კაცისმკვლელთა პორტრეტებს უცქეროდნენ? იქნებ, იმიტომ, რომ მთელი ენერგია დღეს არა ადამიანის შინაგანი სულიერი სამყაროს სრულყოფაზე, არამედ, მოჩვენებითი, გარეგნული კეთილ-

(დასასრული მე-4 გვ.)

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაბეჭდილმა სამი ავტორის (ნინო გველესიანი, მარინე მარჯანიშვილი, ნინო ლაზრიშვილი) წერილმა „ინტელიგენცია თუ განათლებული საზოგადოება“, როგორც მოველოდით, მკითხველთა გამოხმაურება გამოიწვია.

თუ წერილის სარედაქციო მინაწერი გახსოვთ, ამგვარ გამოხმაურებას (და საკმაოდ მძაფრსაც) ველოდით კიდეც, რადგან ბევრ მოსაზრებას, რაც პუბლიკაციაშია გამოთქმული, არც ჩვენ ვეთანხმებით.

მაგრამ კამათი ხომ იქ იმართება, სადაც ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები გამოითქმის.

რედაქცია ერთს სთხოვს მკითხველს: ნუ გაიგებს ზემოხსენებულ პუბლიკაციას, როგორც მიმართულს ჩვენს მართლაც მრავალჭირნახულ და თავდადებული ინტელიგენციის წინააღმდეგ.

საპირისპირო მოსაზრებებს კი გზას ვუხსნით, რისი დასტურიცაა დღევანდელი გამოხმაურება აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **რისმაგ გორდეზიანისა**

# ნუთუ ინტელიგენციას დაცვა სჭირდება?

სამმა ქართველმა მანდილოსანმა ა. წ. 16 ნოემბერს „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გააფრთხილა ინტელიგენტებისა და ინტელიგენტობის წინააღმდეგ, უფრო მეტიც, ერი გააფრთხილა, რომ მას არსებითად დაღუპვა სწორედ ინტელიგენციისაგან ემუქრება, როგორც საზოგადოების ყველაზე მეტად ნიჰილისტური, ულმრთო და ანტიეროვნული ნაწილისაგან. ამას, თუკი წერილის ლოგიკიდან ამოვალთ, სავსებით ბუნებრივია, უნდა მოჰყვეს მათი სიების შედგენა, ვინც ინტელიგენტად თვლის თავს, აქედან გამომდინარე შედეგებით. წერილის პათოსი ძალზე მოგვაგონებს პროსკრიფციების, ინკვიზიციის, წითელი ტერორის შემამზადებელ პერიოდებს, როდესაც იდეოლოგიური საფუძველი ეძებნებოდა არასაიმედო, არასასურველ ადამიანთა ნუსხების შექმნასა და შემდეგ ამ ადამიანთა მოსპობას. მაგრამ ჭერჭერობით არცერთ ცივილიზაციას, არცერთ სისტემას, არცერთ კეთილგონიერ ადამიანს აზრად არ მოსვლია განეცხადებინა — ინტელიგენტები სრულად უნდა მოვიშოროთ თავიდან ერის ინტერესებიდან გამომდინარეო.

ვეჭვობ, რომ წერილის დამწერ მანდილოსნებს ჟანუვითარდებოდათ ამგვარი ზიზღი ინტელიგენციის მიმართ, თუკი მათ სწორად ექნებოდათ გააზრებული ტერმინი ინტელიგენტი, მისი ისტორია და სოციალური შინაარსი.

უთუოდ იპყრობს ყურადღებას, რომ წერილში მრავალრიცხოვან უსისტემოდ ამოგლეჯილ ციტატას შორის, რომელთა მიზანი ინტელიგენტების მიწასთან გასწორებაა, ადგილი ვერ ჰპოვა სავსებით უბრალო ენციკლოპედიურმა განმარტებამ სიტყვისა — ინტელიგენტი.

ეს სიტყვა კი, უკვე ანტიკურობიდან მოყოლებული, საკმაოდ კარგად არის ცნობილი და მას სიმპათიის გარდა არასოდეს არავითარი სხვა გრძნობა არ ჭღუძრავს სხვადასხვა ეპოქებისა და ქვეყნების საზოგადოებებში (რასაკვირველია, თუკი ვილაცამ ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით გაკიცხა ინტელიგენცია თუ ინტელიგენტურობა, ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანები საერთოდ უარყოფითად იყვნენ განწყობილნი ინტელიგენტების მიმართ).

ეს სავსებით გასაგებიცაა: ლათინური ზმნიდან intellego („სწავლა“, „ცოდნის მიღება“, „შეცნობა“...) ნაწარმოები ტერმინი intellegens, entis აღნიშნავდა „მცოდნეს“, „განსწავლულს“. ხოლო intellegentia —შემეცნებით ძალას“, „გაგებულობას“..., ფორმულა „ნასწავლი და ინტელიგენტი კაცი“ vir doctus et intellegens) სულ ცოტა უკვე ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან მოყოლებული ადამიანის აშკარად გამოკვეთილ პოზიტიურ მახასიათებლად ითვლებოდა და ეს არასოდეს არ გამხდარა სადავო.

სავსებით სწორია, რომ ამგვარ ადამიანთა ფენის აღსანიშნავად პირველად რუსეთში გამოიყენეს ტერმინი ინტელიგენცია, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ეს მოხდა XIX საუკუნეში, როდესაც საერთოდ დიდი იყო ინტერესი ამა თუ იმ სოციალური კლასისა თუ ფენის აღმნიშვნელი განმაზოგადებელი ტერმინების შექმნისადმი. ამაში არაფერია გასაკვირი. ფაქტობრივად ხომ ამ პერიოდში დაიწყო კაცობრიობის სოციალურმა ისტორიამ, როგორც დამოუკიდებელმა დისციპლინამ, არსებობა. ვერ დავეთანხმებით წერილის ავტორებს, თითქოს ეს ტერმინი უცხოვდა ყველა სხვა ქვეყანას რუსეთისა და სსრკ-ს გარდა. პირიქით, იგი საკმაოდ სწრაფად გავრცელდა (ამაში დასარწმუნებლად საკმარისია ჩავხედოთ ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულენოვან ენციკლოპედიურ ცნობარებს) და ამჟამად არცერთ ქვეყანაში არ ითვლება „უცხო სილად“, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ციცერონთან დადასტურებული აბსტრაქტული ლათინური სახელის — intellegentia — საზოგადოების გარკვეული ფენის აღმნიშვნელ ტერმინად გამოყენება გრამატიკული თვალსაზრისით არ არის ზუსტი. ახალმა დრომ ვერ შეიტანა არსებითი ცვლილება ტერმინ ინტელიგენტის გააზრებაში. მისი საყოველთაოდ მიღებული განმარტება ამგვარია: განსწავლული, შეგნებული, კულტურული პირი, რომელიც პროფესიულად არის დაკავებული გონებრივი შრომით.

ბუნებრივია, ლაპარაკი ინტელიგენციის რაღაც ერთიან მსოფლმხედველობაზე აბსურდია, რადგან ამ ფენის ადამიანთა შორის არიან მონარქისტებიც და სოციალისტებიც, ანტიკომუნისტებიც და კომუნისტებიც, მორწმუნეებიც და ათეისტებიც, ეკუმენიზმის მომხრეებიც და მოწინააღმდეგენიც. პატრიოტებიც და კოსმოპოლიტებიც... ამჟამად სავსებით ზედმეტად მიმაჩნია ამის დამამტკიცებელი უამრავი ფაქტის მოტანა. ინტელიგენტი, როგორც საერთოდ ადამიანი, შეიძლება იყოს სუსტი ნებისყოფისა და ძლიერი ნების, დამყოლი და უკომპრომისო, მშიშარა და გულადი... და ისევე: როგორც საერთოდ მოკვდავთა მანკიერებანი არ გამხდარა კაცობრიობის წინააღმდეგ ბრძოლის წამოწყების მიზეზი, არც ინტელიგენტების შეცოდებანი გამოდგება ინტელიგენციის ამოძირკვისაკენ მოწოდების საფუძვლად.

შეტევა განსწავლულ პროფესიონალებზე, რა კონიუნქტურული მოსაზრებებითაც არ უნდა იყოს ეს განპირობებული, უთუოდ დიდი შეცდომაა. ხოლო რაც შეეხება ჩვენი თანამედროვე ქართველი ინტელიგენტების როლსა და მისიას ეროვნული კულტურისა და სულის გადარჩენაში, ამას ყველაზე კარგად დრო წარმოაჩენს, რადგან, ბალზაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დრო არის იმ ადამიანთა ერთადერთი კაპიტალი, რომელთა განძი მხოლოდ მათი ინტელიგენტურობაა“.

(დასასრული)

დღიობის, პირადი განსაკუთრებულობის ილუზიის შექმნაზე იხარჯება, იქნებ ბოსხისა და ბრიგელის უაზრობისა და უარყოფის სამყაროში დარჩენილებს, არ ვინ აუხსნა ადამიანის არსი — მისი ც ოველური, ადამიანური და ღვთ ური საწყისები? არავინ შეეცადა მშვენიერების, სულიერების, სიბრძნის ლაზათი დაენახვებინა ახალგაზრდობისათვის ჯერ მუსიკაში და მერე მათსავე თავში? ან იმიტომაა ჩაკლული ჩვენში სწავლება ადამიანზე, რომ ხელმძღვანელობას ადამიანი ჯერ ისევ მაიმუნის შთამომავლად მიაჩნია?!

მახსენდება იუნგის მიერ ჯოგური ინსტინქტების შესანიშნავი ინტერპრეტაცია: „ქვეცნობიერთან, ინსტინქტების ქვენა სამყაროსთან და ადამიანთანაც ჩვენი არასრულფასოვნება და სხვადასხვა ნაკლები გვაკავშირებს. მხოლოდ ჩვენი ღირსებები გვაძლევენ საშუალებას, რომ დამოუკიდებელნი ვიყოთ. ამაში ჩვენ არავინ გვეპირდება, აქ ჩვენ მეფეები ვართ. კაცობრიობასთან ჩვენი უღირსი ნაწილი გვაკავშირებს“.

ასე იშლება და ქრება ჰეშმარიტი ეროვნული სულის სტრუქტურა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში პატიოსნება, შრომა, სიწმინდე, ღვთისმოსაობა აყალიბებდა და ახლა გასაკვირიც აღარ არის, თუკი მოულოდნელად ჩვენს ჩრდილოელ მეგობრებს ვემსგავსებით (200 წლის მეგობრობის ტრაქტატი). ჭერ კიდევ ჩაადაევი ამბობდა, რომ რუსული სული ჩამოუყალიბებელი და უფორმოაო. და ამატებდა, ევროპელთა ყველაზე მნიშვნელოვანი აქსიომა, რომ სულიერი ცხოვრება, ისევე როგორც სხეული, გარკვეულ რეჟიმს მოითხოვს — რუსებისათვის მიუღებელიაო. რა თქმა უნდა, ძალზე რბილად და ევროპულადაა ნათქვამი, რადგან სულიერი ცხოვრება ყოველწამიერ მხსვერპლის გაღებას მოითხოვს.

XX საუკუნის გადასახედიდან, XIX საუკუნის რომანტიული იდეალიზმის დროება, თავისი წმინდა ადამიანური პრობლემებით, საოცრად ბავშვურად და მიამიტურად გვესახება. ვინ არიან ჩეხოვის ინტელიგენტები, კლდიაშვილის აზნაურები, მათი თითქოს და თითიდან გამოწოვილი პრობლემებით — ნაწამები, შეურაცხყოფილი, დამშეული, გაყინული, ეკლიანი მავთულებით შემორკალული და ძაღლებმისეული XX საუკუნის ინტელიგენტ-ზეკის წინაშე?! როგორ უფერულდება ტოლსტოის მიერ დახატული ჭერ კიდევ ჯენტლმენური ომის საშინელება — XX საუკუნის ცეცხლიანი წვიმის წინაშე. რა სასაცილოა XIX საუკუნის ნახევრადგანათლებული ნიჰილიზმი, თავისი გაზეპირებული, უსუსური უარყოფის ტაბულებით — აპრიალებული ხმლებით და ტყვიამფრქვევების კაკანით XX საუკუნეში შემოჭრილი ყაჩაღების წინაშე, რომლებიც მოითხოვდნენ და ახორციელებდნენ კიდეც ადამიანთა შორის ბრძოლას, შუღლს, მტრობას, დასმენას, გაუტანლობას, რასაც კლასობრივ ბრძოლას და ნათელი მომავლის შენებას არქმევდნენ, მაშინ როცა ხელში ჯოჯოხეთის მაკეტი ეპყრათ, ანდა რა შეედრება სატანის იმ ულმობელ მხედრიონს, რომელსაც ნკვდ-ს უმწიკვლო ცისფერის სამხრეულები ამშვენებდა... არა, არასოდეს ყოფილა ადამიანი ესოდენ განადგურებული და დაუოკებელი ტკივილის გორგლად ქცეული. იმ სასაცილო XIX საუკუნეში ადამიანი სულიერად ჭერ ისევ ცოცხალი იყო: სატანა აცდუნებდა, მაგრამ ღმერთის წინაშე ინანიებდა და რაღაც ბავშვური უბრალოება და უშუალობა სუფევდა. ადამიანის სულიერი ძაფის ხაზი ორ კოშკს აერთიანებდა. ერთი, უფსკრულის ფსკერზე სატანური კოშკი — ცოდვისა და ცდუნების სამყოფელი. მაღლით შემომდგარი კოშკი — აბსოლუტის, ჭკუის, მოწამეების კოშკი. ერთგვარი საბაგირო გზა ორ კოშკს შორის თავის დანიშნულებას ასრულებდა. ცოდვის მონანიებას ადამიანი მაღლით შემომდგარი კოშკისკენ — ღმერთთან აჰყავდა და ადამიანის სულიერ არსებობას საფრთხე არ ელოდა. ათეიზმის ეპოქაში ადამიანი თავზარდამცემი სიჩქარით დაექანდა უფსკრულისაკენ, ქვედა კოშკისაკენ, სატანისაკენ და გაწყდა ყოველგვარი კავშირი ღმერთთან. სულის ძალთა ისარი, რომელიც ორ პოლუსს შორის ირხეოდა, ახლა ქვედა პოლუსს მიეყინა და შეწყდა დროთა დინება. გამეფდა ანტიქრისტე. ეს ადამიანის გაუგონარი შინაგანი კატასტროფაა და სწორედ დღესაა საჭირო, რომ ის მიხვდეს, თუ რა საშინელი სულიერი განსაცდელის წინაშე დგას, მოინანიოს, რადგან ყოველგვარი ბოროტება მონანიების ალში იწვის.

კაცობრიობამ კი თავისი გადაწყვეტილება მრავალი საუკუნით ადრე მიიღო. ძველი ებრაელი ხალხი არჩევანის წინაშე აღმოჩნდა. მას წინამძღვრად ან მეფე (პოლიტიკოსი), ანდა წინასწარმეტყველნი (ზნეობის მასწავლებლები) უნდა აერჩია. ხალხმა მეფე აირჩია. პირველივე არჩეულმა მეფემ საულმა, როგორც ცნობილია სისხლიანი მათრახების მრავალწლიანი ალლუმი გაუმართა ხალხს, რაც შემდგომ საუკუნეებში განსაკუთრებული წარმატებით გაგრძელდა. დაიბადნენ სახელმწიფოები ომებით აღზევებულნი, კანიბალნი, იმპერიულნი, ჩქარავე დანჩანაკებულნი, რადგან არ იყო მათში ადამიანის პატივისცემის მადლი. აგერ საბჭოთა სახელმწიფოც ცდილობდა 70 წლის განმავლობაში თევზით ათასების დაპურებას, მაგრამ ვერ შეძლო, ვერ გაითვალისწინა, რომ ამისათვის კიდევ ღვთის მადლია საჭირო.

ახლა, როცა შველა თითქოს არსაიდან ჩანს, კვლავ ეკლესიამ უნდა ითავოს ადამიანისა და კულტურის გადარჩენა, რადგან მოვარდნილმა დინებამ კვლავ ამოიტანა ზედაპირზე „გონებაშეზღუდული და პოლიტიკისათვის გამოსადეგი“ (ვ. შკლოვსკი) ძალები, რომლებიც თავის დამკვიდრებას ისტორიულად კულტურის ნგრევის ხარჯზე ახერხებენ. ეკლესიის 70 წლის კატაკომბური არსებობის პირობებში, კულტურა რელიგიის მაგივრობას ასრულებდა. ადამიანის შემოქმედება, სულიერი სიწმინდის წყალობით ზეცნობიერ სამყაროს წვდება და იმ უხილავი სამყაროს ძალებით კვებავს ადამიანს, რომელთა გარეშე არ შეიძლება რაიმე არსებობდეს. მაგრამ დღეს, როცა ეს აუცილებელი მისია რელიგიამ უნდა ითავოს, ვინ განახორციელებს მას, ნუთუ სამღვდელოების ის ნაწილი, რომელიც იგავების მოყოლით შემოიფარგლა; ნუთუ ის ობიექტივიზირებული, კონკრეტული რელიგიურობა — რეალიზმის რელიგია, რომელმაც ქრისტიანულ მისტიკას სათავგადასავლო რომანის იერი მისცა, სენტიმენტალურ ისტორიას დაამსგავსა. ანდა ნუთუ თვით მრევლის დიდი ნაწილის რომანტიული (ხშირად კი მომხმარებლური) დამოკიდებულება რელიგიის მიმართ (თავისებური ათეისტური რელიგიურობა), თბილისში რომ დამკვიდრდა, ის რელიგიაა, რომელიც განსაცდელის ჟამს ადამიანში რწმენას, სიბრძნესა და სიყვარულს წარმოაჩენს?

დღევანდელი ეკლესია რიტუალური მოღვაწეობით არ უნდა შემოიფარგლოს, რომ წარსულ ეპოქათა რესტავრირებულ მუზეუმს არ დაემსგავსოს. XX საუკუნის ადამიანი მოითხოვს, რომ ეკლესიამ მას მიწაზე არსებობის, კულტურის, მეცნიერების, სიცოცხლის რელიგიური უცილობელი სიღრმეები აუხსნას. მაგრამ ფაქტიურად ნაცრიდან აღმდგარ ეკლესიას დღეს ძალზედ უჭირს ამის განხორციელება, სხვა მიზეზთა გარდა, ინტელექტუალური ძალების ნაკლებობის გამო.

დღეს კი, როგორც არასდროს, ადამიანს, სულის ენა სჭირდება, რადგან ბოროტების ხასიათი ალმატება ყოველივეს, რაც კი შეეძლო ადამიანს XX საუკუნემდე წარმოედგინა. ბოროტებამ ყმაწვილობის დრო გაიარა და XX საუკუნის საზღვარს დავაჟკაცებულმა გადმოაბიჯა. ის არა მარტო მომძლავრდა, მან ახალი არსი შეიძინა, გაორებული სინამდვილე და გაორებული ადამიანი შექმნა. რაც სიმაღლისა და სიღრმის, სულისა და ინტელექტის ინტეგრირებულ ერთობას მოითხოვს, რომ ეკლესიის ირგვლივ ესოდენი ენთუზიაზმით დარაზმულმა მრევლმა ვალდებულება ქვეყნის წინაშე ღირსეულად მოიხადოს.

ჩვენი მუსიკოსი კი ქინძმარაულის მეორე ბოთლით და მომაბეზრებელი ამაყი ნიღბით ფრანგ ქალებს დაეძებდა, რომლებიც მეზობელ ვაგონში გაიქცნენ. ასე შებორძიკდა დედმამიშვილობის სადღეგრძელოზე ესპანეთისაკენ გაფრენილ ექსპრესში სადღეგრძელოთა ფეიერვერკი.

ვაგონის ფანჯრიდან მკაფიოდ აკაშკაშებულ ვარსკვლავებს ვუცქეროდი, რომელთა მიმართ ჩვენ თითქოს ადგილიდანაც კი არ ვიძროდით, მხოლოდ მაღლით წასული ფიქრი და ლოცვა თუ აღწევს მიზანს. მახსენდებოდა XIX საუკუნის ჩატეხილი ხიდის ალეგორია და მეცინებოდა, რადგან ვხედავდი, რომ XX საუკუნეში ხიდები კი არ ტყდებოდა, არამედ მეფდებოდა ორის სრულიად სხვადასხვა სამყარო, რომელთა შორის აღარ იყო საერთო არც სიტყვა, არც გრძნობა, არც ფიქრი და არც სამშობლო. მაგრამ XX საუკუნეში გამოყვანილი ეს მოიერიშე ინდივიდუალისტების ახალი ჯიში სამშობლოს არ ეკუთვნის, იგი მასში მხოლოდ დროებითაა ჩაწერილი.

და მაინც ვმშვიდდებოდი, რადგან ფიქრი იმ ქართველებს უბრუნდებოდა, რომლებიც აზვირთებულ ზღვაში ანკარა სასმელი წყლის შადრევნებივით სჩქეფენ („მაგრამ ხომ არცერთი ერისათვის არ არის სათაკილო, რომ მისი საუკეთესო ნაწილი მრავალრიცხოვანი არ არის“ —ლ. ანდრეევი) და რომ ამ საშინელმა ქარიშხალმა ვერ გაუთხარა საძმო საფლავი ქართულ ეკლესიასა და ქართველ ინტელიგენციას.

ჩვენი გმირი კი თავის საყვარელ ენას დაუბრუნდა — ევროპის სივრცეებში კიდევ უფრო გულისამრევად გაისმოდა რჩეული ქართული ქუჩური ლექსიკა.

„სრულყოფდნენ რა გონებას, იწმინდებოდნენ მათი ფიქრები, კეთილშობილდებოდა მათი სიცოცხლე. კეთილშობილდებოდა რა მათი სიცოცხლე, სიფაქიზე ინერგებოდა მათ ოჯახებში. ინერგებოდა რა სიფაქიზე მათ ოჯახებში წესრიგი ყალიბდებოდა მათ სახელმწიფოში და მეფდებოდა მშვიდობა დედამიწაზე“ — კონფუცი.

მატარებელი აახენის ტაძარს უახლოვდებოდა.

# „....მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო?“

## სალიტერატურო ცხოვრებაზე საუბრობენ

როსტომ ჩხეიძე
თამაზ ბიბილური

როსტომ ჩხეიძე: ბატონო თამაზ, ხომ გახსოვთ, ყური მოვკარით თუ არა, არჩილ ჯორჯაძის რჩეულ თხზულებათა გამოცემას აპირებენო, როგორ ვშიშობდით, ვაითუ, წიგნი ერთბაშად გაქრეს და ვერ მივუსწროთთო. და, აი, გამოქვეყნდა ვეება ტომი: კიდეც მივუსწარით და რამდენიმე ცალიც შევიძინეთ, რათა ახლობლებისათვის გვეხახსოვრა, ყველას ხომ არ გაულიმებდა ბედი... ახლა რომ ვიხსენებ, რა მწარედ მეღიმება ჩემს გულუბრყვილობაზე. ალბათ თქვენც ასევე... ნეტა რას ვღელავდით და რა მისწრება უნდოდა — ერთი წელია, მეტიც, დახლებზე ყველგან ვხედავთ ამ წიგნს და ისიც თანდათან იცრიცება და ხუნდება... ის ხუთტომეული, რომელიც ათიან წლებში გამოიცა და ბიბლიოთეკებში არსად გააჭაჭანებდნენ მათი ავტორის სახელის აკრძალვის გამო, მხოლოდ ცალკეულ ოჯახებს შემორჩენოდა და თუმცა ამას უდავოდ აქვს გარკვეული მნიშვნელობა, მაგრამ არც იმდენი, რომ არჩილ ჯორჯაძეს ეროვნულ ცნობიერებაში მტკიცედ მოეპოვებინა თვალსაჩინო ადგილი. ოციანი წლებიდან მოკიდებული, ახალი თაობების სულიერმა დადგინებამ არჩილ ჯორჯაძის გარეშეც ისევე ჩაიარა, როგორც სხვა ქართველი თუ ევროპელი დიდი მოაზროვნეების გარეშე. როგორ ველოდით, როდის დაუბრუნდებოდნენ ისინი ცოცხალ ლიტერატურულ პროცესს და არჩილ ჯორჯაძის თხზულებანიც როგორ იტრიალებდა მის შუაგულში, და კვლავ როგორ მოახდენდა სასიკეთო ზეგავლენას ქართულ აზროვნებაზე... ახლაც ხომ არავინ კრძალავს, არც მარტო თითო-ოროლა ცალია გადარჩენილი... და ნუთუ დღევანდელი ყმაწვილების სულიერმა დადგინებამ მაინც არჩილ ჯორჯაძის გარეშე უნდა ჩაიაროს?

თამაზ ბიბილური: როცა ამას ამბობთ, მხედველობაში, ალბათ, მარტო არჩილ ჯორჯაძის წიგნი არა გაქვთ. საქმე ერთი წიგნის ბედს როდი შეეხება.

რ. ჩ.: რასაკვირველია, ეს მხოლოდ კერძო ნიმუში არ არის, ნიშანდობლივია ჩვენი გარემოსათვის და ამიტომაცაა ასეთი გულსატკენი. და, სხვათა შორის, ეს წუხილი წიგნის ბედზე, თანამედროვე საზოგადოებაში გულისხმობს არამარტო გამოცემულსა და მკითხველის მიერ დუნედ და უხალისოდ შეძენილ შესანიშნავ თხზულებებს, არამედ ჯერჯერობით გამოუცემელ წიგნებსაც, მათ შორის, ვთქვათ, ისეთ დიდებულ ნალვაწს, როგორიცაა პლატონის ტომეულები... ჩემთვის აუხსნელია, როგორ შეიძლება გამომცემლებმა ხელიდან არ წაართვან ბაჩანა ბრეგვაძეს ამ თარგმანთა დახაბეჭდად გამზადებული დედნები... ანდა თუ ზოგიერთი დიალოგის საბოლოოდ დახვეწას, კომენტართა დაზუსტებას ან შევსებას რაიმე აკლია, თავზე არ დაადგე და არ დააჩქარებინო, ამასობაში კი პირველი ტომი უკვე სტამბაში ჩაუშვა, რათა რაც შეიძლება მალე იქცეს ქართულად ამეტყველებული პლატონი ჩვენი კულტურის რეალურად არსებულ ნაწილად და მისი ღირსების ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო დასტურად... თუმცა, ამ გულუბრყვილობებს ვერა და ვერ გადავეჩვიე...

თ. ბ.: რადგან ასეა, მეც მაწუხებს ძალზე უნუგეშო კითხვა: ჭირდება კი დღეს ვინმეს წიგნი? კითხულობს ვინმე ლიტერატურას?

დიახ, კითხულობს — მომიგებს ყველა, ვინც მოწმე ყოფილა, როგორ იტაცებს „მადლიერი მკითხველი“ წიგნს, რომელსაც ათი, თხუთმეტი, ოცი მანეთის ღირებულება დაუწესა თვით „თავმდაბალმა ავტორმა“ ან მისმა კოოპერატორმა გამომცემელმა, რომელსაც, რაღაც წელიწადნახევარში, მგლის მადა დაჰყოლია.

ცნობილია გამოთქმა: რაც უფრო ნაკლებად კითხულობენ წიგნს, მით უფრო მეტად იძენენო... ვშიშობ, რომ სწორედ ასეა...

ვთქვი ეს და თვალწინ დამიდგნენ წამოქოჩრილი „მკითხველები“.

დამშვიდდით, ბატონებო და, განსაკუთრებით — ქალბატონებო. მე მართლა მკითხველებზე არ ვლაპარაკობ. მკითხველები ცოტანი ხართ, ხალხი მხოლოდ მკითხველთა კრებული არ გახლავთ.

და მაინც, ნურც ჩვენ დავივიწყებთ საუკუნის დასაწყისის დიდ მოღვაწეს და უზადო ლიტერატორს — არჩილ ჯორჯაძეს. იმ ამბავში, თავიდან რომ ხინანულით დაიჩივლეთ, ბევრი რამ ჩვენივე ბრალია. მახსოვს, ასე იყო მაშინაც, როცა ივანე ჯავახიშვილის ტომეულები გამოვიდა (ახლანდელ გამოცემას არ ვგულისხმობ). მაშინაც ვფიქრობდი, ეს წიგნი ჩვენს ქალაქებში გაბნეული ინსტიტუტების ისტორიული ფაკულტეტის სტუდენტებს მაინც რომ შეეძინათ, ერთი ცალიც არ დარჩებოდა-მეთქი. არ ვიცი, დამეთანხმებით თუ არა, ერთი რამ კი, ასე მგონია, ჩვენს შორის სადავო არ გახდება: ამ უბედურებაში (სხვანაირად ვერ უწოდებ) ივანე ჯავახიშვილს და არჩილ ჯორჯაძეს ოდნავადაც არ მიუძღვით ბრალი.

მაგრამ ეს ყოველივე არ მიკვირს. ალბათ, მუდამ ასე იყო. ჩვენ წლების მანძილზე გვიმტკიცებდნენ, რომ ლიტერატურა და ხელოვნება „ხალხური“ უნდა იყოს, „ხალხის კუთვნილება“, ხალხისთვის ადვილად გასაგები. რა მეთქმის, სწორეა. მაგრამ ვერსად წაუხვალ იმასაც, რომ ლიტერატურას აქვს რაღაც „ელიტარული“ და ყველასთვის ერთნაირად მისაღები არ არის, თავს შენგან ცოტა შორს იჭერს, მაგრამ, საბედნიეროდ, მისი ელიტარულობა არ არის ეგოისტური და ფუყე. კარს გულღიად გაგიღებს, თუ შეგატყო, რომ მისი ფასი იცი. ნამდვილ ლიტერატურას არ უყვარს ზერელე მკითხველი. ის ამგვარ მკითხველს თავს არიდებს, ემალება და ხელში რაღაც სხვა, შემთხვევით წიგნებს აჩეჩებს, აჰა, გაერთეო. ამიტომ, თუ იმას ვიტყვით, მთელი მსოფლიოს მკითხველი მართლა მკითხველია, ჩვენი კი არაო, ამით ქართველი მკითხველის წინაშე დიდ ცოდვას ჩავიდენთ. ამერიკელ მოქალაქეთა ოთხმოც პროცენტს, ალბათ, ფოლკნერი ხელშიც არ აუღია. ჰემინგუეის კი თავისი თანამოქალაქენი მეთევზედ და მონადირედ იცნობდნენ უპირატესად.

მგონი ამაზეც ვიცი, რას მეტყვიან ჩემი ოპონენტები: ჩვენთან, საქართველოში სულ სხვა იყო, ჩვენთან მწერლებს მუდამ ერის მამებს ეძახდნენო. ჯერ ერთი, არ ვიცით, ერის მამად მიაჩნდათ თუ არა რუსთველი, ან რა ბედი ეწია ბოლოს, დიდებას მიაღწია თუ მოიკვეთეს. ყოველ შემთხვევაში, დიდებამიღწეულ პოეტზე ის მაინც ზუსტად გვეცოდინებოდა, ვინ იყო, სადაური, სად იცხოვრა და სად აღესრულა. არც ვაჟა-ფშაველა გვყავდა განებივრებული. იმდენი ლანძღვა, რაც ვაჟას დაატყდა — დაწყებული მისი უხირი თანამოკალმეებიდან, თვით სტალინის ჩათვლით, ბევრ მწერალს არ რგებია დედამიწის ზურგზე.

ვაჟა-ფშაველა თავს ყველაზე უფრო კარგად ისეთ ხეპტაკ და თავმდაბალ ადამიანთან გრძნობდა, როგორიც შიო მღვიმელი იყო. შიო მღვიმელთან მეგობრობდა... ეს უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი განჯაში, მარტოობაში აღესრულა, ზუსტად ისე, როგორც თავის „მერანში“ იწინასწარმეტყველა. დავით გურამიშვილმა უკრაინაში გაატარა თავისი სიბერე და საქართველოში მაინცდამაინც თავი არ აუტკივებიათ ლეკებისაგან მოტაცებული პოეტის მოსაძებნად. ევროპიდან დაბრუნებული სულხან-საბა ორბელიანი თმებით ათრიეს სვეტიცხოვლის ეზოში. გიორგი ათონელი „მაბრალობლებმა“ ისე გააწამეს, დიდ ხანს ველარ გაჩერდა საქართველოში და გზად კონსტანტინოპოლში მიიცვალა. გალაკტიონ ტაბიძეს რამდენი უნიჭო „უმტკიცებდა“, მე შენზე დიდი პოეტი ვარო. ილიას ხომ თითქმის ახლახანს ესროლეს ტყვია „ახლებურად მოაზროვნე“, რევოლუციურად განწყობილმა ახალგაზრდებმა.

გავაგრძელოთ? მგონი არა ღირს. ეს ხომ ყველამ ვიცით, და მაინც თავს ისე ვიჭერთ, ვითომ არც ვიცოდეთ.

ბოლო ხანს ხშირად გაიგონებთ ძალზე საეჭვო „თეორიას“: როცა დღეს საქართველოს ასე უჭირს, უხერხულიც კია ლაპარაკი წიგნზე, თეატრზე, კინოზე, საერთოდ კულტურაზეო. ეს მარტო მცდარი კი არა, საზიანო „თეორიაა“. მაშ, როდისღა ელირება? როცა დალხინებულ ცხოვრებას მივეცემით? დალხინებული ცხოვრება დღეს ჩვენში არცთუ ისე ცოტას აქვს, მაგრამ არ მჯერა, რომ იმ ხალხს ხელში სულ წიგნი უჭირავს და ყოველ ღამეს საოპერო და საბალეტო სპექტაკლებზე, კლასიკური მუსიკის საღამოებზე ატარებდეს. მე თუ მკითხავენ, ახლა უფრო გვჭირდება წიგნიც, თეატრიც, კინოც და მუსიკაც. არ გვჭირდებაო, მხოლოდ ის იტყვის, ვინც ყოველივე ამაში დაფა-ზურნას და გართობას ხედავს. გასართობად სხვა საქმე გამოვნახოთ. ასე რომ, ხელოვნების არც ერთ დარგს და, მით უმეტეს, ლიტერატურას, საბოდიშო არაფერი ჭირს, მაპატიეთ, რომ ამ მძიმე ჟამს მაინც ვარსებობო. ის არსებობს სწორედ იმიტომ, რომ მძიმე ჟამი როგორმე გადავიტანოთ.

რ. ჩ.: წელიწადნახევარიც იქნება, რაც სრულიად შეიცვალა ჩვენი საზოგადოებრივი ყოფის გარკვეული მხარეები. და თუმცა კვლავინდებურად ვდგავართ მკაცრი რეალობისა და ბედისწერის წინაშე, მაგრამ ის ხომ მაინც ცხადია, რომ ჩვენმა უბედურმა ქვეყანამ (როგორც იმპერიის სხვა რესპუბლიკებმა) სიტყვის ერთგვარი თავისუფლება მოიპოვა. ამის მიზეზებს აქ ნულა გავყვებით, ნურც იმას, რანაირად წარიმართება საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, უბრალოდ, ვთქვათ ის, რაც ნამდვილად არის. და სიტყვის თავისუფლების ამ ფონზე ვეცადოთ დავუკვირდეთ და რამდენადმე განვჭვრიტოთ ლიტერატურის დანიშნულება დღეს და მისი მიმართულების გეზი.

განსხვავებით აქამდელი ხანისაგან, ეს ყოველივე სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება, ანუ უნდა დავუბრუნდეთ იმ ჭეშმარიტებას, რომ ლიტერატურული ჟანრები, პირველ ყოვლისა, მხატვრულ-ესთეტიკური მოვლენაა. ამიტომ დღეს მწერალი ვერაფერს მიაღწევს იმით, რაც აქამდე გაბედულებად ითვლებოდა. აშკარაა: გადაფასდება არამარტო, ეგრეთწოდებული „სოციალისტური რეალიზმის“ მეთოდით შექმნილი ნაწარმოებები, არამედ ის თხზულებანიც, რომელნიც მხოლოდ გაბედული ქვეტექსტების იმედად შეიქმნა, ხოლო მართლაც უმწვავესმა ეროვნულმა და სოციალურმა პრობლემებმა ღირსეული მხატვრული გააზრება ვერ შეიძინა. ლიტერატურისა და ერის ცხოვრებისათვის ამას უთუოდ აქვს თავისი მნიშვნელობა, მაგრამ თუ დიდი ლიტერატურის სიმაღლიდან შევხედავთ — არავითარი. თხზულების ბიოგრაფია, თუნდ მღელვარე და შთამბეჭდავი, საბოლოოდ ხომ მაინც ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს თვით თხზულების ბედზე.

ხანიმუშოდ თუნდ თქვენი შემოქმედებიდან გავიხსენებ: ის, რომ 70-იან წლებში თქვენი მოქალაქეობრივი მრწამსი მკაფიოდ გამოიკვეთა მოთხრობაში „ჩივილი“ (მძაფრი პაციფისტური პათოსი) და რომანში „ჟამი კითხულისა“ (ტირანული სახელმწიფოს არსის გაშიშვლება), დამეთანხმებით, დღესდღეობით სრულიად არაფერს ნიშნავს ამ თხზულებათა მხატვრული ღირებულების შეფასებისას. ლიტერატურის ისტორია თავისას მოგაგებდათ, მაგრამ თუ არა მათი უდავო ესთეტიკური ღირსებანი, სხვა რა გზა გექნებოდათ, უნდა შერიგებოდით მათ გაუფასურებას... ბოლოს და ბოლოს, თქვენ პირდაპირ არც კი გიწერიათ, რომ ჯილაურების ბიჭი საოკუპაციო ჯარში მიჰყავთ და, თვითონ დაპყრობილი ერის შვილი, სხვათა პოლიტიკურ ინტერესებს უნდა შეეწიროს. არც ჯარისკაცური ცხოვრების შემზარავობას აღწერთ... ანდა რომანში დახატული ტირანული გარემოც ზოგადი მოდელი უფროა, ვიდრე ის იმპერიული სახელმწიფო, ვის კაბალაშიც ჩაგვაგდო უბედობამ... მაგრამ ორივეგან არის ის იდუმალება და სიღრმე, ადამიანური ფსიქიკის და ყოფით მოვლენათა დაფარული შრეების წვდომა და ანალიზი, და მერე ამ ყოველივეს ოსტატური მხატვრული ხორცშესხმა, რაც განსაზღვრავს მათი შემოქმედების ძალას.

ეს ნათელი იქნებოდა თავის დროზეც, მით უფრო თვალსაჩინოდ იკვეთება დღეს, თორემ გაბედული ქვეტექსტებით რომ შემოფარგლულიყავით, ისეთი რა შეიძლება დაგეწერათ და დაგებეჭდათ სასტიკი ცენზურის პირობებში, რაც ჩვენს თვალწინ გამომჟღავნებული უთვალავი რეალური ფაქტის საშინელებას დაფარავდა, მეტიც — ოდნავ მიუახლოვდებოდა.

ჩვენს თანამედროვე ლიტერატურაში ამ თვალსაზრისით გამოირჩევა არაერთი თხზულება, დღევანდელ ვითარებაშიც რომ ინარჩუნებენ უდავო მხატვრულ მნიშვნელობას და წარმოგვიდგებიან არა მარტოდენ გარკვეული ეპოქის დოკუმენტებად და მასალად სოციოლოგებისათვის, ფსიქოლოგებისათვის, ფილოსოფოსებისათვის, არამედ, უპირველესად, ესთეტიკურ ქმნილებებად...

განა ოდნავ მაინც აკლდება შთამბეჭდაობა იმ მკაცრ სატირას ტირანულ სახელმწიფოზე რაც გურამ დოჩანაშვილის რომანში, „სამოსელი პირველი“, არის გამოხატული?

განა ის სრულიად აბსურდული ყოფა, რეზო ჭეიშვილმა რომ გადაგვიშალა თვალწინ (განსაკუთრებით მაინც გამოვყოფ მოთხრობებს: „კვამლი“, „გია“, „ვაიმე, ჩემო ვენახო“, „მეოთხე სიმფონია“) ოდნავ მაინც გაფერმკრთალდება მას მერე, რაც თვითონ ხელისუფლებამ აღიარა, აბსურდულ ყოფაში ჩაგყარეთო?

განა ნაირა გელაშვილის მოთხრობას, „მივემგზავრებით მადრიდს“, მოაკლდება სულ მცირე ღირსებაც, მას შემდეგ, რაც პირუთვნელად შეფასდა ტოტალიტარული რეჟიმის დამთრგუნველი ზემოქმედება პიროვნების ფსიქიკაზე და მისგან გაქცევის მცდელობანი (მათ შორის, 1983 წლის ნოემბრის ტრაგიკული აქცია)?

განა გურამ გეგეშიძის რომანის, „სისხლის წვიმებს“, მხატვრული ღირებულება ჰკარგავს რაიმეს 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებული შემზარავი დოკუმენტების გამომზეურების ფონზე?

ანდა განა გივი მაღულარიას რომანს „უკუქცევას“, აკლებს შთამბეჭდაობას საკონცენტრაციო ბანაკთა სასტიკი ყოფის ლამის ნიუანსობრივი გამომჟღავნება ასევე დოკუმენტების მიხედვით? ის, რომ ეს რომანი 1962 წელს დაიწერა და დაბეჭდვით მხოლოდ 1989 წელს დაიბეჭდა, მას იოტისოდენა უპირატესობასაც ვერ მიანიჭებდა, თვითონ რომ არ იყოს მხატვრულად შესანიშნავი. არც ავტორის გატანჯულ ყოფას, მის რვაწლიან პატიმრობას ამგვარ ბანაკში ექნებოდა რაიმე მნიშვნელობა. ახლა კი ეს ყოველივე სავსებით ბუნებრივად ჩნდება მსჯელობაში.

ეს მხოლოდ სახელდახელოდ გახსენებული ცალკეული ნიმუშებია (ისიც მხოლოდ ბელეტრისტიკიდან, თანაც შედარებით ბოლოდროინდელი), ოღონდ მკაფიოდ წარმოაჩენს ჩვენი თანამედროვე ლიტერატურის სიღრმეს, რანგსა და ღირსებებს. აშკარაა, რომ ტოტალიტარულმა რეჟიმმა ვერც მისი სიმართლის თქმის უნარი ჩაკლა (მხილების გარეშე არ დარჩენილა სოციალისტური სისტემის არც ერთი შავბნელი მხარე) და ვერც მხატვრული ღირებულება გააუფასურა.

და ვერც დღევანდელ დღეს შეაფასებს ვინმე მწერალზე უკეთესად, იმ ყაიდისა და იშვიათი შინაგანი გულწრფელობით აღვსილ მწერალზე უკეთ, მიხეილ ჯავახიშვილი რომ იყო: ვინც სიმართლის თქმისთვის არც მტრის გადაკიდებას ერიდებოდა და არც მოყვრისა.

ხოლო ამჟამად უთუოდ დასაფიქრებელია, რა გზით წარიმართება ჩვენი ლიტერატურის ბუნებრივი განვითარება. სიტყვის თავისუფლება, შემზარავი წინააღმდეგობის შენელება — რაოდენ პარადოქსულიც უნდა ჩანდეს — გარკვეულ ჩიხში მომწყვდევით ხომ არ დაემუქრება მის გზას?.. მით უმეტეს: პუბლიცისტიკისა და ფსევდოპუბლიცისტიკის ზღვა არც ისე არადჩასაგდები საფრთხეა... მე მტკიცედ მჯერა იმ ჭეშმარიტებისა, რომ მწერლობა პროფესია კი არ არის, ბედისწერაა. — და მისი ბუნებრივი განვითარებისაც მჯერა. თქვენი თქმისა არ იყოს, ეს მძიმე ჟამიც ლიტერატურამ უნდა გადაგვატანინოს. მაგრამ დღევანდელმა დღემ მწერლობის დანიშნულება ცოტა სხვაგვარად რომ გამოაჩინა, ამ პრობლემის ირგვლივ თვითონ მწერალთა მოსაზრებების მოსმენა განსაკუთრებით საგულისხმო უნდა იყოს. ნურავინ იტყვის, დაველოდოთ და თავისთავად გამოჩნდება, ვინ რა გზას დაადგება ან გადასაფასებელი აქვს თუ არა რაიმე თავის მხატვრულ-ესთეტიკურ მრწამსში. დალოდებით, ცხადია, დაველოდებით, მაგრამ ლიტერატურულ ატმოსფეროს, ლიტერატურული ცხოვრების ნამდვილ შინაარსს ხომ, რაც უნდა იყოს, თეორიული შეხედულებანი და დაკვირვებანი ჰქმნის.

თ. ბ.: მაგ გვარებსა და ნაწარმოებებს (საბედნიეროდ) უფრო მეტად გავამდიდრებდი. მაგრამ მთავარი მაინც გვარები როდია. მთავარი ისაა, რომ ჩვენ ნიჭიერი და განათლებული მწერლები არ გვაკლია. თუ მათ ასპარეზი მიეცემათ, ყველა ნახავს რასაც გააკეთებენ. ბოლო ათეულ წლებში ნამდვილი ქართული პროზა არ იყო „პროვინციული პროზა“ (მე პროზაიკოსი ვარ და პროზაზე იმიტომ ვლაპარაკობ). ამას ყველგან კარგად გრძნობდნენ, სადაც ცოტათი მაინც გვიცნობდნენ. ოთარ ჭილაძის პროზა დიდი მოწონებით მიიღეს უცხოეთის ბევრ ქვეყანაში და ეს სრულიად ბუნებრივი იყო. ვინ იცის, იქნებ ქართველ მწერლებს მცირე ერის შვილობა უშლით ხელს, თორემ ბევრი სიკეთე უფრო აშკარად გამოჩნდებოდა.

უბედურება უფრო ის იყო, რომ ჩვენში კრიტიკა უმეტესწილად დუმილის ბოიკოტს აცხადებდა; ნიჰილისტურად განწყობილი, ჯიუტად ვერ ხედავდა ვერაფერს. კრიტიკა გაუბედავი იყო. გამოჩნდებოდა ნაწარმოები და ერთ-ორ წელიწადს ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა, ვაითუ ისეთი არ არის, როგორიც საჭიროა და დუმილი მე დავარღვიოო. კრიტიკა ოფიციალურად უარყოფილ ნაწარმოებებს ან გვარებს შიშით უვლიდა გვერდზე და თავისი აზრის გამოთქმას გაურბოდა. დაბოლოს კრიტიკა არ იყო პროფესიული. კრიტიკოსები უმეტესწილად ისინი იყვნენ, ვინც თავად ვერ გახდა მწერალი და მხატვრული ნაწარმოების ანალიზი მის ძალას აღემატებოდა.

ეს დღემდე გრძელდება.

ესაა ერთი მიზეზიც იმისა, რომ კრიტიკოსებმა ადვილად დათმეს თავიანთი პროფესია და ერთბაშად გადასახლდნენ პუბლიცისტიკაში.

ვიცი, ესეც დრომ მოიტანა, მაგრამ როცა დროს უწევ ანგარიშს, შენი მთავარი საქმე მაინც არ უნდა დაივიწყო.

მწერლობის ირგვლივ მართლაც დათბა. შედარებაც არ შეიძლება. დღეს, არც ერთი ნაწარმოები არ დარჩება გამოუქვეყნებელი, მხოლოდ იმის გამო, რომ ის „თამამია“, „მამხილებელი“ და სხვა. მე ისიც არ ვიცი, მამხილებლობა უნდა იყოს თუ არა მწერლობის აუცი-

(გაგრძელება მე-6 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

ლებული თვისება. იქნებ ეს საქმე ჟურნალისტიკისათვის დავუთმო? არ ვიცი, თქვენც გრძნობთ თუ არა, რომ თითქმის ხუთიოდე წელია ქართულ მწერლობაში „დიდი დუმილი" ჩამოვარდა. თითქოს ყველა იმას ფიქრობს, ახლა რაღა ვქნაო. არის გამონაკლისებიც, მაგრამ მე საერთო ტენდენციაზე მოგახსენებთ. აწე მგონია, ქართულ მწერლობას ბევრი არ აღმოაჩნდა უჯრაში შენახული ნაწერები, ნაწარმოებები, რომლებიც იმის ურყევი რწმენით იქმნებოდა, რომ ოდესმე აუცილებლად იხილავდა დღის სინათლეს. ეს ფაქტი, კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რა დიდი შიში და ტერორი მძვინვარებდა ირგვლივ. როგორ არ ვიყავით დაზღვეული, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ან უფრო სწორად — „ერთ მშვენიერ ღამეს", შენს უჯრაშიც ჩაიხედავდნენ და შენს სულშიც.

რაც შეეხება „პუბლიცისტურ საფრთხეს", სწორად მიუთითებთ. ეს საფრთხე უკვე რეალურია და მწერლობას მის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი, საუკუნეობით ნაცადი იარაღი გააჩნია: მაღალი ესთეტიკური ღირებულება...

მე არ ვიცი, ხვალ რას დაწერენ მწერლები, რომლებიც წლების მანძილზე მხოლოდ თავმჯდომარის და ბრიგადირის კონფლიქტზე წერდნენ, ან ამხელდნენ კომბინატორს, რომელმაც ორსართულიანი სახლი აიშენა და „ვოლგა" შეიძინა, ან გმობდნენ დისერტანტს, რომელმაც თავისი ასპირანტის შრომა მიითვისა. აღარ დაწერონო? არ იფიქროთ! ამგვარ „კონფლიქტებს" ჩვენი მკითხველი დღესაც ხარბად ეტანება. გადახედეთ მამასისხლად დაფასებულ, სახელდახელოდ გამომცხვარ რომანებს და დარწმუნდებით.

რას დაწერენ მწერლები, რომელნიც აქამდეც პატიოსნად წერდნენ? გამოიყენებენ დღეს არსებულ ხელსაყრელ შესაძლებლობებს თუ ახალი დაწოლის, ახალი „საზოგადოებრივი ცენზურის" მსხვერპლნი გახდებიან? რას გვიქადის ხვალინდელი დღე? მინდა მჯეროდეს, რომ ნათელს, რადგან არსებობენ მწერლები, რომელთაც დიდი არჩევანის გაკეთება არ დასჭირდებათ. მათი დუმილი ჩვეულებრივი შემოქმედის დუმილია, რომელიც კატაკლიზმების გარეშეც შეიძლება ჩამოვარდეს.

რ. ჩ.: და ხვალინდელი დღე რომ მწერლობისათვის მართლაც ნათელი იყოს, რაკი თანდათან ყველაფერი თავისუფლდება „ცენტრალიზებისაგან", პირველ რიგში, ლიტერატურა უნდა განთავისუფლებულიყო: ანაქრონიზმად გამოიყურება, რომ გამომცემლობები და რედაქციები ვისიმე ძალაუფლებას ემორჩილებოდნენ, მათ ბედს სხვა უწყება განაგებდეს. სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს პიროვნული ღირსებანი და თუ ასეთ ადამიანებს სრული გასაქანი არ მიეცათ, მათი ღირსებანი კვლავინდებურად შეიზღუდება. გამომცემლობა „საქართველოში" ახლაც იგონებენ: როცა ამ ოცი წლის წინათ მის დირექტორად ვახტანგ ჭელიძე დაუნიშნავთ, პავლე ინგოროყვას უთქვამს, ძალიან იშვიათია, რომ ამ უკუღმართ ქვეყანაში კაცი მართლა თავის შესაფერის ადგილზე მოღვაწეობდეს და ეს სწორედ ის იშვიათი შემთხვევააო. თუ მწერალთა კავშირის, ანუ საერთოდ ყოველგვარი შემოქმედება შეწყდება, ამგვარი შემთხვევები უკვე ჩვეულებრივი რამ გახდება ჩვენს საზოგადოებრივსა და კულტურულ ცხოვრებაში.

თ. ბ.: ბატონ ვახტანგთან წლების მანძილზე ვიმუშავე. იმ დროს თქვენც გიმუშავიათ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციაში. სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ ახლა მარტო იმას ვიტყვი, რომ ვახტანგ ჭელიძემ ქართულ ლიტერატურას შემატა მრავალრიცხოვანი თარგმანები — შექსპირითა და მილტონით დაწყებული, სტაინბეკით და ჰემინგუეით დამთავრებული; აღზარდა „ცისკრელთა" მთელი თაობა; დააარსა „ხომლი", „მსოფლიო ლიტერატურის ოთხმოცტომეულის სერია". ქართველ ახალგაზრდა მთარგმნელებს, შეძლებისდაგვარად, მისცა ასპარეზი. ახლა „ქართლის ცხოვრების ქრონიკები"? მე ამ წიგნს ყველა ქართველ მოზარდს წავაკითხებდი... ეს ყოველივე ყველამ იცის, და მე მხოლოდ იმიტომ გაგახსენეთ, რომ მეთქვა: ამ კაცს, „ცისკრიდან" მოყოლებული და „ლიტერატურული საქართველოთი" დამთავრებული, ყოველდღე დაარბენინებდნენ ცეკაში, ამა და ამ ლექსში, თქვენ რომ გამოაქვეყნეთ, ქრისტე რატომაა ნახსენები, ან სვეტიცხოვლის ფოტო პირველ გვერდზე რად დაბეჭდეთო, და რაზე აღარ...

სხვასაც გეტყვით, თუმცა, ამაზე თქმა თქვენ რად გინდათ: ოთარ ჩხეიძის რომანები „ბურუსი", „მეჩეჩი", „ბორიაყი" თავის დროზე გმირობას უდრიდა. მე თვით ვყოფილვარ მოწმე, როცა ერთ „დიდ კაცს" თავის კაბინეტში უთქვამს: ვინ არის ეს ოთარ ჩხეიძე, ბოლოს და ბოლოს უნდა დავინტერესდეთ, რას წერსო.

რატომ გავიხსენე ეს ორი მაგალითი? ისევ იმიტომ, რომ ხაზგასმით ვთქვა: პატიოსანი მწერლები „იმ წლებშიც" იყვნენ და, საბედნიეროდ, დღესაც არიან.

და მაინც, დღეს არსებული ვითარება არ მახვენებს. მგონი ნამდვილი მწერლისათვის ძნელი დღე დგება, ნამდვილი მწერლობა მკითხველამდე ძლივს იკაფავს გზას. გაძნელდა კი არა, თითქმის შეუძლებელი გახდა წიგნის გამოცემა შექმნილი მდგომარეობა პირდაპირ გკარნახობს კონიუნქტურას, და ეს სადამდე მიგვიყვანს, არავინ იცის.

მე ვიცი, რომ არც უცხოეთის ქვეყნებშია ადვილი ნამდვილი მწერლის ცხოვრება. იქაც გამოდის აუარებელი ფსევდო-ლიტერატურა, მაგრამ იქაურმა ყოველმა ჭკვიანმა გამომცემელმა იცის, რომ ათი და ოცი მომგებიანი, კომერციული წიგნის ხარჯზე აუცილებლად უნდა გამოსცეს „წამგებიანი ფოლკნერი", თუ სურს, რომ მის გამომცემლობას ანგარიში გაუწიონ და ჭეშმარიტი კულტურის გზის გამკვლევად მიიჩნიონ. ასეა ხელოვნებაშიც. ჩვენს ახალგაზრდობას რომ ჰკითხო, ალბათ ჰგონია, რომ მთელი ამერიკა მხოლოდ როკ-მუსიკაზეა გადასული. ცოტამ თუ იცის, რომ ამერიკაში ჰყავის კლასიკური მუსიკა, თეატრი, უმაღლესი დონის ბალეტი, აქვთ დიდებული საკონცერტო და საგამოფენო დარბაზები, ჰყავთ პირველხარისხოვანი მუსიკოსები და ზოგჯერ საშუალო ამერიკელიც კი არ იშურებს ერთი კონცერტისათვის გადაიხადოს ასი და ორასი დოლარი.

ამით რისი თქმა მინდოდა? ნუ გავაკვირვებთ ჩვენში ფსევდოკულტურის მოძალებას, მაგრამ ყველაფერი გავაკეთოთ საიმისოდ, რომ მის გვერდით, გვერდით კი არა, მის ზემოთ, ნამდვილი კულტურა ჰყვაოდეს. დადგა დრო, რომ ჭეშმარიტი ქართველი მწერალი თვითონ აღარ იდგეს გამომცემლობების, თეატრის, კინოს კართან, როგორც ღარიბი ნათესავი; რომ მას იწვევდნენ, მისი ახალი ნაწარმოებების გამოცემაში თუ დადგმაში ერთმანეთს ეცილებოდნენ. დამიჯერონ, ეს არ დაამცირებს არც გამომცემელს, არც თეატრს, არც კინოს. ამით გაკეთდება დიდი ეროვნული საქმე, ქართული კულტურა ფართო ასპარეზზე გამოვა.

დღეს ჩვენში, ცხოვრების ყველა უბანზე, ორი უკიდურესობაა აშკარა: ერთის მხრივ — მაღალი სულიერი კულტურა და მეორეს მხრივ — შემზარავი უკულტურობა. ერთის მხრივ — განუსაზღვრელი სიმდიდრე და მეორეს მხრივ — სილატაკე. გავიხსენოთ თუნდაც ვეება რიგები გადამწიფებულ საზამთროზე, ნახევრად დამპალ კომბოსტოზე, ლაფში ამოგანგლულ ჭარხალზე და სტაფილოზე, დაჭიანებულ ვაშლზე... ვინა დგანან ამ რიგში? ჩვენი „ცოდვილი" ინტელიგენტები, მოზომილი ხელფასის ანაბარა დარჩენილი ტრადიციული ქართული ოჯახები; დიდებული, თავმდაბალი მანდილოსნები — სევდიანები, დაფიქრებულნი, ხმადაბლა მოლაპარაკენი, გაურკვეველი მომავლის მოლოდინით შეპყრობილნი... ამგვარი სურათის მერე ჩვენ ხელაღებული სიამაყის, მაღალფარდოვანი სადღეგრძელოების წარმოთქმის მორალური უფლება არა გვაქვს. ჩვენს გარდა, მხოლოდ თავისი დიდებული წარსულით, მგონი აღარავინ ტკბება. ყველა რაღაც ძალისხმევას ცდილობს, ყველა მეგობრებს იძენს, რათა ამ მართლაც არეულ წუთისოფელში, თავიც გადაირჩინოს და მოყვასიც გადაარჩინოს.

ჩვენ ჩაკეტილები ვართ. ასე იყო მთელი საუკუნე და დღესაც ასე გრძელდება. ამას ისე მივეჩვიეთ, ჩვენს ხასიათზე და ფსიქიკაზეც კი იმოქმედა. გლობალური პრობლემები, რომელზეც მთელი კაცობრიობა იმტვრევს თავს (პოლიტიკური, ეკოლოგიური თუ სხვა), თითქოს არც გვაღელვებს. თითქოს ყველაფერი ჩვენს გარეშე ხდება. მე ისიც კი მსმენია, ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს და იმას მივხედოთ, ყველამ თავის თავს მოუაროსო. დღეს კი დედამიწაზე მარტო „ჩვენი საქმე" არ არსებობს. გულგრილ განწყობილებას საშიში და გამოუსწორებელი შედეგი შეიძლება მოჰყვეს: ჩვენს მიმართაც გულგრილნი იქნებიან. იქნებიან კი არა, მგონი არიან კიდეც. თუ ცხრა აპრილის ტრაგედიას ვინმე გულწრფელი თანაგრძნობით შეხვდა, ეს ძირითადად მხოლოდ თანაგრძნობის ფარგლებში დარჩა (თუ არ ვცდები), არავის უშიშვლია იმპერიის წინააღმდეგ ხმალი. ბევრზე ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში, რომლებზედაც ხშირად ეფემერულ იმედებსაც კი ვამყარებთ, ჩვენი არსებობა ორიოდე მოქალაქემ ან კონგრესმენმა თუ იცის.

ჩვენ დიდი მნიშვნელობა არ უნდა მივცეთ გადამეტებულ ქებას, და არც ისაა ტრაგიკული, თუ ვინმე გვაძაგებს. საბედნიეროდ, მტრებიც გვყავს და მეგობრებიც. ნუ ვიფიქრებთ, რომ ყველაფერი ძალზე შორს, სადღაც ხდება, უბედურება სადღაც დაძრწის და ჩვენს „საიმედოდ დაცულ" საზღვრებზე გადმობიჯებას ვერ შეძლებს, ჩვენს იარაღს წინ ვერ დაუდგება. ხოლო რა იარაღი გვაქვს არსენალში, ეს ყველამ იცის.

გარშემო ლამის განუკითხაობა სუფევს. დღეს კი შეიძლება ყველაფერი გვეპატიოს, განუკითხაობა კი — არა. ფასეულობათა გადაფასება მხოლოდ მაშინ ხდება სასიკეთო, როცა იგი ჭეშმარიტ ფასეულობათა გამომზეურებას ისახავს მიზნად. გარშემო ყველაფერი იცვლება და ქართული კულტურაც (ზნეობრივი თუ სულიერი) დაცემას კი არა, აღმავლობას უნდა იწყებდეს. სხვანაირად გაჭირდება მომავლისაკენ იმედის თვალით გახედვა.

მაპატიეთ, რომ სიტყვა გავაგრძელე და ყველაფერს გადავწვდი. ასე დიალოგი კი არა, მონოლოგი გამოგვივა...

რ. ჩ.: ოციანი წლებიდან მოყოლებული, ჩვენი ლიტერატურის ბუნებრივი განვითარების გზა, ის დედოძარღვი, რაც გადარჩა და რამაც იხსნა ჩვენი ეროვნული ცნობიერება და ტრადიციები გადაგვარებისა და გაქრობისაგან, აქამდე ისეთ წყვდიადში ჩაძირულიყო, რომ აღარც უნდა გვიკვირდეს, როცა მის ღირსებასა და მნიშვნელობას (ისტორიულსაც და მომავალი ცხოვრებისთვისაც) მაინცდამაინც დიდი პატივით არ მოიხსენიებენ ხოლმე. ნუ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ეს სულ ვულგარული სოციოლოგიისა და სოციალისტური რეალიზმის გაბატონების ბრალია კრიტიკულ აზროვნებაშიო. ეს არალიტერატურული მეთოდები ხომ ჩვენს თვალწინ გაკოტრდა და გაცამტვერდა და ახლაც ხომ ხელს არაფერი გვიშლის, ყოველივე პირუთვნელად და მართებულად ავხსნათ, მისი ღრმა შრეების ამოცნობას ვეცადოთ, მხატვრული აზროვნების ბუნებრივი გზა ჩვენს დროში ერთ მთლიანობად გავიაზროთ.

და ვიდრე ეს არ მოგვარებულა, ვიდრე მწერლობა თვითონვე არ წარმოაჩენს ამ სრულსა და უდავოდ შთამბეჭდავ სურათს თავისი უახლესი ისტორიისა და დღევანდელი დღისა, ნურც ნურავის მოვთხოვთ, ლიტერატურის განსაკუთრებული დანიშნულება და მნიშვნელობა აღიაროს და დიდი პატივისცემითაც მოეკიდოს.

ხომ გახსოვთ გალაკტიონის ის ჩანაწერი, „მპარავენ რითმებს თვალს და ხელ შუა და თან მეუბნებიან: შენ ვინ ხარო", ინტონაციურად თითქოს სულ სხვაგვარ გაგრძელებას რომ გულისხმობს (თითქოს ანათემას უნდა გადასცეს მოძალადენი და თავისი უცოდველობა შეგვაბრალოსო), როგორ ღრმააზროვნად ბოლოვდება — „მართალნი არიან: თუ თავის საქონელს ვერ უვლი კაცი, ვინ უნდა იყოს მართლა?"

და როცა აბუჩად იგდებენ მწერლობას, უნდა ვაღიაროთ, რომ მართლები არიან: თუ შენი ლიტერატურისთვის ვერ მოგივლია და ვერ დაგიცავს, ვინ უნდა იყოს მართლა, ანდა რაღა ხმა ამოგელება.

თ. ბ.: დავიწყოთ „მწერლობის აბუჩად აგდებით". მოდით, პირდაპირ ვთქვათ: მწერლობის აბუჩად აგდება უკულტურობაა! მწერლობას აბუჩად არ იგდებენ. მწერლობას საყვედურობენ. მწერლობას სთხოვენ... ეს არის და ეს.. ამაზე შორს არ უნდა შევტოპოთ. აბუჩად აგდება უკვე ძალადობის გამოვლინებაა. ძალადობა კი გვეყოფა! დედამიწაზე, დღეს, გარდა იმისა, რომ როგორმე თავი უნდა გადავირჩინოთ, სხვა უფრო დიდი პრობლემა არ არსებობს, ვიდრე ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაა. მოძალადე და მკითხველი —ერთად წარმოუდგენელია. ძალადობის ნებისმიერი ფორმა — პოლიტიკური, ეროვნული, რელიგიური თუ სხვა, ცივილიზებული სამყაროსათვის ყოვლად მიუღებელია, ადამიანი, და მათ შორის მწერალი, თავისუფალი უნდა იყოს. ამის გარეშე არაფერი შეიქმნება. ყველაფრისაგან თავისუფალიო? — ვიცი, მკითხავთ. ყველაფრისაგან — არა! ჰუმანიზმისაგან — არა! სულიერი სიწმინდისაგან — არა! სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობისაგან — არა! კაცობრიობის წინაშე პასუხისმგებლობისაგან — არა! და კიდევ რამდენი რამ დამრჩა... ზედმეტი პათეტიკა ხომ არ გამოვიდა? ძალადობამ, ჩვენში, ლიტერატურის თითქმის ერთსაუკუნოვან ისტორიაში, ჩაკლა ნოვატორობა შინაარსის და ფორმის სფეროში. ძალადობა უმეტესად ქმნის ერთ ყალიბში მოქცეულ ნაწარმოებებს, აბატონებს ერთ თემას. ეს კი ლიტერატურისთვის მომაკვდინებელი ლახვარია, რაც არ უნდა მისაღები იყოს ეს თემა. ამიტომ მოხდა, რომ ამ ხნის მანძილზე გვყავდა დიდი მწერლები, შეიქმნა კარგი ნაწარმოებებიც, მაგრამ „ლიტერატურული აღმოჩენების" პრიორიტეტი მაინც უმეტესად უცხოელთა ხელში იყო. მათ უნდა აღმოეჩინათ, ჩვენ კი უნდა დავლოდებოდით — ოცი-ოცდაათი წლის შემდეგ დაგვრთავდნენ თუ არა ნებას, რომ გავცნობოდით მაინც. ამის დასტურია თუნდაც ტაბუდადებული „აბსურდის თეატრი"... დღეს, უკვე ოცი წლის დაგვიანებით, რომც დაიწეროს ჩვენში „აბსურდის" ესთეტიკის პიესა, თუნდაც დაიდგას ბეკეტი ან იონესკო, მაყურებელი მაინც არ ეყოლება. ჩვენი მაყურებელი და მკითხველი ჯერ კვლავ ცუდად გაგებულ ტრადიციულობასაა მიჩვეული, „ნაცადი ხერხებით" შექმნილი შემოქმედება უფრო მოსწონს, რადგან თვალი და ყური მასზე აქვს მიჩვეული, ადვილად იგებს და მისით ადვილად ტკბება.

ყოყლოჩინობა სულაც არ არის, რომელიმე პატარა ერს, თუნდაც ჩვენ, „ლიტერატურული ნოვატორობის" სურვილი გვქონდეს. ძველი ელადა არ იყო დიდი ერი. არც ლათინური ამერიკის ქვეყნებია დიდი ერების კრებული, მათი პროზა კი მთელი მსოფლიოს ლიტერატურული ცხოვრების შუაგულში აღმოჩნდა. თუ რომელიმე დიქტატურა იქაური მწერლის თავისუფლების ხელყოფას შეეცდებოდა, ისინი თავს აფარებდნენ დემოკრატიის კლასიკურ ქვეყნებში, ასე აღმოჩნდა ლათინურამერიკული მწერლობის ბევრი კორიფე პარიზში. მაგრამ სულით და შემოქმედებით საკუთარი ქვეყნის მწერლებად დარჩნენ, მისი სატკივარით ცხოვრობდნენ — მათი ყველა ნაწარმოების ტრაგიკული სიუჟეტები მშობლიური ქვეყნის მიწა-წყალზე „თამაშდება". არა, სადმე გავიქცეთმეთქი, ამას არ ვამბობ, თავისუფლებაზე მოგახსენებთ, რომელიც საფუძველია ყოველი ნიჭის გაფურჩქვნისა...

ახლა ქართველ მწერალს მართლაც ბევრი ლანძღავს და ეს ზოგჯერ ისეთი ფორმით ხდება, რომ გული მოგიკვდება. იმასაც კი იტყვიან ხოლმე, ხალხს ეზიზღება მწერლებიო. თუ მწერლები ეზიზღებათ, მართლაც დაბნეულა ეს ხალხი. გააჩნია „მწერლებს" ვის დავარქმევთ. მწერალთა კავშირში, დღეს თითქმის ექვსასამდე წევრია. აქედან მართლა მწერალი რამდენია, ეს ყველამ გულში ვიცოდეთ. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ რაღაც სამმილიონიან მკითხველს ექვსასი მწერალი ჰყავდეს. ეს უბედურებაა. მაგრამ ყველას ერთ ქვაბში მოქცევა, რბილად რომ ვთქვათ, უსამართლობაა. ეს შეიძლება რაღაც წუთიერმა ემოციამ ან გაღიზიანებამ გააჭმევინოს. მე, პირადად, [illegible] წავწყდომივარ მწერლისადმი სიძულვილის აშკარა გამოვლინებას.

რ. ჩ.: მწერლობისადმი სიძულვილის აშკარა გამოვლინებანი, რასაც არც მე წავწყდომივარ, მაგრამ — როგორც ცდილობენ დაგვარწმუნონ — შესაძლოა მართლაც არსებობდეს, მხოლოდ კერძო ფაქტებში ჩანს, კერძო პიროვნებათა ზნეობისა და გონებრივი თვალსაწიერის გამომხატველია და არაფრით არ შეიძლება მისი განზოგადება მთელ ხალხზე. განზოგადება და სიცრუე იქნება. და ეს სიცრუე და მისი დამკვიდრების მცდელობა ერისთვის სულაც არის ხელსაყრელი, რადგან მწერლობაზე უარის თქმით იგი, არსებითად, უარს ამბობს დიდ სულიერსა და ესთეტიკურ იდეალებზე, ზნეობრივ სრულყოფასა და ამაღლებაზე. ეს მით უფრო თვალსაჩინოა ჩვენთან, სადაც მწერალი ყოველთვის უშუალოდ იყო ჩარეული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებში და მის სასიკეთო წარმართვას ესწრაფვოდა: ყველაზე სწორი და მართებული გზაც ეს ყოფილა. და ეს ყოველივე წარსულში არ დარჩენილა, დღესაც ასეა. ამის სადავოდ ქცევა ისეთივე გაუგებრობაა, როგორც ის ცალკეული გამონათქვამები და მსჯელობანია გაუგებარი და, სამართლიანობის თვალსაზრისით. ყოვლად აუხსნელი, როცა წინარე ათწლეულებს რატომღაც ლეთარგიული ძილის ეპოქად ნათლავენ და მწერლობასაც მძინარობასა და ტოტალიტალური რეჟიმის წინაშე სრულ მორჩილებას უკიჟინებენ. არადა, თავგანწირვისა და შეურიგებელი დაპირისპირების ბევრი თვალსაჩინო მაგალითი მოგვეპოვება. ამჯერად თუნდ რამდენიმე ნაკლებად დაფასებულ მწერალს გავიხსენებ, ოღონდ განზოგადებისათვის ესეც სავსებით საკმარისია:

კოტე ხიმშიაშვილმა 17 წლისამ დაწერა ნოველა „გლობუსი", რომელშიც ალეგორიულად მიანიშნა დიქტატორის ხელში ჩავარდნილ სამყაროზე, 23 წლისამ შექმნა რომანი „ჯონქა ხორნაული" არა დადგენილი თემატიკისა და იდეოლოგიური შტამპების მიხედვით, არამედ სტუდენტთა ცხოვრებაზე: გულწრფელ ფიქრებზე, ეჭვებზე, ოცნებებზე... 24-25 წლისა მონაწილეობდა დიქტატორული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში, რისთვისაც სიკვდილით დასაჯეს. და აქ ბუნებრივად იბადება ერთი შეკითხვა: ნეტა სხვას რას ვთხოვთ, კიდევ რა უნდა მოემოქმედა 25 წლის [illegible] ხიმშიაშვილს, რომ მძინარა და ხელისუფლების მორჩილი არ ვუძახოთ?

ლევან გოთუამ 22 წელი დაჰყო საკონცენტრაციო ბანაკებში (პირველად 19 წლისა მოხვდა იქ) და მისი გაუგონარი სისასტიკე ამდენ ხანს იწვნია, თანაც იმყოფებოდა იმპერიის იმ უკიდურეს ჩრდილოეთში, სადაც მეფის ხელისუფლებაც კი თავის დროზე კრძალავდა გადასახლებას. ამ ტანჯულ ყოფაში შექმნა „გმირთა ვარამი", ქართული ბელეტრისტიკის ერთ-ერთი უდავო შედევრი, რომლის წაკითხვაც აუცილებელია ახალგაზრდობის ნამდვილი, დიადი იდეალებითა და სულისკვეთებით აღზრდისთვის...

ერეკლე ტატიშვილს ნიცშეს „ზარატუსტრას" თარგმნისათვის და ახალგაზრდობის სულიერი „გადაგვარებისათვის" (1942 წლის შეთქმულთა უმეტესობა მისი ნასტუდენტარები და მოთაყვანენი იყვნენ) საპატიმროში ფეხებზე ძვლები გადაუმსხვრიეს. იქნებ მაჯებიც უნდა დაელეწათ ან ორივე ბეჭიც ამოეგდოთ, რომ მძინარა და ხელისუფლების მორჩილი არ ვუძახოთ?

1921 წლის მერე უამრავი ადამიანი დაუპირისპირდა და შეეწირა ტოტალიტარულ რეჟიმს, მწერალიცა და სხვა ხელობის კაციც, და ცოდვაა, დიდი ცოდვაა, მათ თავგანწირვას ვაუფასურებდეთ და უსულ[illegible] ვუყურებდეთ: ვინ იცის, იქ, [illegible]რეში, ძვლები როგორ ეწვით...

თუმცა, კვლავ უნდა ვაღიარო, რომ ამის მოკიჟინენი მართლები არიან: თუ შენს მწერლობას, შენს მამულიშვილთა — ამოდენა სიმდიდრეს — ვერ უვლი და სათრევ-სავინებლად დაგითმია, ვინ ხარ ბოლოს და ბოლოს?

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მზია ხეთაგური

### ზოგჯერ ხომ...

რამდენმა წყალმა ჩაიარა. რჩებოდა
ქვიშა.
რამდენ გასაჭირს ვუძლებდით და
ვებრძოდით
შიშსაც.
რამდენი ვინმე შეუცვლელი ვიყავით
ერთ დროს,
რამდენის გულში გამარჯვების კოცონი
ენთო.
მოგვშუშებია
ხორცისა თუ სულის ჭრილობა,
დაგვიკვეხნია
რაინდობაც, ხელგაშლილობაც,
მაგრამ ყველანი —
ვის მოგვქონდა დიდად თავები —
ზოგჯერ ხომ ვარსკვლავს წვრილ
ფულზედაც
ვახურდავებდით?

### მოსკოვი, 1984 წლის სექტემბერი

ნ. დუმბაძის ხსოვნას

მახსოვს მოსკოვის პატარა ფოსტა,
ტელეგრამების მიმღები ქალი.
სწრაფად იწერდა მილების დროს და
თან ორცხობილას სმუსნიდა მალვით.

მეორე ქალი, ჩვეული წესით,
ეჩურჩულება რაღაც ახალ ჭორს,
ესეც ფხუკუნებს,
თან ცდილობს, ტექსტი
შეამოწმოს და დრო არ დაკარგოს.

ტექსტი კი, ჩემთვის გულშემზარავი,
მისთვის რიგითი სიტყვები არის...
ვინ დამამშვიდოს ახლა...
არავინ!
გარეთ კი როგორ სისინებს ქარი!

უეცრად ქალმა შეწყვიტა წერა
და შეშფოთებით გვერდი იცვალა:
— რაო?! რას ამბობთ! მე ეს არ მჯერა
ნოდარ დუმბაძე გარდაიცვალა?!

— დიახ, — უსიტყვოდ დავუდასტურე,
სამწუხაროა ასეთი ფაქტი...
— ო, ღმერთო ჩემო, რა მოხდა, როდის?
წნევა? სიმსივნე?
ალბათ ინფარქტი!
როგორც მის ყურზე ციცქნა საყურე,—
მოულოდნელად ამკობს ცრემლები.
ნაცრისფერ ქალალდს სევდით
დაჰყურებს
და ეფერება თეთრი ხელებით.

მერე უეცრად ფეხზე წამოხტა:
— დღეს ამ ნაღველით ნეტავ თუ
გავძლებ...
ქალებო, გესმით? გესმით, რა მოხდა! —
გარდაიცვალა ნოდარ დუმბაძე!

ყველა მოცვივდა,
და იგრძნო თითქოს
ეს შეშფოთება, —
იკივლა ქარმაც...
— იცით, ის ჩვენთვის რა კაცი იყო?—
უმშვენიერეს წიგნების მამა!
მამა...
ო, ღმერთო, რა ზუსტად შეძლეს
გამოეხატათ მადლიერება...
ის, ვისაც ნიჭი სიკეთის შესწევს,
მაშინაც ცოცხლობს, როდესაც კვდება.

ტვერის ბულვარზე მიმყვება ფოსტის
თანამშრომელთა სამძიმრის სითბო...
ეს შემოდგომა რა სწრაფად მოდის
და ბუნებისგან
ძვირფას მსხვერპლს ითხოვს.

### საიუბილეო ექსპრომტი გურამ გვერდწითელს

(ნახევრად ხუმრობით)

გამოცანაა, მაგრამ ადვილი არ არის.
წითლად ვახსენებთ, მაგრამ
„წითელი" არ არის!
ერთგული არის, მაგრამ ერთგული
არ არის
მისი, ვისთვისაც სიტყვა და საქმე
სხვა არის.

ბევრ კაცს რომ უყვარს, აბა, სადავო
რა არის?
ზოგს რომ არ უყვარს, აქ საკვირველი
რა არის!
„მერანს" აჭენებს? — ნიჭია, აბა
რა არის!
კარგად აჭენებს? — შურს იწვევს, აბა,
რა არის!
მტერსაც მოხიბლავს, მაგრამ მაცდური
არ არის,
საქმეს აგვარებს, — პოლიტიკოსი
არ არის,
ქართველია და, სხვა თუ ქართველი
არ არის —
მართალი იყოს — მისთვის ესაა
მთავარი!
დირექტორია, დიქტატორი კი —
არ არის,
დემოკრატია, — თუმც ანარქისტი
არ არის,
კრიტიკოსია, ცინიკოსი კი არ არის,
ულვარძლო რჩევა, — სხვა ტკბობა
მისთვის არ არის!
**ბევრ მანეთს დადებს**
თუკი დავინდობთ **ერთ-მანეთს,**
შესწავლილი აქვს ყველა საჭირო საგანი,
ო, გაილია წელი მეექვსედ მეათე,
სხვა ჰაერია ახლა საჭირო, სხვა განი!
ლიდერობს ნიჭით... მაგრამ ლიდერი
არ არის.
არ გაიძახის არასდროს:
„ბოლმა — ხსნა არის!"
თუ სევდიანობს, — ხელჩაქნეულიც
არ არის,
თუ ოპტიმისტობს, — ეს უსაბაბოდ
არ არის!
საგურამო აქვს, მაგრამ გურამი
არ არის
მოაგარაკე...
იცის აქ სისხლის გზა არის!
ერისკაცობის პრეტენზიებით არ არის
სულშემართული...
მაგრამ ის კაციც არ არის,
ვინც დაიხევდა კართან კრწანისის,
მარაბდის!

### აგვისტო

იკბინებიან მწარედ ბუზები,
სულში დგებიან დიდი ქარები.
მალე საბრალოდ მოვიბუზები
და შენს ლამაზ მხრებს შევეფარები.

საშემოდგომოდ მოვირთე ბაღი,
საგაზაფხულო დავთმე სიზმრები,
ესალბუნება ყურს ფუგა ბახის
და ღვთაებრივი სევდით ვივსები.

ოდესღაც ჩემთვის უცხო სიმშვიდე
მიმეგობრდება, ჰოი, რა სწრაფად!
ხასხასა ფერებს რომ არ ვიშლიდი, —
დღეს მგლოვიარედ ფრიალებს კაბა.

დავუშვი ფარდა, დავხარე თავი,
დავყევი წლების უეცარ ნებას,
შენ კი... მოცურდი ცისფერი ნავით
და გამახსენე ზღვის მონატრება.

### სიკვდილი მაინც სად გამექცევა...

რა უშავს — როცა გაწვდიდი ყვავილს,
ძურწა ბალახის მაძლევდი ხურდას
და რომ ჩემს ტოტზე ჩხაოდა ყვავი,
როდესაც მტრედის ღუღუნი მსურდა.
რა უშავს, თუკი გამამათრახებ,
ტყუილ-მართალს ხომ ერთი ფასი აქვს,
და როცა ვებრძვი სულის არტახებს,
ის ჩემი ტანჯვა სხვისთვის ფარსია.
რა უშავს, ღმერთო, მართლაც რა უშავს!
მწარე სიმართლეს მომძახის ქორო,
რომ უუფლებო ამ სიყვარულში
სხვის კარს შემყურე მდგმურივით
ვცხოვრობ.
რა უშავს, თუკი არასდროს მძულდით.
არცა სიმდიდრით, არც სიღარიბით,
ბედნიერების ყოველი წუთი
რომ, ვით კეთროვანს, ისე გამირბის.
ლექსებიც, ჩემი თავშესაფარი,
საცაა თავზე ჩამომექცევა...
რა უშავს! — არის გამოსავალი:
სიკვდილი მაინც სად გამექცევა.

## ოთარ შალამბერიძე

### წილი ნაყარია

მიწას დარდისაგან
პირი დაღარვია...
მიწაც კაცივით გრძნობს, —
წილი ნაყარია!..

ნეტარ ძილს არა ჰგავს
ძილიც, რა ხანია.
ხალხი ოდიგარობს, —
წილი ნაყარია!..

მწარე ცხრა აპრილის
გმირნიც აქ არიან...
გზა მიეცით პირველთ! —
წილი ნაყარია!..

და სისხლს, უკვე დაღვრილს,
თვითვე დაჰხარიან...
მათ მკვდრებს ნუ ვეძახით! —
წილი ნაყარია!..

რა ვქნა, ველარა გცნობ,
ბიჭო, მახარია!
ქართულ დროშას ჰკოცნი! —
წილი ნაყარია!..

ახლა უკუქცევა
სწორედ ლახვარია!
წილი ნაყარია!..
წილი ნაყარია!..

### მამულისადმი

როცა ქართლის
მინდვრებს გავსცქერ
ცისკრის ნამით შენამულებს,
ვგრძნობ —
მამულის სიყვარულში
ვარ პირველი მემამულე!..

მე მამულის
ნისლიც მიყვარს,
ვაზის ნეკიც სამამულე,
მის ჩალას თუ
ჩალამკალამს
მივეხმატკბილკალამურე!..

ჰე, მამულო!
ვიდრე ვცოცხლობ,
მაგ თბილ კალთას მალამუნე;
ვერვინ დათვლის
შენთვის გათლილ
ფანდურებს და სალამურებს.

ღმერთი, რჯული!
არც ერთ ქართველს
არ აქვს ნება თვლემის, რულის,
ვიდრე მამულს ედავება
თუნდაც ერთი შენილბული!..

დრო წამდაწამ იძაბება
(ნუ ფეთქდები უმალ, გულო!)
დე, გამკიცხოს,
ვისაც ნებავს, —
კაცი არ მწამს უმამულო!..

ხალხს რო ვხედავ,
გუგულივით
სხვის ბუდეში შემალულებს,
სწორედ გითხრათ,
ვერ ვიქნები
გულმოწყალე მემამულე!..

ჰე, მამულო!
თუ გიმტყუნო,
დე, სიცოცხლეს შემამდურე!
მე ვარ შენი
მეციხოვნეც,
მებაღეც და
მემამულეც!..

### „სიტყვის კონა"

ივერიის დიდი სკოლა,
რაც ერისთვის ითქმის ქონად, —
ათას ჭირში გამოვლილი
გვაქვს ქართველებს
„სიტყვის კონა".
გვაქვს ქართველებს
„სიტყვის კონა",
განა წიგნი? —
ფიქრეული:
საბას გულით,
საბას გონით
თუ გუმანით
მიკვლეული.
ასო-ასო შერჩეული,
მისხალ-მისხალ მოგროვილი;
მერე ზრუნვით,
მოვლა-ურვით
შე-და-
მი-და-
მოკონილი!..
საბა როა
და მადლსა გვფენს
მარტო ბრძნული გამოხედვით, —
მაგნაირი შვილის ყოლით
რჩეულ ერებს წყალობს ღმერთი!..
მოშრიალებს სიტყვის ფარჩა
და ფერს უხდენს
სტავრა-ფარჩებს...
საქართველო თუ გადარჩა,
ისევ სიტყვა გადაარჩენს!..
სადაც ხმალი დაგვიჩლუნგდა,
იქ გაბრწყინდა ბრძნული აზრი;
სიტყვა იყო ჩვენთვის მუდამ
იარაღი უფრო ბასრი.
ამას ვნატრობ (ღმერთი იყოს
ჩვენი ხელის გამმართველი) —
ვით ქართული სიტყვა — ამ წიგნს,
ამშვენებდეს ქართლს ქართველი.

### თავისუფლების პირველი დილა

ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?
ნ. ბარათაშვილი

რაც თავი მახსოვს, მარტო სახელი
ჩვენს გულს და სმენას ელაციცება;
უმისობა კი უფრო გვახელებს
და ფუჭად მიგვდის ყველა ღირსება.

დაე, სათქმელი ითქვას პირდაპირ,
რას გვარგებს მარტო სიტყვის
ლაციცი?..
ბოლოს და ბოლოს, კაცი ვბერდები
და... რა ფერია, ჯერაც არ ვიცი!..

ვიცი, რას ნიშნავს „მუმლი მუხასა". —
ავის მდომნი რომ გვისხედან მიწყივ...
თავისუფლებას სისხლი უყვარსო? —
ხომ დაიღვარა, ბატონო, სისხლიც?!.

ქართული დროშა, თუნდაც გაშლილი,
საქართველოსთვის არის უკმარი!
რაც თავი მახსოვს, სულ ნატვრაში ვარ,
ყელშიც ამომდის ნატვრის ნუგბარი...

მაშ, გასწი, ლექსო, ამღამინდელო,
ყოვლის შემძლესთან იამბე წვრილად:
ისე ნუ მომკლავს, — არ გამითენოს
თავისუფლების პირველი დილა!..

### დედაენა

სიზმარი ვნახე,
უცნაური
სიზმარი მართლაც:
თითქოს ვიცოდი
ყველა ენა,
ქართულის გარდა...
სულში კი მაინც
თითქოს მწარე
ნესტარს გაევლო,
რადგან თავს ვგრძნობდი
უბედურად —
უდედაენოდ!..

# გოდერძი ჩოხელი

## ვუძღვნი ერეკლე მეფეს

1795 წლის სექტემბერში, საარაგვოში, იმ გზაზე, რომელსაც ახლა საქართველოს სამხედრო გზას ეძახიან, მთიულეთ-გუდამაყრისაკენ მიჰყავდათ კრწანისის ომში დამარცხებული მეფე ერეკლე. მიჰყავდათ იმიტომ, რომ თვითონ მეფეს არაგველებთან ერთად ომში სიკვდილი ერჩია და ცხრაჯერ ძლივს გამოიყვანეს ბრძოლის ველიდან.

იმ დღეს არაგვიც აბორგებული მოექანებოდა და მოაშრიალებდა ლორღიან ჭალას.

კრწანისის ველზე, ერთი-მეორის მიყოლეით ეცემოდნენ შეფიცული არაგველები.

ალა-მახმად-ხანის ურდოს აწყდებოდა არაგვის ტალღა. და თუკი ვინმეს გინახავთ, როგორ აწყდება კლდეს აბორგებული ტალღა შავი არაგვისა, როგორი ხასიათი აქვს ამ დროს — ჟინი, სურვილი ბრძოლისა, წინ გაჭრისა, ალბათ მიხვდებით, რა ცეცხლიც ენთო მაშინ არაგველების გულში.

კრწანისის ველზე ილევრებოდა საარაგვოდან მოვარდნილი ლვარცოფი.

კვდებოდა ათნოხელი ლომი, ნინია აფციაური.

არაგველების უკანასკნელი მედროშე.

ნელ-ნელა შიში უქრებოდა ალა-მახმად-ხანს.

ეს იყო 1795 წლის შემოდგომაზე, ხოლო 1989 წლის ადრიან გაზაფხულზე, იმავე საარაგვოს ხეობაში, იმ გზაზე, რომელსაც ახლა საქართველოს სამხედრო გზას ეძახიან, მაშინ მეფე ერეკლემ, მისი შენახვისთვის ჩირიკლებს რომ უბოძა განმგებლობაში მცხეთიდან დარიალამდე, აი, ამ გზაზე, 1989 წლის გაზაფხულზე, იჯდა ოთხმოც წელს მიღწეული მოხუცი ქალი და ფეხზე დიდი წითელი მამალი ჰყავდა გამობმული.

მოხუცი იყო სანთელივით ჩამოლვენთილი, ჩამომჭკნარი, დალეული, დალეული, ერთი ბეწო, კაი ვაჟკაცის მუშტის ოდენა, ერთიანად შავ ტანსაცმელში გამოკრულ-გამოხვეული. მამალი უფრო დიდი ჩანდა მოხუცზე, საქართველოს სამხედრო გზის ნაპირზე გაბლენძილი გადი-გამოდიოდა და ყიოდა!

რა ენაღვლებოდა ჩვენ მამალს, ერთგული პატრონი იქვე, გვერდით ეჯდა, საქართველოს სამხედრო გზაც გვერდით ჩადიოდა, მე შენ გითხრა და ვინმე უბატონოდ ხმას გასცემდა. მართალია, დილას აქეთია, რაც პატრონი ემუქრება, მაგრამ ეს მაინც თავისას არ იშლის, ერთთავად ყელმოღერებული ყივის.

თანაც ფინთად ყივის.

რაღაც ავისმაუწყებელი ურევია მის ხმაში.

იმის ყოველ დაყივლებაზე მოხუცი ბებო ერთიანად კანკალებს და ხწყევლის მამალს:

— რა გაყივლებს, შე ჯანჩამოშლილო და სიყმეგათავებულო, გუშინსაქეთია ავარდი და აღარა სდგები, რა საფიქრალი გამიმწარე, რა შავი ღრუბელი შამამყარე საგონებელში.

— ყიყლიყოოოო! — გასძახის მამალი. ერთი წუთითაც არ უგდებს ყურს ბებო სალომეს წყევლას. ან მართლა შავი ამბავი იცის, ან რაღაც უხარია, თუმცა, მეტი რაღა უნდა გიხაროდეს, მარცხენა გვერდზე ოთხმოცი წლის გამზრდელი გიზის და მარცხნიდან არაგვის დააჩაგვრინებს შენს თავს, მარჯვნივ კიდევ საქართველოს სამხედრო გზა ჩაგიდის, მამალი ხარ და შუაში ხარ, გაიბლინძები, მა რას იზამ, იყივლებ, მა რას იზამ.

მაგრამ გუშინ სახლშიც რომ ეხე ყიოდა? მარტო სალომე ბებოს იმედად?!

თანაც დაემუქრა ბებო:

— ემანდ ხმა ჩაიწყვიტე, თორო წაგიყვან და გაგყიდი, შე ხმაგახაცივებელო, შენა.

ერთი კი შეფიქრიანდა მამალი, გაყიდვა



საქართველოს სამხედრო გზა

თედიას ნეფიონი მეორე საღამოს დაბრუნდა სოფელში.

უკვე სიბნელე ეხურა სოფელს.

შორიდანვე გახედა თედიამ და თავის სახლ-

ჯოხს იბჯენდა.

ტომარაში დატყვევებული მამალი ეჯდა და ისევ ემუქრებოდა:

— დამაცადე, თუ შენ გუშინდელი და



მხატვარი კარლო ფაჩულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აკაკი 150

მოკრძალებული წერილი, რომელსაც დღეს გთავაზობთ — კიევში, აკაკი წერეთლის იუბილეზე ჩემი გამოსვლის თავდაპირველი ტექსტი გახლავთ. მაგრამ ვიდრე მას გაეცნობოდეთ, მინდა ორიოდე სიტყვით მოგითხროთ თვით იუბილეზე და იმ დამუხტულ საზოგადოებრივ ატმოსფეროზე, რომელიც გასული ოქტომბრის შუა რიცხვებში სუფევდა უკრაინის დედაქალაქში.

საიუბილეო საღამო 19 ოქტომბერს გაიმართა კიევის „მხატვრის სახლში". დარბაზის შერჩევა შემთხვევითი არ იყო, რადგან მხატვართა კავშირი მწერალთა კავშირთან და ახლადშექმნილ უკრაინულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობათა ასოციაციასთან ერთად დიდი ქართველი პოეტის დაბადებიდან 150 წლისთავის აღმნიშვნელი იუბილეს ორგანიზატორი გახლდათ.

საღამოს უძღვებოდა უკრაინის მწერალთა კავშირის ერთ-ერთი მესვეური, პოეტი პეტრო ოსადჩუკი, რომელმაც სიტყვა გადასცა უკრაინაში მოღვაწე ჩვენს თანამემამულეს, პოეტსა და მთარგმნელს რაულ ჩილაჩავას. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ წმინდა უკრაინულ ლიტერატურულ ენაზე წარმოთქმული ეს სიტყვაც და დარბაზის რეაქციაც მასზე მოწმობდა, თუ რამდენი შეუძლია გააკეთოს ერთმა ადამიანმა ორი ერის ურთიერთგაგებისა და დაახლოებისათვის. აქ არა მაქვს იმის შესაძლებლობა, რომ დაწვრილებით მოვყვე აკაკის შესანიშნავ უკრაინულ კრებულზე, რომლის გამოცემაც რაულ ჩილაჩავამ საიუბილეო თარიღს მიუსადაგა ან ჩამოვთვალო ყველა ის დიდი და კეთილი საქმე, რომელიც მისი თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით კეთდება. იმას ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ ქართველი კაცის ლაღი უკრაინული სიტყვა თუ ლექსი საამო ჰანგად ჩაესმის ყველა ჭეშმარიტ უკრაინელს და მწარე საყვედურად — მშობლიური ენის ყველა არმცოდნეს.

საღამოზე ჩვენი უკრაინელი მეგობრებიც გამოვიდნენ: ქართული ლიტერატურის მთარგმნელები ოლექსა სინიჩენკო და გრიცკო ხალიმონენკო; მირგოროდში დავით გურამიშვილის საფლავის აღმომჩენი, უხუცესი უკრაინელი მწერალი (იგი 90 წელსაა მიტანებული) დმიტრო კოსარიკი, აკაკის მეულლის მოგვარე — პოეტი ვლადიმერ ბაზილევსკი.

რუსთაველის საზოგადოების სახელით უკრაინელ მასპინძლებს მიესალმა ქ-ნი ქეთევან გრიგოლია (მანვე ჩამოიტანა სიმბოლური საჩუქარი — აკაკის ფერწერული პორტრეტი), ხოლო კიეველი ქართველობის სახელით — კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი მიხეილ საკაშვილი.

გარდა წმინდა ლიტერატურული ნაწილისა, იყო მხატვრულიც — გამოდიოდნენ უკრაინელი და ქართველი მსახიობები. აქვე მადლიერებით უნდა აღვნიშნო, რომ კიევში წამოგვყვა საქართველოს ფილარმონიის ხალხურ საკრავთა ტრიო და საქართველოს ტელევიზიის გადამღები ჯგუფი.

სიტყვამ მოიტანა და, უნდა ვთქვა, რომ ალბათ ყველას, ვინც კი ნახა ჩვენი ტელევიზიით საიუბილეო საღამოს ვიდეოჩანაწერი, ენიშნა — საღამო არც თუ ხალხმრავალი იყო. ზოგმა ეს შეიძლება ორგანიზატორების წინდაუხედაობით ახსნას, ზოგმა — უკრაინული მწერლობის გულგრილობით.

სინამდვილეში, მიზეზი სულ სხვა გახლდათ: კიევში ჩვენი ჩასვლა თანხვდა ისეთ დღეებს, როდესაც ერთი ნაპერწკალიც კი შესაძლოა საბედისწერო გამხდარიყო და არაა გასაკვირი, რომ ჩვენი უკრაინელი კოლეგები (მათ შორის კი ბევრია საქართველოს გულწრფელი მეგობარი), თუ შეიძლება ითქვას, „სამოქალაქო საგუშაგოზე" იდგნენ მოსალოდნელი საზოგადოებრივი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად.

საქმე ისაა, რომ 1 ოქტომბრიდან კიევის ცენტრში, ოქტომბრის რევოლუციის მოედანზე (დღეს, შესაძლოა უკვე „დამოუკიდებლობის მოედანზე") შიმშილობდა ორასამდე სტუდენტი, რომელთა მოთხოვნაც ხუთი პუნქტისაგან შესდგებოდა: 1) უკრაინის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, მასოლის გადადგომა; 2) უკრაინის კომპარტიისა და კომკავშირის ქონების ნაციონალიზაცია; 3) უარის თქმა მომავალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე;

# უმარცხებელი სული

**ზაზა აბზიანიძე**

4) უკრაინის უმაღლესი საბჭოს არჩევნების გადმოტანა 1991 წლის გაზაფხულისათვის; 5) საბჭოთა არმიაში გაწვეული უკრაინული ეროვნების ჯარისკაცების დაბრუნება უკრაინის ტერიტორიაზე.

გარკვეული კომპრომისის საფუძველზე, მოშიმშილეთა და ხელისუფალთა წარმომადგენელნი შეთანხმდნენ და 17 ოქტომბერს, კიევში ჩვენი ჩასვლის წინადღეს, შიმშილობა შეწყდა. მაგრამ შემდგომი რამდენიმე დღეც დენთის სუნით იყო გაჟღენთილი, რადგან არ ქრებოდა იჭვი, რომ მთავრობამ რაღაც ფანდს მიმართა (ოფიციალური ცნობა მასოლის გადადგომის შესახებ ჯერაც არ იყო გამოქვეყნებული) და ახალგაზრდობა კვლავ რაღაც ახალი აქციების მოწყობას ლამობდა, ჩვენმა კოლეგებმა, რომლებმაც შემდეგ საგანგებოდ მომძებნეს და ამიხსნეს სიტუაცია, ისიც დააყოლეს, რომ ახალი აქცია შესაძლოა საბედისწერო გამხდარიყო და ასეთ დროს ახალგაზრდობა თუკი უფროსს დაუჯერებს — ისევ სახელგაუტეხელ მოღვაწეს და მწერალს. (როგორც მოგეხსენებათ, უკრაინის ეროვნული მოძრაობის — „რუხის" ლიდერი გამოჩენილი პოეტი ივან დრაჩი გახლავთ).

ამიტომაც საიუბილეო საღამოდან პატარა ხინჯიც კი არ გამოგვყოლია. პირიქით, დარბაზის გამოძახილი იშვიათად გულწრფელი და თბილი იყო. იგრძნობოდა, რომ თითოეული დამსწრეთაგანი აქ საიუბილეო ღონისძიებაზე კი არ იყო მოსული, არამედ აკაკის გენიით შთაგონებულ უკრაინულ-ქართული თანადგომის საღამოზე და რომ ჩვენს შეხვედრაში სიმბოლიკა უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე დამსწრეთა რიცხვი.

დარბაზის ეს კეთილგანწყობა და სითბო სხვა ორატორებთან ერთად, რაღა თქმა უნდა, მეც ვიწილადე. ვგრძნობდი, რომ მთელი გულისყურით მისმენდნენ, რადგან ყოველ ქართველს იმ საღამოს იმპერიის უღლისაგან თავდასაღწევად წამომართული კიდევ ერთი მოძმე ქვეყნის წარმომადგენლად ალიქვამდნენ; რადგან ქართველ მწერალთა სახელით ვლაპარაკობდი და რადგან ზურგსუკან აკაკის უკვდავი ლანდი მედგა.

●



**ჩვენ ყველანი, აქ, ამ დარბაზში შეკრებილნი, ერთი გულისთქმით, ერთი ტკივილით, თანაგანცდითა და თანადგომით გაერთიანებულნი, ერთსა და იმავე კითხვას ვაძლევთ ჩვენსავე თავს — ვის ან რას უნდა ვუმადლოდეთ ამ ერთიანობას? — ჩვენი ერების ტრადიციულ, ხტიქიურ ურთიერთსიმპათიასა და ურთიერთლტოლვას, ჩვენი ისტორიული ბედ-იღბლის მსგავსებას თუ იმ უკვდავ წინაპრებს, იმ მნათეებს, რომელნიც დაუღალავად აფხიზლებდნენ ჩვენს ერებს, რომელთაც შორიდან შესანიშნავად ესმოდათ ერთმანეთის და რომელთა ზარების ხმატკბილმა მელოდიამ თუ საგანგაშო ახმიანებამ სასწაულებრივად მოაღწია ჩვენს ყურთასმენამდე რევოლუციების, ომების, ხუთწლედებისა და გარდაქმნების გრუხუნში.**

**დღევანდელ საღამოს თქვენც და ჩვენც — თქვენი ქართველი სტუმრები, აკაკი წერეთელს სწორედ ამგვარ დიდ მნათედ აღვიქვამთ და ვცდილობთ ჩავწვდეთ მისი უკვდავების, მისი პოეზიის, მისი უმარცხებელი სულის საიდუმლოს.**

**ჩვენი დღევანდელი შეხვედრის თვალსაწიერიდან განსაკუთრებით სიმბოლურად ჩანს ამ თავისუფლებისმოყვარე სულის სათავეებთან თქვენი დიდი კობზარის კეთილშობილი სილუეტი.**

**იშვიათია, რომ შუახანს გადაცილებული, უკვე საქვეყნოდ ცნობილი და ამასთანავე, მრავალნატანჯი ადამიანი ღამის სამ საათამდე ესაუბროს პირველად გაცნობილ ცხრამეტი წლის ჭაბუკს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი შორეული მხრიდანაა ჩამოსული და თვალებში რაღაც უქრობი ნაპერწკალი უკრთის... დიახ, ძალზედ იშვიათია ასეთი რამ, მაგრამ სწორედ ამგვარად გაიცნეს ერთმანეთი ტარას შევჩენკომ და აკაკი წერეთელმა 1859 წელს პეტერბურგში, თქვენთვის კარგად ცნობილი ისტორიკოსისა და მწერლის მიკოლა კოსტომაროვის — იერემია გალკას სახლში; იმ კოსტომაროვისა, კობზარმა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი რომ უძღვნა.**

**როგორღა აგონდებოდა თვით აკაკი წერეთელს ეს საღამო, როგორ ჩარჩა იმ თვალებანთებული ჭაბუკის მეხსიერებას დიდ უკრაინელ თანამოკალმესთან პირველი და უკანასკნელი შეხვედრა?**

**„ჩვენი საუბარი გაგრძელდა ღამის სამ საათამდე, — იგონებდა აკაკი წერეთელი, — ჩვენ გავშორდით როგორც მეგობრები და პირობა დავდევით, რომ უფრო ხშირად შევხვდებოდით ერთმანეთს. მაგრამ ვაი, რომ ჩემს ბედნიერებას აღარ ეღირსა განხორციელება...**

**მხოლოდ ეს პირველი და უკანასკნელი შეხვედრა დამრჩა ნათელ მოგონებად მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე, ვაღიარებ, რომ მე პირველად მისი სიტყვებიდან გავიგე, თუ როგორ უნდა სამშობლოსა და საკუთარი ხალხის სიყვარული". იგივე რეფრენი მეორდებოდა აკაკის სიტყვაში შევჩენკოს დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე თბილისის სახალხო სახლში 1914 წელს, როდესაც იგი, უკვე ცხოვრების დასალიერზე, დამსწრე საზოგადოებას სულიერი მამის შინაგანი უფლებით შეაგონებდა შევჩენკოსავით ჰყვარებოდათ თავისი სამშობლო და დედაენა.**

**ეჭვგარეშეა, რომ რომელიმე დიდ უკრაინელთაგან ასეთივე შინაგანი უფლება ექნებოდა იგივე სიტყვები გაემეორებინა, ოღონდ ახლა უკვე აკაკის სახელის მოხმობით, დიდი წინაპრის იუბილეს აღსანიშნავად შეკრებილი ქართული სათვისტომოსათვის რომ მიემართა.**

**აქ მე კვლავ ვუბრუნდები იმ ჩვენს თავდაპირველ კითხვებს — მარადიულ კითხვებს, რომლებშიც ესოდენ გადაჯაჭვულია უმარცხებელი სულის უკვდავებისა და ჭეშმარიტი პოეზიის უკვდავების საიდუმლო:**

**რატომ გვხიბლავს დღესაც ეს ბიბლიური იერის პატრიარქი? რატომ იქცა მთელი ქართველი ერისათვის წმინდა რელიქვიებად მისი აკვანიც და მისი საფლავიც?**

**იმიტომ ხომ არა, რომ დედები აკვანში მისი „იმერული ნანინა"-თი გვაძინებდნენ; თუ იმიტომ, რომ პირველი შეყვარებისას აღმოვაჩენდით, რომ ამ გრძნობის სიტკბოც და სიმწარეც უკვე იყო ამოთქმული, ამომღერებული „სულიკოში" და „ციცინათელაში" და ჩვენს იმჟამიერ სიმარტოვეს ჰყავდა მარადიული მესაიდუმლე და ნუგეშისმცემელი... ან ეგებ იმიტომ, რომ შემდგომში ჩვენ ნაცნობ სტრიქონებს მიღმა უკვდავი წინაპრის ყველაზე უკურნებელ ტკივილს ვაგნებდით და ახლა უკვე რაღაც ბუნდოვანი იმედითა და წინათგრძნობით ვკითხულობდით მის „განთიადსა" და „ხანჯალს"... და ბოლოს — იმიტომ ხომ არა, რომ მაშინ, როდესაც ჩვენი მოთმინების ფიალა აივსო და ჩვენი სისხლი დაიღვარა, როდესაც ცხადად დავინახეთ თუ ვის ვმორჩილებდით და რა ფასად დაგვიჯდა ეს მორჩილება, ჩვენ არ დაგვჭირვებია დაგვეწერა ლექსი — მოწოდება, რადგან ეს ლექსი ზუსტად 85 წლის წინად იყო დაწერილი:**

ძირს, მთავრობავ უსამართლო!
„ველარ ვიტანთ გასაჭირსო", —
ყოველი მხრივ გეძახიან:
„ძირს, მთავრობავ!.. აწ-კი
ძირსო!"

კმარა ისიც, რაც ვითმინეთ,
გვიმატებდი ჭირზე ჭირსო!
ის აღარ ვართ, რაც ვიყავით,
გავიღვიძეთ და აწ — „ძირსო!"

**და ბოლოს —**

ხალხი იბრძვის!.. ხალხი
ჰღელავს!
ველარ ასდებ აწ აღვირსო!..
ყოველის მხრივ გეძახიან:
„ძირს, მთავრობავ, ძირს და
ძირსო!"

**აქ მთავრდება ჩემი კითხვები. მაგრამ ვიდრე ამ მოკლე გამოსვლას დავამთავრებდე, მინდა ქართველ მწერალთა სახელით გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ დღევანდელი საღამოსათვის, ამ დარბაზში გამეფებული ატმოსფეროსათვის, რომელიც ალბათ არცერთს არ დაგვავიწყდება, რადგან აქ განსაცვიფრებლად შეერწყა ერთმანეთს ჩვენი საერთო სულიერი აღმაფრენა, ჩვენი თანადგომა და თანაგანცდა, ბედნიერებისა და შეშფოთების საერთო შეგრძნება.**

**ასე მგონია, რომ დღეს ჩვენ აქ მხოლოდ დიდი წინაპრის ხსოვნისადმი მოწიწებას არ მოვუყვანივართ, მით უმეტეს — არა მხოლოდ კალენდარულ თარიღს. არის კიდევ რაღაც მიზეზი, შესაძლოა ჩვენს მიერვე თავდაპირველად ბოლომდე გაუცნობიერებელი... ყოველ შემთხვევაში, მე ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ამგვარი, იერშეცვლილი რიტუალებით ჩვენ ვცდილობთ დიდი წინაპრების რაინდული სული გამოვიხმოთ, რათა მათ ჩვენი ძალა გააახლეონ და გამარჯვების რწმენა განგვიმტკიცონ...**

**და, რაც ყველაზე განსაცვიფრებელია, დგება წუთი, როდესაც ყოველი ჩვენთაგანი თვალნათლივ ხედავს ამ უქრობელ ლამპარს, გრძნობს ამ უმარცხებელი სულის გარდმოვლენას, ამ ყოვლისშემძლე და ყოვლისშემძლე ძალას...**

**სწორედ ასეთ წუთებში თუ ჩავწვდებით ჩვენ აკაკი წერეთლის უკვდავების საიდუმლოს.**

# საქართველომ ეს პრობლემა უნდა გადაჭრას

თუ კაცმა იკადრა, ხელაღებულ, საქმეში ჩაუხედავ კრიტიკაზე ადვილი არაფერია. ავტოინსპექციას ასეთ განმაქიქებელს ვინ დაუღევს. ამჯერად ვინმე ზ. ივანოვმა „დგვცხო", „პრავდაში" ბდღვირი აგვადინა, სულ ორიოდ წინადადებაში მოგვათავსა ჩვენი პრობლემ-ამოცანებიანა, ცხენ-უნაგირიანად და განაცხადა, საქართველოში ავტოინსპექცია ფაქტობრივად ანულირებულია, ავტოავარიების რიცხვი ძალზე გაიზარდაო. თანაც ამგვარ დასკვნამდე ისე მივიდა, რომ საქართველოში არც კი ჩამოსულა, ჩვენთან არ შემოუვლია და რადგან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებთან დაკავშირებული მთელი ინფორმაცია უწინარესად სწორედ ჩვენთან იყრის თავს, შეკითხვა არ დაუსვამს, მაინც რატომ გაიზარდა თქვენთან ასერიგად ავარიების რიცხვი, რაშია საქმე, დახმარება ხომ არ გჭირდებათო. მას არც ის სამწუხარო სტატისტიკა გახსენებია, შარშან საბჭოთა კავშირში 12000 კაცით მეტი რომ გარდაიცვალა ავტოავარიებში წინა წელთან შედარებით და დაღუპულთა რიცხვმა 58000-ს გადააჭარბა. იქ, ეტყობა, ძველებურად აზროვნებენ — თუ გასულ წელს ქვეყანა დააქციე და წელს შედარებით ნაკლებად აქცევ, ტაშს გიკრავენ, კარგად მუშაობო. სამწუხაროდ, ასე არ მოიქცა „გულდათუთქული" კორესპონდენტი და, ჩემი აზრით, უწინარესად იმიტომ, რომ ავტოავარიები, მისგან გამოწვეული მძიმე შედეგები იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც იგი შესაძლებლობას აძლევდა საკავშირო პრესაში მოწყობილ ანტიქართულ სამზარეულოში კიდევ ერთი ბლინიც დაეცხო — ხედავთ, „ამხანაგებო", საქართველოში ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული, ბოდიში და, ძაღლი პატრონს ვერა სცნობსო. ყოველ შემთხვევაში, პირადად მე ასეთი რწმენა დამეუფლა.

ისე კი, რომ შეგვკითხოდა „ამხანაგი" ჟურნალისტი ცენტრიდან, ვეტყოდი, რომ არც მთლად ასეა საქმე, საქართველოში ავტოინსპექცია ჯერჯერობით პირწმინდად ანულირებული არ არის. ეს იქიდანაც ჩანს, რომ წელს ამ სამსახურის მუშაკებმა გზებსა და ქუჩებში 800000 მეტი დამრღვევი მძღოლი გამოავლინეს, მათ შორის — 12000 მთვრალი, ან თუნდაც იქიდანაც, რომ მოსვენება არა გვაქვს, ყოველდღიურად ათასი ნაცნობი და „უვავი ჩხიკვის მამიდა" დარბის და გვთხოვს, არიქა, მიშველეთ, მძღოლის მოწმობა ჩამოართვეს, დამეხმარეთო. ავტოინსპექცია „ცოტას" მაინც რომ არ მუშაობდეს, ეტყობა, კაბინეტში არ აწკრიალდებოდა ზარი, თურქი მესხები გამოჩნდნენ, საზღვრები გაამაგრეთო, სამაჩაბლოში არეულობაა, მთელი ძალები იქ გადაისროლეთო, ბოგდანოვკა-ახალქალაქის მოსახლეობას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ქვა გააქვს — უშველეთო, სასოფლო-სამეურნეო და კვების პროდუქტები გაზიდეს მეზობელ რესპუბლიკებში — როგორმე შეაჩერეთო, ბავშვები ან სტუმრებია გასაცილებელი — გააცილეთო, მანქანა მომპარეს — მიშველეთ, მომიძებნეთო, ახლობელი გარდამეცვალა, წესრიგი დამიმყარეთ პანაშვიდზე, თორემ, ჩვენების ამბავი რომ ვიცი, საშუალება რომ ჰქონდეთ, ზოგიერთები მანქანითვე ამოვლენ სადარბაზოში და ჭირისუფალს მანქანიდან მიუსამძიმრებენო, დიდთოვლობის გამო გადასასვლელი ჩაიკეტა, მძღოლები ხელჩართული ომით უნდა შევაკავოთ, თორემ თავის გასაწირად მიდიანო, ზვავი ჩამოვიდა — შემოსავლელი გზა მოძებნეთო, მიტინგის მონაწილეებს ვინმე თავზეხელაღებული არ შეეჯახოს — მისასვლელები გადაკეტეთო, მთავრობაზე განაწყენებულებმა ტრასა გადაკეტეს, მოდით, აუხსენით, დააჯერეთ, სთხოვეთ, გზის გადაკეტვა არ შეიძლებაო, და ა. შ.

ხშირად გაისმის ასეთი მოთხოვნა-თხოვნებიც: ჩემს სახლთან ასეთი და ასეთი საგზაო ნიშნები დააყენეთო, მანქანა შევიძინე და სახელმწიფო ნომრები ჩემი შვილის დაბადების წელს უნდა ემთხვეოდესო, ჩემს ახლობელს მართვის მოწმობა უნდა, მანქანის მართვა არ იცის, მაგრამ ხომ შეიძლება ისე მივცეთ, ასეთი შემთხვევები არ არის თუ რაო. იქნებ ისეთი საბუთი მომცეთ, ინსპექტორმა არ გამაჩეროსო, მთვრალი ვიყავი, თქვენმა ინსპექტორმა გამიშვა და ასეთი კარგი ხალხი გამრავლდეთო!

ერთი გაჰყვირის — ინსპექტორმა შეურაცხყოფა მომაყენა, უხეში და უზრდელიაო, მეორე აღშფოთებულია — ინსპექტორმა ფული გამომძალაო, ვიცით რა ზოგიერთი ჩვენი ვაითანამშრომლის ამბავი, ვეკითხებით მომჩივანს: სად, როდის, რა გვარმა ჩაიდინა. იქიდან გვპასუხობენ — თქვენ რა, უჩვენოდ არ იცით, უზრდელები და მექრთამეები რომ გყავთ, ჩვენი ხელით გინდათ ვარდების დაკრეფაო?..

ჩვენი სავალალო და საცოდავი კავშირგაბმულობის მიუხედავად, რაციაში გვესმის ინსპექტორის განწირული ხმა — კოლეგას გადასცემს ეთერში, დამრღვევმა არ გამიჩერა, იქნებ თქვენ როგორმე დააკავოთო, მთვრალი მძღოლი გავაჩერე, მცემეს, ვერ ვიმორჩილებ, დამეხმარეთო, სხვა აბონენტი მეთაურს მოუხმობს — დამრღვევი თანამდებობის პირი ჩანს, სამხრეების მოგლეჯით მემუქრებაო, მეორე ინსპექტორი შეშინებული ხმით გადმოსცემს მანქანიდან, ავტომატის ჯერი ესროლეს საგუშაგოს, მიშველეთ, არც ტყვიაგაუმტარი ჟილეტი მაქვს, არც იარაღი, არც მანქანა მყავს გასაქცევად ან გამოსადევნებლადო. რკინის ნერვებიანი კაცი უნდა იყო, ყველაფერ ამას რომ გაუძლო. ამ დროს ისმის რესპუბლიკის ავტოინსპექციის სამმართველოს მორიგის სამგლოვიარო ხმა: „დღეს რესპუბლიკაში მოხდა 13 სატრანსპორტო შემთხვევა, გარდაიცვალა 7 და დასახიჩრდა 16 კაცი..."

ოპერატიული ვითარება საქართველოში ძალზე რთულია. უაღრესად რთული, უპრეცედენტო. ვილაპარაკოთ ციფრების ენით, რათა უფრო საგნობრივი გახდეს ნათქვამი. მივმართოთ სპეციალურ სტატისტიკას.

მიმდინარე წლის მხოლოდ 10 თვეში საქართველოს გზებსა და ქუჩებში 2286 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, რის შედეგადაც გარდაიცვალა 799 და მძიმედ დაშავდა 2681 ადამიანი. შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ავტოავარიების რიცხვი 236 ერთეულით გაიზარდა, გარდაიცვალა 190 ადამიანით მეტი, ხოლო დაშავებულთა რაოდენობამ 252 ერთეულით იმატა. მოვიყვანე ეს ციფრები და ვიცი, იგი განსაკუთრებულ ემოციურ რეაქციას არ გამოიწვევს მკითხველში. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ თავისთავად ციფრი, როგორც იტყვიან, მშრალია და ერთი თვალის გადავლებით ხშირად არ ხერხდება მისი საშინელი შინაარსობრივი დატვირთვის აღქმა. სრულიადაც არა, საზოგადოება უმეტესწილად მხოლოდ მაშინ ტეხს საყოველთაო განგაშს, როცა ვინმე უკეთურის ტყვიას ან დანას ეწირება ადამიანი. ცხადია, ასეც უნდა იყოს, მაგრამ, როცა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები შეუდარებლად დიდ მსხვერპლს განაპირობებს, ესეც მთელი საზოგადოების შეშფოთებას და განგაშს უნდა იწვევდეს. სამწუხაროდ და სავალალოდ, სინამდვილეში ასე არ არის. ეს კი არა, რომელიღაც საგაზეთო წერილში საზოგადოების დახმარების თაობაზე რომ ამგვარი აზრი გამოვთქვი, რამდენიმე დღის შემდეგ მავანი მოქალაქის წერილი მივიღე, დასეთ, რა მოინდომა გ. ცინცაძემ, ხელფასი თვითონ უნდა მიიღოს, ჩვენ კი დახმარება უნდა გავუწიოთო...

თითქოს საქმე ჩემს ყანაში სიმინდის თოხნას ეხებოდა, ისე გაგვინაწყენდა ოპონენტი. დახმარებას კი უპირველესად იმიტომ ვთხოვდით, რომ ტრანსპორტით მგზავრობისას მუდამ ყურადღება და სიფრთხილე გამოეჩინა, განუხრელად შეესრულებინა საგზაო მოძრაობის წესები.

არადა, წლების განმავლობაში ამ დაულაგებელი და აწეწილ-დაწეწილი ცხოვრების ბრალია თუ კიდევ სხვა რამისა, დამრღვევთა რიცხვი იმდენად გაიზარდა და მომრავლდა, რომ ხშირად მოძრაობასთან დაკავშირებული პროცესები უმართავი ხდება.

დღეს ამ ქაოსში ავტორიტეტდაკარგული ავტოინსპექტორი, იქნევს ადამის დროინდელ სის კვერთხს და გვერდით კი „ანტილოპა გნუს" მარკის ძრავაგამორთული, ეგრეთწოდებული „კანარეიკა" გაჩერებულა, რომელიც შეიძლება ხელმეორედ აღარც კი დაიქოქოს!

ბევრი, ძალზე ბევრი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ავტოინსპექტორმა საზოგადოებაში სათანადო, ესე იგი, აუცილებლად საჭირო ავტორიტეტი მოიხვეჭოს და ბევრი, ძალზე ბევრი ვალუტაა საჭირო იმისათვის, რომ გზებზე წესრიგის დამცველთა სამსახური უახლესი ტექნიკით აღიჭურვოს, რომლის გარეშეც დღეს შეუძლებელი ხდება დაკისრებული მისიის სრულფასოვნად შესრულება. მაგრამ ეს მომავლის, ხვალინდელი დღის საქმეა. დღეს კი საუბარია იმაზე, ყველამ შესაძლებლობის ზღვრულ ფარგლებში რომ აკეთოს თავისი საქმე, აკეთოს ის, რასაც ოქროს და ვერცხლის გაღება არ სჭირდება და, ბოლოს და ბოლოს, რასაც ეთიკის ელემენტარული ნორმები, უფრო მარტივად ვიტყვი, ზრდილობა და სინდის-ნამუსი მოითხოვს. შეიძლება კანონი არ მოქმედებდეს, მაგრამ კაცურ სინდისს და შინაგან კულტურას რაღა უნდა დაუდგეს წინ!

ცხადია, ყველას უნდა წესრიგი, მშვიდი, ადამიანური ცხოვრება და თითოეული ელოდება ამ სანატრელ დღეს, მაგრამ ამის მიღწევას რომ თითოეულის მოწესრიგება და ბრძოლა ესაჭიროება, ამაზე ბევრი არ ფიქრობს. თავისთავად, უშრომელად კი სიკეთე არ მოდის.

ვისაც ერთხელ მაინც შეუვლია საჭისთვის სამართავად ხელი და ჩაბმულა სატრანსპორტო ნაკადში, უეჭველად შეამჩნევდა, რომ იქ, სატრანსპორტო ნაკადში, ნაკლებად იგრძნობა სიკეთისაკენ სწრაფვა, ურთიერთპატივისცემა, სოლიდარობა და მოთმინება. ცოცხალი თავით არავინ დაგითმობს მტკაველ თავისუფალ სივრცეს.

მე ახლა რამდენიმე მაგალითს მოვიყვან, რომელიც, შესაძლოა, ვინმეს წვრილმანადაც მოეჩვენოს, მაგრამ იგი თვალსაჩინოდ გამოხატავს ზოგიერთთა დამოკიდებულებას საგზაო მოძრაობისადმი. სამწუხაროდ, ეს „ზოგიერთი" იმდენია, რომ საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უმეტესობას შეადგენს. ავიღოთ თუნდაც ავტომობილის სახელმწიფო სანომრე ნიშანი. გვსურს თუ არა, სანომრე ნიშანი ავტომობილის აუცილებელ სარეგისტრაციო ატრიბუტს წარმოადგენს და ამ საკითხს, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სრულიად გასაგები პრაქტიკული მიზეზების გამო, და არა ავტოინსპექტორის საამებლად, როგორც ეს ბევრს ჰგონია, მეტი პასუხისმგებლური და მოქალაქეობრივი დამოკიდებულება ესაჭიროება. მაგრამ, აი, რა ხდება სინამდვილეში: სანომრე ნიშანი ბევრს საბარგულში თუ ძველი სახლის სხვენში აქვს შენახული და ავტომობილს, რომ იტყვიან, საკუთარი სახელისა და გვარის გარეშე დააგელვებს. ზოგს უცხოეთში ნაყიდ ავტომობილზე უცხოური სატრანზიტო ნომრები აქვს დატოვებული, თავისი უცნაური, ჩემი აზრით, უაღრესად პროვინციული პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ზოგმა თურქეთი მოიარა და დროებით მიღებულ სანომრე ნიშნებს ვერ შელევია. ხოლო, რაც შეეხება ავტომობილის ტონირებული მინების საკითხს, არაერთი არგუმენტირებული ინფორმაცია მივაწოდეთ მძღოლებს — ზედმეტად დაბურული მინები საგზაო მოძრაობაში, მით უმეტეს, საქართველოს რთული რელიეფის პირობებში, მკვეთრად ზრდის ავტოავარიის წარმოქმნის ალბათობას, რაც არაერთხელ დაადასტურა პრაქტიკამ. ეს ელემენტარული ჭეშმარიტება, თითქოსდა, ყველას კარგად უნდა ესმოდეს, მაგრამ ჩალამებულმინებიანი ავტომობილების ყოველდღიურად მზარდი რაოდენობა საწინააღმდეგოს გვიდასტურებს. ერთია, რომ წამხედურობის, წამბაძველობის სენი ჩვენი მძღოლების მრავალათასიან არმიაში ძალზე მტკიცედ არის ფესვგადგმული; ვთქვათ, ვინმე შეზარხოშებულმა პირმა საკუთარი ავტომობილის საბურავზე სათამაშო ტყვიამფრქვევი რომ დადგას, დარწმუნებული ვარ, მეორე დღეს ბევრი მსხვილყალიბრიან საბრძოლო ქვემეხს დაამონტაჟებს. მეორეც ის, რომ სხვებისაგან განსხვავებულობისა და უპირატესობის გრძნობაც მოძრაობის საკმაოდ ბევრ მოტორიზებულ მონაწილეს ახასიათებს. ალბათ, სწორედ ეს ამბიციურობა და ეგოიზმი აიძულებს მას უგულვებელყოს უსაფრთხოების კანონი, მოძრაობის სხვა მონაწილეთა და, საბოლოო ჯამში, მთლიანად საზოგადოების ინტერესები. მთლიანად საზოგადოებისა, რადგან საგზაო მოძრაობისადმი ამგვარი დამოკიდებულების ნეგატიური შედეგები უწინარესად საზოგადოებას ატყდება თავს.

ზოგს ჰგონია, რომ უტიფრობას და უზრდელობას მხოლოდ მაშინ ავლენს კაცი, როცა ტალახიანი ფეხსაცმელებით შეაბოტებს მასპინძლის საგულდაგულოდ მოპრიალებულ პარკეტიან იატაკზე. მაგრამ განა ნაკლები უნამუსობაა, როცა, ვთქვათ, მძღოლი ვიწრო თბილისურ ქუჩაზე თავის ავტომობილს სავალ ნაწილზე ან ტროტუარზე აჩერებს, თვითონ კი სადღაც ნაცნობ-მეგობრებთან, რომ იტყვიან, დროს ატარებს. ჩემი აზრით, განსხვავება ძალზე ცოტაა, უფრო სწორად, მათ შორის არც არის განსხვავება. საილუსტრაციო კლასიკურ მაგალითად გამოდგება ალმაშენებლის გამზირიც, რომელიც უფრო სატრანსპორტო საშუალებათა სადგომ მოედანს მოაგონებს კაცს, ვიდრე სავალ ნაწილს. ტროტუარებთან გაჩერებული ავტომობილები, ფაქტობრივად, სერგავენ ქუჩას და სხვა ტრანსპორტს, მათ შორის, საზოგადოებრივს რომ ვუწოდებთ, საძრაობა აღარ აქვს. ყველაზე მალე ტროლეიბუსის მძღოლებმა დაკარგეს მოთმინება და გაიფიცნენ. ჩვენ სპეციალური ოცეულის მუშაკები გავგზავნეთ იქ წესრიგის დასამყარებლად, გამოვლენილ დამრღვევთა ვინაობა ტელევიზიით ვამცნო საზოგადოებას, რამდენიმე დღე მართლაც „იგრძნო თავისუფლება" მოზღვავებულმა ტრანსპორტმა, მაგრამ საბოლოოდ მდგომარეობა კვლავ უცვლელი დარჩა.

გაესაუბრები ზოგიერთ ასეთი კატეგორიის მძღოლს და იფიქრებ, ნეტავ შენს გამზრდელსო. ამ დროს კი იგი მიუჯდება საჭეს, გზაჯვარედინზე უგულებელყოფს შუქნიშნის ამკრძალავ წითელ სიგნალს, ქვეითად მოსიარულეს ტალახს შეასხურებს და სიცილით მოკვდება...

ცხადია, წესრიგის დარღვევებს, მის მასობრიობას საზოგადოდ სოციალური სარჩული უდევს; საჭესთან მჯდომ ჩვენს მძღოლსაც ქვეცნობიერად ათასგვარი საფიქრალ-საზრუნავი აფორიაქებს, რაც უნებურად თიშავს და ფანტავს მის ყურადღებას, იწვევს უხეშ შეცდომებს საგზაო მოძრაობაში და, არც თუ იშვიათად, უმძიმესი ავტოავარიების მიზეზი ხდება. ეს სავსებით გასაგებია, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ და სხვა მსგავს საქციელს კაცს პირადად ვერ ვაპატიებ. ვერ ვაპატიებ, როგორც სახელმწიფო ავტოინსპექციის წარმომადგენელი კი არა, უწინარესად, როგორც ადამიანი და მოქალაქე, რადგან საგზაო კულტურაც საერთოდ ზოგადი კულტურის განუყრელი ნაწილია და მისი ელემენტარული ნორმების უგულებელყოფა ზრდადასრულებულ ადამიანს არ ეპატიება არცერთ ვითარებაში. მეორეც ის, რომ ასეთი „წვრილმანები", საბოლოო ჯამში, დიდ საფრთხეს უქმნის საგზაო მოძრაობას, სწორედ ასეთი და სხვა მსგავსი „უბრალო" დარღვევები გულსაშიშარი საგზაო ტრაგედიის მიზეზი ხდება. უაზროდ იღუპებიან და სახიჩრდებიან ადამიანები.

კახეთის გზატკეცილზე „ჟიგული", რომელსაც თავად მფლობელი მ. მაისურაძე მართავდა, გადავიდა შემხვედრი მოძრაობის ზოლში და მეორე მსუბუქ ავტომობილს შეეჯახა. ავტოავარიამ 4 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, 2 მგზავრი მძიმედ დაშავდა...

კასპის რაიონის სოფელ სამთავისთან ავტომანქანა „ჟიგული", რომელსაც მძღოლი ი. კუდუხაშვილი მართავდა, გადავიდა გზის სავალი ნაწილის შემხვედრი მოძრაობის ზოლში და სატვირთო ავტომობილს შეეჯახა.

3 ადამიანი დაიღუპა, 2 მგზავრი დაშავდა.

8 ნოემბერს გორის რაიონის სოფელ ნაწრეტთან გორის ავტოსატრანსპორტო საწარმოს კუთვნილი „პაზ-3205" მარკის ავტობუსი, რომელსაც მძღოლი გ. აბალაკი მართავდა, გადავიდა შემხვედრი მოძრაობის ზოლში და „იკარუსს" შეეჯახა.

6 ადამიანი, მათ შორის, პირველი ავტობუსის მძღოლი, შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალნენ, ორივე ავტობუსის 11 მგზავრი კი მძიმედ დაშავდა...

ავტოავარია საბოლოო შედეგია და მთავარი მაინც ის როდია, რომ მძღოლი და ქვეითი უდისციპლინო გვყავს, მთავარია ის, რომ არ მოქმედებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელიც მრავალი კომპეტენტური ორგანიზაციის რითმულ და ყოველდღიურ მიზანმიმართულ მოღვაწეობას ითვალისწინებს. ავტოინსპექციას აუცილებელი ტექნიკა, ტრანსპორტი და ძალები არ გააჩნია, ავტომობილის საიმედოობა ძალზე დაბალია, გზის ხარისხი ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას, არ არსებობს რამდენადმე ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, ასეთივე ვითარებაა მძღოლების მომზადების სფეროშიც... რომელი ერთი ჩამოვთვალო. რაც შეეხება ე. წ. ცენტრს, იგი მხოლოდ დაპირებებით გვავსებდა და სადირექტივო თითის ქნევის მეტს არაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში შემცირებულიყო ავტოავარიების შედეგად დაღუპულ და დაშავებულ ადამიანთა რაოდენობა. მიუხედავად ამისა, დამლაგებელსაც კი ვერ მივიღებდით სამუშაოდ ცენტრის თანხმობის გარეშე. სატრანსპორტო რესპუბლიკური გადასახადის საკმაოდ დიდი თანხა კი უცვლელად, მისამართშეუცვლელად კვლავ ამ ცენტრისაკენ მიემართება. და ეს იმ დროს, როცა ხელგაწვდილნი ვეძებთ უცხოური ვალუტის მქონე საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რომ შეგვიძინონ მცირე ტექნიკა მაინც, ვცდილობთ და მოვუწოდებთ ყველას შეიქმნას გზების საშენებლად ეროვნული ფონდი...

სავალალო კიდევ ის არის, რომ ათეული წლების განმავლობაში შეურყეველ ცენტრალურ დიქტატს დაქვემდებარებულმა ავტოინსპექციის სამსახურმა თითქმის დაკარგა ჭეშმარიტი საინიციატივო შემოქმედების უნარი.

ამიტომაც იყო, რომ წლების განმავლობაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ძირითადად თავად საგზაო მოძრაობის მონაწილეთა დისციპლინაზე იყო დამოკიდებული და ამჟამადაც ასეა, რადგან სხვა საიმისო რეზერვი ჯერჯერობით არ გაგვაჩნია, ამიტომაც შეიცავს ეს საგაზეთო წერილიც, როგორც ყოველთვის, ხვეწნა-მუდარას მძღოლისა და ქვეითის მიმართ — დაიცვან საგზაო მოძრაობის წესები.

ძალზე რთული ოპერატიული ვითარებაა შექმნილი ტრანსპორტზე ავარიულობის მხრივ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში, აფხაზეთში, აჭარაში, სამაჩაბლოში, ადიგენის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ოზურგეთის, საგარეჯოს, საჩხერის, ცაგერის, წყალტუბოს, სენაკისა და სხვა რაიონებში.

საქართველოს, სხვა უამრავ და უაღრესად რთულ პრობლემებთან ერთად, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემის გადაჭრაც მართებს.

**გიორგი ცინცაძე**
საქართველოს რესპუბლიკის შს სამინისტროს სახავტოინსპექციის სამმართველოს უფროსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ემირ ბურჯანაძის ანბანთხელოვნება



ემირ ბურჯანაძისეული სახვითი ფორმები განსაზღვრულია ქართული ანბანის ხასიათით, ქართული ანბანი ჰკარნახობს მას ნებისმიერი სახის ფორმათქმნადობას. მისთვის, უპირველეს ყოვლისა, ანბანშია განაგნებული ქართული მსოფლაღქმის სპეციფიკა. ამიტომაა, რომ ანბანთწერის თუ ანბათქანდაკების და საერთოდ, ანბანთხელოვნების ტრადიციები თავს იჩენს არა მხოლოდ სადღეისოდ მოდელირებულ თანამედროვე გაზეთების სახელდებათა ემირ ბურჯანაძის მიერ შექმნილ ფორმებში („თბილისი", „რესპუბლიკა", „კაბადონი—8", „კავკასია" და სხვანი), არამედ ჰერალდიკურ სიმბოლიკაში ქალაქ თბილისისა თუ ქალაქ თელავისა. ასე რომ, მისი მხატვრული აზროვნების, მისი სახისმეტყველების საფუძველთა-საფუძველია ქართული ასოები. ქართულ ასოებში მხატვარი მხოლოდ წერის საშუალებებს კი არ ხედავს, არამედ აზროვნების პრინციპებს. თვით ასოების ფორმებშიაო „კოდირებული" ქართველთა სინამდვილისადმი დამოკიდებულების წესი და რიგი. ყოველივე ეს ეხება არა მხოლოდ ასომთავრულს, არამედ მხედრულსაც. ე. ბურჯანაძე წარმოაჩენს მათ შორის არსებულ სიღრმისეულ კავშირებს, ფორმათქმნადობის თვალსაზრისით, საერთოდ, ფრიად დასაფასებელია ე. ბურჯანაძის მიერ გამოვლენილი დიდი ყადრი და მოწიწებითი დამოკიდებულება თითოეული ქართული ასო-ნიშნის მიმართ. შეიძლება ითქვას, რომ მისთვის ბგერითი შინაარსის გარეშეც „ხმოვანებს" ქართული ასო-ნიშნები. ერთი პოზიციაც კარგად ჩანს მისი ნამუშევრებიდან: ე. ბურჯანაძე ამჟღავნებს ღრმა შეგრძნებას ქართული ასო-ნიშნების ფორმათა განმსაზღვრელი საფუძვლების სიმყარისა, კლასიკური სრულქმნადობისა, მისი სრულყოფილი სისადავისა. ამასთანავე, ქართული ასო-ნიშნები მისთვის მარადგანახლებადია, ოღონდ ისე, რომ მისი ფუნდამენტური პრინციპები არ დაირღვეს.

ქართული ასო-ნიშნების სახისმეტყველებითი პრინციპების გავლენა ე. ბურჯანაძის ნამუშევრებში თავს იჩენს შემდეგის მხრივაც: ესაა მონუმენტალიზმი მცირე ფორმებში. ასეთი სახით აქვს მას მოწოდებული მცხეთისადმი მიძღვნილი ჰერალდიკური სამკერდე და ეგევე შეიძლება დავინახოთ ქვა-ჯვრებში, რომელთაც ახლავთ ლოცვა-კურთხევა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორესი.

ძალზე საინტერესოა თბილის ქალაქის დროშა: ცისფერი ჯვარით, ხოხბის სახებით და შვიდი ზეციური ვარსკვლავით. ქართულ შრიფტზე ბევრი ფიქრობს. ამას ბევრი სიკეთეც მოჰყვა. მრავალი სიახლე დამკვიდრდა. მაგრამ საფიქრალი არ ამოწურულა არც წარსულზე და არც სამომავლოდ. სწორედ ამის გამომხატველია ე. ბურჯანაძისეული გრაფიკა, რომელიც, თითქოსდა, არ ეტევა წიგნის ფარგლებში, მაგრამ, ამავე დროს, იგი წიგნურია, წიგნური გრაფიკის სინატიფის მატარებელი. ამას კარგად გვიჩვენებს მხატვრის მიერ შექმნილი ყდა „ვეფხისტყაოსნისათვის". მისეული ასონიშნები, თითქოსდა, არსად არ ავლენენ კალმისეულ სიმსუბუქეს და, ამასთანავე, ისინი წარმოაჩენენ სასურველ სისადავესა და სიმკვეთრეს.

ე. ბურჯანაძის ნამუშევრები მუდმივი ძიებით არის აღბეჭდილი. ზოგჯერ შეიძლება ეს ძიებანი საკამათოც იყოს, მაგრამ არა ხელაღებით უარსაყოფელი. ერთი ახალი ემბლემის საფუძვლად მას აუღია ემბლემა გელათის აკადემიისა. წიგნში ჩახაზული მზის რაობა გაუშიფრავს ბორჯღალის ყაიდაზე და გარეთ გამოუტანია. აქ ერთგვარი დარღვევაა, მაგრამ ესეც ქართული ტრადიციის კვალობაზე ხდება.

ყველა ნამუშევარი ამკვიდრებს მთელი ამ სფეროს თვითმყოფადობას, ვითარცა ხელოვნების ერთი თავისთავადი დარგისა, რომელიც ითხოვს მაღალ პროფესიონალიზმს და სამომავლოდ გამოსაყენებელ ტრადიციულ ფორმათა ძიებას.

**რევაზ სირაძე**

# ბრძოლა მართალთა და ფარისეველთა

## ბალტიისპირული შუქ-ჩრდილები

მკითხველებს, ცხადია, მოეხსენებათ, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნები ეკონომიკურ კრიზისს განიცდიან. კრემლმა ლიტვას ეკონომიკური ბლოკადა მოუწყო მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანამ 11 მარტს თავისი დამოუკიდებლობის აღდგენა საჯაროდ გამოაცხადა. მართალია, ლატვიისათვის ასეთი ბლოკადა აშკარად არ გამოუცხადებიათ, მაგრამ აქაც თითქმის ანალოგიური ვითარების შექმნა სურთ.

ლატვიის ახლადარჩეული უზენაესი საბჭო, რომელშიც დეპუტატთა ორი მესამედი სახალხო ფრონტის წარმომადგენლები ან მათი მხარდამჭერები არიან, ყველა ღონეს ხმარობს, რათა სტაბილურობა შეინარჩუნოს რესპუბლიკაში, თავიდან აიცილოს ქაოსი და ეროვნებათა შორის შეხლა-შემოხლა, რასაც ასე თავგამოდებით ესწრაფიან ინტერფრონტელები და მათი წამქეზებლები. ინტერფრონტი ხომ მიზეზს ეძებს კონფრონტაციისათვის, მათ ტყუილად კი არ შეარქვეს ლატვიაში „ინტერნაცისტები".

ლატვიელებმა უკვე კარგა ხანია უარი თქვეს მიტინგებზე. მიტინგებს მხოლოდ მაშინ მართავენ, როცა რაიმე საგანგებო ვითარება შეიქმნება. ერის საჭირბოროტო საკითხებს ახლა მხოლოდ პარლამენტის სხდომებზე იხილავენ და წყვეტენ. ერთი სიტყვით, ლატვიაში ეროვნული მოძრაობის ახალი ხანა, ახალი ეტაპი დაიწყო.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ხალხი, როგორც ლატვიელები, ისე რუსები თუ სხვა ერის წარმომადგენლები, ზედმიწევნით მომზადებული შეხვდა დღევანდელ რთულ პოლიტიკურ სიტუაციას. ყველამ კარგად იცის, რომ რესპუბლიკას ახლა ძალიან უჭირს, მაგრამ არავინ წუწუნებს, არავინ სდებს ამაში ბრალს ახლანდელ უზენაეს საბჭოს და არც სახალხო ფრონტს. თუმცა ინტერფრონტი, წაქეზებული შინაური თუ გარეშე მფარველებისაგან, მომენტს არ უშვებს ხელიდან, არ დაადანაშაულოს ლატვიის უზენაესი საბჭო და მთავრობა.

ლატვიელთა, ლატვიის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის პოლიტიკურად მომზადებაზე ესეც მეტყველებს: წელს, როცა დაინახეს, რომ კრემლმა ეკონომიკური ბლოკადა მოუწყო მეზობელ ლიტვას, ქალაქის მოსახლეობამ სოფლად კარტოფილი და სხვადასხვა ბოსტნეული დათესა და საკმაო მოსავალი მოიწია. ცენტრი ლატვიის მიმართაც თუ გამოიყენებს ასეთ ზომებს, რაღაც სარჩო-საბადებელი მაინც ექნებათ და ადვილად ვერ გატეხავენ წელში.

აქვე მეორე მაგალითიც მინდა მოვიტანო. ინტერფრონტი ცდილობს, პროვოკაციაზე წამოაგოს სახალხო ფრონტელები, მაგრამ მიზანს ვერ აღწევს. ერთხელაც პამიტელები მოიწვიეს რუსეთიდან, რათა სახალხო ფრონტელებისთვის ცხვირ-პირი დაემტვრიათ, ლატვიის სახალხო ფრონტის ხელმძღვანელებმა ინტერფრონტელთა ეს მზაკვრული ჩანაფიქრი დროზე შეიტყვეს და თავიდან აიცილეს სისხლისღვრა.

ზემოთ ვთქვი, ლატვიაში მიტინგები აღარ იმართება-მეთქი. ამაში მთლად მართალი არა ვარ, რადგან ინტერფრონტი ჯერ ისევ მიტინგომანიითაა გატაცებული. ერთი ასეთი მიტინგი ჩატარდა საპორტო ქალაქ ვენტსპილში, რადგან ამ ქალაქის მესვეურებმა გადაწყვიტეს, მოეწყოთ ლენინისა და იან ფაბრიციუსის ძეგლების დემონტაჟი.

ალბათ, საჭირო იქნება, ორიოდე სიტყვა ვთქვათ ფაბრიციუსზე, რადგან საქართველოსთანაც აქვს მას შეხების წერტილები. თუმცა, არამარტო წერტილები, იგი ხომ თბილისში, რუსთაველის გამზირზე, სურათების გალერეის წინ ასაფლავია. მისი სახელობის ქუჩაც გვაქვს ავლაბარში. იან ფაბრიციუსი — ლატვიელი სამხედრო პირი — ოციან წლებში საქართველოში იყო გამოგზავნილი ბელადის მიერ. მას ლეგენდარულს უწოდებენ. პირველმა სწორედ მან მიიღო ოთხი წითელი დროშის ორდენი და, ალბათ, ყველა თუ არა, ერთი მაინც ექნებოდა საქართველოში ნამსახურობისათვის ბოძებული, თუნდაც იმ დამსახურებისათვის, რაც მას და მის თანამებრძოლებს მიუძღვით ოციანი წლების აჯანყებების სისხლში ჩახშობაში. აი, ამ ლეგენდარული ფაბრიციუსის ძეგლის დემონტაჟს მოითხოვენ მისი თანამემამულეები მის მშობლიურ ქალაქში. ინტერფრონტი კი კბილებით იცავს ამ ძეგლს.

გულახდილად რომ ითქვას, ინტერფრონტს სულაც არ ანაღვლებს ფაბრიციუსის ძეგლის ბედი. ახლა გამოიდო თავი, რათა ლატვიელ ხალხს დაუპირისპირდეს, დაძაბულობა შეიტანოს მოსახლეობაში. მათი მოქმედება რომ მხოლოდ ამ მიზანს ისახავს, ამას ეს ფაქტიც ადასტურებს. ვინც რიგაში ყოფილა, მათ კარგად იციან, რომ ქალაქის ცენტრში თავისუფლების ბულვარზე (ორმოცდაათიანი წლებიდან ლენინის სახელს რომ ატარებდა) ორი ძეგლი დგას: თავისუფლების მონუმენტი, რომელიც ოცდაათიან წლებში ააგო მოქანდაკე კარლ ზაალემ და ლენინის ძეგლი. თვალში საცემია ამ ძეგლთა განლაგება თუ ურთიერთმიმართება. თავისუფლების ძეგლი, რომლის მაღალ სვეტზე მდგარ თავისუფლების სიმბოლოს — ლატვიის დედას — ზეაწეულ ხელებში სამი ვარსკვლავი—ლატვიის სამი კუთხის სიმბოლური გამოსახულებები რომ უკავია, დასავლეთით მიუპყრია მზერა, ლენინს კი, რაღაც 150-200 მეტრის მოშორებით, ზურგი შეუქცევია მისთვის და აღმოსავლეთით გაუწვდია ხელი. 1988 წლამდე თავისუფლების ძეგლთან ვერავინ ბედავდა მისვლას, აკრძალული იყო. იგი ომის შემდგომ პერიოდში არცერთ ფოტო-ალბომში არ შეუტანიათ, ამ დიდებულ ძეგლს ვერსად ნახავდით რიგის ხედებში, არადა, როგორც ხელოვნების ნიმუში, ერთ-ერთი შედევრია მთელს ლატვიაში. 1988 წელს ლატვიელმა ხალხმა დაიბრუნა თავისი ძეგლი — თავისუფლების სიმბოლო. მის ირგვლივ მილიონობით ყვავილია მოკრძალებით დაწყობილი. მე მრავალჯერ მინახავს აქ მოსული ადამიანები — ბავშვებიცა და ღრმად მოხუცებულებიც, ყავარჯნებზე დაყრდნობილი ხეიბრებიც კი — თუ როგორ მოწიწებით აწყობენ სამ-სამ ყვავილს, თავიანთი ეროვნული დროშისფერ წითელ-თეთრ-წითელ ყვავილებს. რატომ გიყვებით ყოველივე ამას? ლატვიის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ძეგლებზე მზრუნველობა ეკისრება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. და, აი, შედარებისათვის ეს ერთი ფაქტიც კმარა. თავისუფლების ძეგლის კვარცხლბეკს და მის მიმდებარე მოედანს ყოველდღე ათასობით ახალ-ახალი ყვავილი ამკობს. ლენინის ძეგლის კვარცხლბეკთან კი მთელი იმ ათი დღის განმავლობაში, ორადორი დამჭკნარი მინდვრის გვირილა და ერთი ტიტა შევნიშნე. ინტერფრონტელებს, რომელთაც წარამარა ლენინის სახელი აკერიათ პირზე და მისი იდეების დამცველებად მოაქვთ თავი, ერთხელაც არ გაახსენდებათ, რომ თავიანთ ბელადს, კერპს, ყვავილები მაინც მიუტანონ.

ახლახანს კიდევ ერთ პროვოკაციას მიმართეს. პრესის ფურცლებზე ვილაც-ვილაცეებს მოათხოვინეს, რომ ლატვიის თავისუფლების ძეგლის კვარცხლბეკის ძირას დატანებული კარი გაგვიღეთ, რათა შიგ შესვლა შევძლოთ და პეტრე პირველს სანთლები დავუნთოთო.

ალბათ, გაკვირვებული მკითხველი იკითხავს, რა შუაშია აქ პეტრე პირველი, ან რა სანთლების დანთებაზეა საუბარიო? როგორც მოგეხსენებათ, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში პეტრე პირველმა ბალტიისპირეთი დაიპყრო. ისტორიიდან ისიც ვიცით, რომ ამით რუსეთს ფანჯარა გაუხსნა ევროპაში. რიგაში, ბალტიისპირეთის მთავარ ქალაქში, დადგეს პეტრე დიდის ძეგლი, რომელიც თვითონ რუსებმა აიღეს 1915 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს, როცა გერმანელები მოუახლოვდნენ რიგას. ძეგლი რუსეთში წაიღეს, რიგაში კვარცხლბეკიღა დარჩა. 1918 წელს ლატვიამ თავისუფლება მოიპოვა და დემოკრატიული რესპუბლიკა შექმნა. ეს კვარცხლბეკი დიდხანს უშნოდ ყოფილა ქალაქის ცენტრში გაჩხირული. შემდეგ კი, როგორც ზემოთაც გითხარით, აქ დიდებული ძეგლი — თავისუფლებისა და მამულისათვის — აღმართეს, რომელზეც გამოქანდაკებულია მთელი ლატვიელი ხალხის ხანგრძლივი ბრძოლის სურათები. აი, ამ ძეგლის შეურაცხყოფა მოუწადინებიათ ინტერფრონტელების მიერ წაქეზებულ ვიგინდარებს. თორემ, პეტრე პირველი წმინდანი ხომ არ არის, ან როდის აქეთაა, რომ სანთლებს უნთებენ მას? თუ სანთლების დანთება უნდათ, იქვე არ არის ალექსანდრე ნეველის ეკლესია? ანდა თუ პატრიოტული გრძნობები ამოძრავებთ, იქვე ლენინის ძეგლის გვერდით არ არის დიდებული შენობა, მართლმადიდებლური ეკლესიის საეპარქიო ტაძარი, რომელშიც ახლა პლანეტარიუმია მოთავსებული, რატომ იმის დაბრუნებისათვის არ იბრძვიან? ამ მართლაც დიდებულ ტაძარს, შვიდი თუ ცხრა გუმბათი რომ ამშვენებს, სამოციანი წლების დასაწყისში ჯვრები დაამძრეს და გუმბათებზე მათ ადგილას რკინის პალოები ხიშტებივით დაასვეს. იმ წელს ნიკიტა სერგეევიჩი სტუმრობდა თავის მეგობარ პელშესთან და ქრისტიანულმა ჯვრებმა ცუდ გუნებაზე არ დააყენოსო „მაღალი" სტუმარი, ამ მიზნით მოხსნეს ჯვრები. წელს ერთმა ლატვიელმა ემიგრანტმა (მართლმადიდებელმა) გერმანიაში დაამზადებინა უზარმაზარი ჯვრები და კვლავ დაამშვენა ეს დიდებული ტაძარი. აი, პატრიოტობა და წარსულის სიყვარული ასეთი გვესმის. მაგრამ, როგორც აშკარად ჩანს, ინტერფრონტელებს არც წარსულის სიყვარული გააჩნიათ და არც პატრიოტიზმი. ისინი ბნელი ძალების იარაღს წარმოადგენენ რესპუბლიკებში მკვიდრი მოსახლეობის საწინააღმდეგოდ. თუმცა ეს კარგად იციან ლატვიელებმა, ეს კარგად ვიცით ჩვენც...

**უშანგ სახლთხუციშვილი**

რიგა. 1990 წლის სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დემირთაშ ჯეიჰუნი

# პატიებას ვითხოვ...

ცნობილი თურქი მწერლის დემირთაშ ჯეიჰუნის მოთხრობები და რომანები გამსჭვალულია ადამიანისადმი თანაგრძნობითა და სიყვარულით. ამის ნიმუშია ავტორის ახალი წიგნიც „მთელს მსოფლიოს პატიებას ვთხოვ“. წიგნში შესულია ამბები, რომელთა მომსწრე და მონაწილე ყოფილა ავტორი სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობის დროს. ამ ამბებს ერთიანებს საქართველოში განცდილი. საქართველომ განაწყო ავტორი იმისათვის, რომ პატიება ეთხოვა ყველასაგან, ვისაც ახსოვს ოსმალების — დღევანდელ თურქთა წინაპრების მიერ მიყენებული ტკივილი.

ქართველები არა ვართ განებივრებული იმით, ვინმე რომ შეეწუხებინოს ჩვენს მიმართ ჩადენილ მის თანამემამულეთა ულირს საქციელს. ამიტომ ვთავაზობთ მკითხველს მცირე ნაწყვეტს დემირთაშ ჯეიჰუნის დასახელებული წიგნიდან.

ქვეყნად რამდენი ვინმესგან მქონია პატიება სათხოვნელი! ეს 1987 წელს საქართველოში აღმოვაჩინე.

უცხოელ მწერალთა ერთ ჯგუფს საქართველოს მწერალთა კავშირმა პურობა გაგვიმართა. თამადა — გიორგი ციციშვილი, ქართული წესით გაწყობილ ლამაზ სუფრას უსაზღვრო მხიარულებით უძღვებოდა.

მორიგ სადღეგრძელოს რომ ამბობდა, სტუმრებს მოგვიბრუნდა და თქვა:

— თქვენ ამ თურქებს არ იცნობთ. ჩვენზე უკეთ არ გეცოდინებათ, რანი არიან ეგენი! ასეული წლების განმავლობაში ხან აღმოსავლეთიდან ესხმოდნენ ჩვენს მიწა-წყალს, ხან დასავლეთიდან. მზეთუნახავ ქალებსაც გვტაცებდნენ. „ნატო“-ში რატომ შევიდნენ, იცით? თუმცა, საიდან გეცოდინებათ? ნატო საქართველოში ქალის სახელია. ჰოდა, თურქებს „ნატო“ ქართველი ქალი ეგონათ და გადაირივნენ.

ამ სიტყვებს საერთო ხარხარი მოჰყვა.

მართლა რა საოცარი ხალხი ყოფილა ეს ქართველები! გულღია და მხიარული! კაცთმოყვარე და ცეცხლოვანი! ეტყობათ, კარგად იციან ცხოვრების ყადრი.

ქართველები რომ ყველასგან გამორჩეულნი არიან, პირველად ევგენი ევტუშენკოსგან გავიგე. 1985 წლის შემოდგომაზე ევგენი ევტუშენკო სტამბოლის წიგნის ბაზრობაზე გვყავდა მოწვეული. სადაც არ უნდა წაგვეყვანა, რაც არ უნდა გვეჩვენებინა, ყველაფერს ქართულს ადარებდა. სუფრასთან რომ დავსხდებოდით, წავიდოდა, წამოვიდოდა და საქართველოზე ჩამოაგდებდა სიტყვას: „არა, კაცის გონება ვერ ჩასწვდება ქართული სიმღერის ძალასა და სიღრმეს. ქართველები არაჩვეულებრივად მუსიკალური ხალხია. ან როგორი სტუმართმოყვარეები არიან! რა მეგობრობა იციან! არა, შეუძლებელია მათი სუფრის წესების გადმოცემა! ან სმის კულტურა როგორი აქვთ?!“

ყვებოდა რაც გაახსენდებოდა, ყვებოდა დაუსრულებლად. აზიზ ნესინისაგანაც ბევრი მსმენია საქართველოზე, თბილისზე.

მართლაც, კაცი ამ ქართველების ყურებით ვერ გაძლება, ქეიფიც რომ თავიანთი საკადრისი იციან! სუფრაც როგორი გულუხვი აქვთ, ჩიტის რძეც არ აკლია! თანაც როგორი მეგობრული ატმოსფერო სუფევს. რამდენი ხანიც არ უნდა ისხდნენ სუფრასთან, ვერ ნახავ, კაცმა თავი დაკარგოს და დათვრეს. ეს სრულიად შეუძლებელიც კია. სუფრასთან დასხდებიან თუ არა, სუფრის წევრებს შორის თამადას ირჩევენ და ვისაც თამადა მისცემს სიტყვას, ის ლაპარაკობს, თამადაც, ვიდრე სხვას ათქმევინებდეს რამეს, თვითონ ლაპარაკობს. ცოტას შეაქებს ვისმე, ცოტას გაკენწლავს, ცოტას გაეხუმრება და ასეააწყობს ტკბილ და მხიარულ საუბარს.

ქართველებს ქეიფის დროს სიმღერა ძალიან ჰყვარებიათ. ქართული სიმღერა მრავალხმიანია, არა მგონია, დედამიწის ზურგზე იპოვებოდეს ქართული სიმღერების ბადალი. ეჭვი არ მეპარება — ყოველი ქართველი, როცა უნდა მომღერალია, როცა უნდა — დირიჟორი. საკვირველია, ვინმემ სიმღერა წამოიწყოს, პირველი სიტყვები, მღერდის პირველი მუხლი თქვას, რომ მაშინვე აჰყვებ მეორე, მესამე და ასე შემდეგ. ბოლოს ყველანი ერთად მღერიან.

როგორ ეამაყებათ თავიანთი სიმღერა — ქეიფი. სამშობლოს შოვნასაც ამას უმადლიან.

თურმე, მამა ღმერთმა ქვეყნიერება რომ შექმნა, იხმო თავისი ყმები: „მიწები უნდა გაგინაწილოთო“. ქართველებიც მისულან, მაგრამ ღმერთის კარზე უკვე უზომო ხალხს მოეყარა თავი. „საღამომდე მაინც არ მოგვიწევს რიგი და აქ დგომას რა ფასი აქვს, წავიდეთ, სადმე წყაროსთან სუფრა გავშალოთ, ქეიფში დრო შეუმჩნევლად გავაო“, — უთქვამთ ქართველებს და წასულან, უპოვიათ კარგი წყარო, სუფრაც გაუშლიათ, თამადაც აურჩევიათ, სიმღერებიც უთქვამთ. ამასობაში კიდეც დაბინდებულა. ახლაღა გახსენებიათ, რისთვის იყვნენ წამოსულები. „არიქა! ღმერთი არ გავარისხოთო!“ — წამომხტარან, დაბრუნებულან ღმერთის კარზე და რას ხედავენ? მამა ღმერთს საქმე მოუთავებია, კარი მოუხურავს, ყველანი წჭსულ-წამოსულან. შეწუხდნენ თურმე ქართველები, მიადგნენ კარს: — ღმერთო, შეგცოდეთ და გვაპატიე! სიმღერას შევყევით. რა ვიცოდით, ასე მალე თუ დაამთავრებდით, გეხვეწებით, უსამშობლოდ ნუ დაგვტოვებ, ჩვენც მოგვეცი ცოტა მიწაო.“ — აღარაფერი დამრჩა, დროზე უნდა მოსულიყავითო, — უთხრა ღმერთმა, მაგრამ ქართველები არ მოეშვნენ, არ გაათავეს ხვეწნა-მუდარა. ღმერთმაც დაინახა, იოლად რომ ვერ მოიშორებდა თავიდან და უთხრა: — ოღონდ თავი დამანებეთ და ჩემთვის მაქვს ერთი ადგილი გადადებული და ის წაიღეთო“.

აი, — იციან ქართველებმა — საქართველო ის მიწა-წყალია, ღმერთს თავისთვის რომ ჰქონდა გადანახული, იმიტომ არის ქვეყნად ყველაზე ლამაზი კუთხეო“.

მართლაც, არა მხოლოდ საქართველო, არამედ მთელი კავკასია — ჩრდილოეთი თუ სამხრეთი, აღმოსავლეთი თუ დასავლეთი ბუნებითაც და ადამიანებითაც გამორჩეული კუთხეა. ვიდრე ჩემი თვალით ვნახავდი იქაურობას, რასულ ჰამზათოვის „ჩემი დაღესტანი“ წავიკითხე. მომხიბლა, გამოგნა ამ წიგნმა.

ცალკერძ რასულ ჰამზათოვის „ჩემი დაღესტანი“, ცალკერძ ევგენი ევტუშენკოსა და აზიზ ნესინის საქართველო... მაგრამ ამას მაინც ვერ ვიფიქრებდი, რომ საქართველო, დავადგამდი თუ არა მის მიწას ფეხს, სულით ხორცამდე შემძრავდა და შინაგანი აღსარებისათვის განმაწყობდა.

1987 წლის 13-16 თებერვალს მ. გორბაჩოვის მიერ გამართულ „მოსკოვის ფორუმზე“ ვიყავი მიწვეული.

ფორუმი რომ დასრულდა, საბჭოთა კავშირის ქალაქებში თითო კვირით მოგზაურობა შემოგვთავაზეს. მეც მკითხეს: „ლენინგრადში წაბრძანდებით თუ თბილისშიო?“

— თბილისში, ე. ი. საქართველოში? რასაკვირველია, საქართველოში! კავკასია, მართლაც რომ ადამიანთა აღრევის ადგილი ყოფილა. მთელი მილეთის ხალხს აქ უცხოვრია. რა ენაზე აღარ ლაპარაკობენ: ქართულად, აზერბაიჯანულად, ავარულად, აფხაზურად, ლაკურად, უუმუხურად, დარიგულად... მეც მივემატე ჩემი თურქულით.

ღმერთმანი, ვერ წარმოვიდგენდი, ასე თუ დამიპყრობდა საქართველო, გულს ვადამახსნევინებდა, აღსარებას მომთხოვდა.

თბილისში ჩვენი ჩამოსვლის მეორე დღე იყო. თავიანთ ძველ დედაქალაქში წაგვიყვანეს. მაღალი მთის ფერდობს ავუყევით და მის წვერზე არწივის ბუდესავით დადგმულ ეკლესიასთან მივედით. ვიცოდი, თურქეთში მცხოვრები ქართველები რომ მუსლიმები არიან და მეგონა, საერთოდ საქართველოც მუსლიმური ქვეყანა იყო. ქრისტიანები კი ყოფილან. თანაც ერთ-ერთი პირველი ქრისტიანები; 320-330 წლებში მიუღიათ ქრისტიანობა, V-VI საუკუნეებში კი სულაც გამოჰყოფიან ანტიოქიის ეკლესიას და დამოუკიდებელი ეკლესია შეუქმნიათ. დღეს მსოფლიოში ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ისეთივე უფლებით სარგებლობს, როგორითაც ბერძნული თუ რუსული. შეიძლება მასში ღვთისმსახურების წესები ბიზანტიური ქრისტიანობისაგან იყოს დავალებული, მაგრამ იგი მაინც დამოუკიდებელი ეკლესიაა.

ჯვარი, მაღალ მთაზე არწივივით რომ ჩამომჯდარა და ღმერთის მრისხანე მზერას ავლებს თავის ფერხთით გადაშლილ ველს, ერთ-ერთი პირველი ეკლესია ყოფილა საქართველოში. ამ ეკლესიაში მჯდარა მცხეთის მღვდელმთავარიც.

ჩვენი გიდი ყველაფერ ამას დაუფარავი სიამაყით გვეუბნებოდა.

V საუკუნეში აშენებული ეს ეკლესია პირველი დიდი ეკლესიაა, რომელსაც ასეთი ზომის გუმბათი აქვსო.

ჩვენ ხომ ეკლესიის ხსენებაზე აიასოფია გაგვახსენდება თავისი ფრესკებითა და მოზაიკებით. ამიტომ ვიკითხე:

— ამ ეკლესიას ჭერსა და კედლებზე ფრესკები და მოზაიკა რომ არა აქვს?

ჩვენი გიდი მოულოდნელმა კითხვამ შეაცბუნა, ალბათ, ამაზე არც უფიქრია, სწრაფად მოიხაზრა:

— V-VI საუკუნეებში ჯერ კიდევ არ ჰქონდა ეკლესიას მოზაიკა და ფრესკები, — მომიგრა კატეგორიული ტონით.

ახლა მე დამიდგა გაოცების ჯერი: „ნუთუ V-VI საუკუნეებში მართლა არ ჰქონდა ეკლესიებს ფრესკები და მოზაიკა“? ტუჩი ავიბზუე, მხრები ავიჩეჩე: „ამას ვერ დავიჯერებ-მეთქი, — ვთქვი გუნებაში“. გიდმა შემამჩნია. მიხვდა, რომ საჭირო იყო სიტუაციის გამოსწორება.

„რასაკვირველია, V-VI საუკუნეებში ამ ეკლესიასაც ექნებოდა ფრესკები და მოზაიკა, მაგრამ მომდევნო საუკუნეებში, ჩვენი ბარბაროსი მეზობლების თავდასხმების დროს, ყველაფერი მოისპო“.

ვერ აგიწერთ, რა დღეში ჩავვარდი! ვინანე: „რა ღმერთი გამიწყრა, რატომ ვიკითხე,-მეთქი, მაგრამ უკვე გვიან იყო. ვეღარ გავჩუმდებოდი.

— ღვთის გულისათვის, მიბრძანეთ, ვინ იყვნენ ის ბარბაროსები, ამდენი ფრესკები და მოზაიკები რომ გაანადგურეს?“

— არაბები.

— ოჰ, ღმერთი გიშველით! — შვებით ამოვისუნთქე. გიდს გაუკვირდა:

— რატომ?

— მეგონა, იტყოდით, თურქებიო...

— ოო, მითხრა სიცილით, — თურქები? თურქებთან ფრესკები და მოზაიკები რა სახსენებელია? მათ ათასობით ეკლესია დაგვინგრიეს.

ახლა, როცა თამადამ თქვა: „თქვენ თურქებს ჩვენსავით არ იცნობთ, ჩვენდენი ვის გადაუტანია მათგან. ვნახოთ, ერთი, ეს მეგობარიც რა განზრახვით არისო ჩამოსული“, — საშინლად შევწუხდი. სულში ქარიშხალი დამიტრიალდა.

ჭიქა ავიღე და წამოვდექი:

— ბატონო თამადავ, გთხოვთ გადასცეთ ქართველ ხალხს, რომ ჩემი წინაპრების სახელით, იმათი სახელით, საუკუნეების განმავლობაში ლამაზ ქალებს რომ გტაცებდნენ, პატიებას ვითხოვ. თუ ნებას მომცემთ, მოგახსენებთ, რაც დღეს გადამხდა და სიტყვასიტყვით გავიმეორე გიდთან დილანდელი საუბარი. თურმე ლამაზი ქალების მოტაცებას როდი ვჯერდებოდით, ათასობით ეკლესიაც დაგვინგრევია თქვენთვის. დამიჯერეთ, პირველად აქ გავიაზრე, ქვეყნად რამდენი ვინმესთვის მქონია პატიება სათხოვნელი. დილას აქეთ სინდისის ქენჯნას განვიცდი. ყოფილ ოსმალეთის იმპერიაში შემავალ ქვეყნებში მოგზაურობის დროს ხშირად მსმენია მსგავსი რამ, მაგრამ არ შევწუხებულვარ. მეგონა, არაფერ შუაში ვიყავი. რევოლუციის შემდეგ ხომ ასე ვფიქრობდით: „ოსმალეთის იმპერია ჩვენც არანაკლებ გვავიწროებდა. ამიტომ მისი საქმეების გამო პასუხისმგებლობას არ ვკისრულობთ“. მხოლოდ საქართველოში ვიფიქრე სხვანაირად, თქვენ გამიჩინეთ მონანიების სურვილი, ამიტომ მინდა მთელ ქართველ ხალხს ჩემი ხალხის სახელით პატიება ვთხოვო.

თურქულიდან თარგმნა
**ლია ჩლაიძე**

## რადიო—პრესით

რადიოჟურნალი „ბარიერებს ზემოთ“. ამერიკელი პოლიტოლოგი ამოს პ.— დასავლეთმა უნდა შეიგნოს, რომ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები ცალკე სახელმწიფოები უნდა იყოს. დასავლეთის მხრივ ყველაზე მეტი დახმარება დაპყრობილი რესპუბლიკების ხალხებს სჭირდება.

⊙

საქართველო შევიდა დამოუკიდებლობისთვის გარდამავალ პერიოდში. რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე ოფიციალურად გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის ჰიმნი, გერბი და დროშა. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკა მიდის სრული დამოუკიდებლობისკენ. ახალ პარლამენტს მოელის დიდი ბრძოლა.

⊙

„ვაშინგტონ პოსტი“: ამერიკელი მაყურებლი ინტერესით ეცნობა ქართულ თეატრს რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილის ხელმძღვანელობით. სპექტაკლი „დონ ჟუანი“, მოლიერის კლასიკური პიესის გადამუშავებით, უკვე ათი წელია რაც თეატრის რეპერტუარშია. დღევანდელობის ამსახველმა ახალმა ფორმებმა, დინამიკურმა და დამაჯერებელმა სტილმა დააინტერესა ამერიკელი მსახიობებიც. თავისი როლით შთამბეჭდავი არსებაა რუსუდან ბოლქვაძე, შესანიშნავია ზურაბ ყიფშიძე... დასის ერთ-ერთი მსახიობი პაატა ბარათაშვილი საქართველოს ახალი პარლამენტის წევრია ტრადიციონალისტთა პარტიიდან.

⊙

„იუ ეს ნიუს“: ამერიკის შეერთებულ შტატებში სურთ პენსიონერების გამოყენება სამუშაოზე. მაგრამ თვით პენსიონერებს არ სურთ მუშაობა. პენსია მათ თვეში 850-900 დოლარამდე აქვთ, გარდა ამისა, აქვთ შეღავათები — საქალაქო ტრანსპორტით, მატარებლით, ავტობუსით მგზავრობისას. აგრეთვე კინოსა და თეატრში, მრევლში, გადასახადებისას, პენსიონერს საშუალება აქვს იმოგზაუროს, მონაწილეობა მიიღოს საქველმოქმედო ღონისძიებებში... ამიტომაც საშუალო ამერიკელ პენსიონერს აღარ სურს მუშაობა. შეერთებულ შტატებში მაინც ეძებენ პენსიონერების მუშაობაში ჩართვის გზებსა და საშუალებებს. კონგრესში წარმოდგენილი ორივე პარტია ამ საკითხზე ბჭობს. პენსიის გარდა მთელი ხელფასის მიცემით (პენსიის თანხის შეუზღუდავად) და საინტერესო სამუშაოს შეთავაზებით ფიქრობენ, რომ შესაძლოა მიიზიდონ პენსიონერები.

⊙

აშშ სიცოცხლის ხანგრძლივობის მხრივ ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოა მსოფლიოში, სისხლის წნევის, სისხლში შაქრის პროცენტის განმსაზღვრელი აპარატები, აგრეთვე ბევრი მედიკამენტი უფასოდ ეძლევათ, სამედიცინო ხარჯებს ან სახელმწიფო ფარავს, ან მეწარმეის, ვინც დამოუკიდებლად მუშაობს, თვით ფარავს სამედიცინო მომსახურების თანხას — დაზღვევის ხარჯზე. შედარებით ძნელია უამრავ წვრილ მეწარმეთა მდგომარეობა. მათი საკითხი სულ უფრო ხშირად განიხილება ამ ბოლო დროს.

⊙

პრეზიდენტ ბუშის სიტყვა — დამატებით 150 000 ჯარისკაცის გაგზავნაზე სპარსეთის ყურეში, სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყ-

(დასასრული მე-14 გვ.)

(დასასრული)

და კონგრესში იმ საშიშროების გამო, რაც შეიძლება ამას ამერიკელი ხალხისთვის მოჰყვეს, რაკი საფრთხე დაემუქრება ამერიკელი ჯარისკაცების სიცოცხლეს.

⊙

„ჩიკაგო ტრიბუნი“: ბორის ელცინი მხარს უჭერს სამოკავშირეო ხელშეკრულებას ცენტრთან და საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან. ელცინის ეს მხარდაჭერა თავისებური დარტყმაა იმ რესპუბლიკებისათვის, რომლებსაც არ სურთ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება ცენტრთან.

⊙

ლიტვას, რომელმაც 11 მარტს მიიღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია, უკვე ჰქონდა ათკვირიანი ეკონომიკური ბლოკადა მოსკოვის მხრიდან. როგორც ლიტვის პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, თუ არ დაიდება ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება ცენტრთან, — მოსალოდნელია უარესი ეკონომიკური დაწოლა.

⊙

„გარდიანი“: ხელმძღვანელი ფუნქციების განაწილება სსრკ და რუსეთს შორის; საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს იმედი აქვს, რომ ორ კვირაში დააგვირგვინებს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებებს რესპუბლიკებთან.

⊙

„ნიუველ ობსერვატორი“, „ექსპრესი“: სრულდება მოცარტის საიუბილეო თარიღი. ავსტრიის პრესა ფართოდ მიმოიხილავს ამასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, აღნიშნავს, რომ უკვე დაიწყო მზადება ამ თარიღისთვის.

⊙

ალ. სოლჟენიცინის ნაწარმოებების მხატვრულ ღირებულებებზე ბევრი რამის დაწერა შეიძლება. „ერთი დღე ივან დენისოვიჩისა“ — შედევრია. ამ მხრივ (მხატვრულად), მართალია, ვიცით, რომ ყველა მისი თხზულება ერთი დონისა არ არის, მაინც არა გვაქვს მათი შეფასების უფლება, რადგან როცა სოლჟენიცინი გარიცხეს, გააგდეს — ჩუმად ვიყავით. თავის დროზე მწერალმა ანა ახმატოვას წაუკითხა ლექსები. პოეტმა ურჩია, ისევ პროზაში ემუშავა და უწინასწარმეტყველა — დიდება გელითო. სოლჟენიცინი დიდი მოქალაქეა. (ინტერვიუდან რამდენიმე საბჭოთა მწერალთან).

⊙

„ნიუ იორკ ტაიმზი“, „ვაშინგტონ პოსტი“. რადიოსა და ტელეხედვის გიგანტის — ბილი ტეილის გახსენება: მისი სახელი დაკავშირებულია უდიდეს გადატრიალებასთან ტელევიზიაში. 77 ტელექსელის დირექტორის, ბრწყინვალე ხელმძღვანელის ბილი ტეილის წყალობით სი-ბი-ეს-ის პროგრამები დიდხანს ითვლებოდა საუკეთესო პროგრამებად — ამერიკაში და შესაძლოა მთელ მსოფლიოშიც. მას ყოველთვის ჰქონდა თანდაყოლილი გრძნობა იმისა, თუ რა აინტერესებთ ამერიკელებს ყველაზე მეტად — ეს იქნებოდა მუსიკალური პროგრამები, სხვადასხვა სახის შოუ თუ ახალი ამბების მიწოდება... ბილი ტეილიმ „აღმოაჩინა“ ფრენკ სინატრა 1931 წელს, და არა მარტო ფრენკ სინატრა, — იგი მსახიობების „კოლექციას“ აგროვებდა, რაც ალბათ უფრო ძნელია, ვიდრე სურათების კოლექცია ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმისთვის. თავისი ნატიფი, დახვეწილი გემოვნებით იგი ხარჯს უზღიდა არა იმდენად ბიზნესს, რამდენადაც კულტურას, პოსტიმპრესიონისტულ ხელოვნებას.

⊙

„სვენსკა დანგბლადეტ“: (ნობელის პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით): გორბაჩოვმა ვერ შეძლო ადამიანური სიდიადის გამოვლენა.

**„თავისუფლებისა“ და „ამერიკის ხმის რადიოგადაცემებიდან.**

# 21 წელიწადი პარიზში

## ნაწყვეტი მოგონებათა წიგნიდან

## სერგო კოხრეიძე

ყოფილა ერთი კურიოზული შემთხვევა, რომელიც ბევრჯერ გამიგონია პარიზში:

დამოუკიდებლობის დროს საქართველოს ელჩად თუ კონსულად თურქეთში ყოფილა სოსო გოგოლაშვილი. იგი ცხოვრობდა პარიზის ერთ-ერთ გარეუბანში თავისი ძველი მეგობრის, რუსი ებრაელის მამულში. ოკუპაციის დროს გოგოლაშვილის მეგობარმა, დაინახა რა, რომ ქართველ ებრაელებს დაჭერის საშიშროება არ ემუქრებოდათ, გადაწყვიტა (ალბათ გოგოლაშვილის რჩევით) თავი ქართველ ებრაელად გაესაღებინა.

შეიკერა თურმე ჩოხა-ახალუხი, წუღა-მესტი და დაიწყო ჩვენს ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა ქართულ საღამოებზე სიარული, თან გულუხვობით თავის გამოჩენა ახალ „თანამემამულეებთან“. ამ გზით თავი გადაირჩინა. მაგრამ კურიოზი ის იყო, რომ როცა ომი დამთავრდა და ებრაელებს უკვე აღარ ემუქრებოდათ საშიშროება, ეს რუსი ებრაელი ძველებურად განაგრძობდა ყოველ ქართულ საღამოზე ჩოხა-ახალუხით მოსვლას. მაშინ კი ჩვენებმა თურმე მოახსენეს: თუ ჩვენი ეროვნული კოსტუმის ჩაცმის უფლება მოგეცით და არაფერს გეუბნებოდით, ჩანჩურასავით რომ გერტყა ქამარ-ხანჯალი, იმიტომ რომ შენს სიცოცხლეს საშიშროება ელოდა, ახლა კი არავითარი საფრთხე არ გემუქრება და ახლავე გაიხადე ეგ ჩოხა-ახალუხიო. თურმე ცოტა გაძალიანდა, ეგონა, ეხუმრებოდნენ, მაგრამ როცა მიხვდა, რომ ქართველები არ ხუმრობდნენ, ჩატრევას ჩაყოლა ამჯობინა და თავადვე გაიხადაო.

დავამთავრეთ ამაზე საუბარი და დავიძარით ადგილიდან, ნელი ნაბიჯით გავემართეთ ბებურიშვილებისაკენ.

ცნობისმოყვარეობით დავუწყე ყოველ ღობე-ყორეს და ჭიშკრებს ყურება, მინდოდა მე თვითონ გამომეცნო, სად იქნებოდა ჩვენი მიწა-წყლის კაცის სახლ-კარი.

ამდენ გალავნიან ეზოებს შორის ერთადერთი შევნიშნე მავთულბადით შემოღობილი და მაშინვე გავიფიქრე, ალბათ აქაა ჩვენი თანამემამულის კარ-მიდამო-მეთქი. სანამ ჩემს ვარაუდს ბატონ იოსებს გავუზიარებდი, თვითონ დამასწრო: აი, აქ ცხოვრობს ჩვენი ალექსანდრე და მგონი შინ უნდა იყოს, ეგერ ბაღში რაღაცას ჩხირკედელაობსო.

მართლაც, ეზოს ბოლოში შევნიშნე ჭილოფის ქუდიანი კაცი კალათით ხელში. ეტყობა ხილს აგროვებდა. როცა იოსებმა ეზოში შესვლისას შორიდან მიაძახა, ბატონ ალექსანდრეს ვახლავართო, ალექსანდრემ კალათი ძირს დადო და დინჯი ნაბიჯით ჩვენსკენ გამოემართა.

— გამარჯობა, ალექსანდრე, მოგაცდინეთ საქმეს, მაგრამ არ უნდა დაისვენო, კაცო? — ხელი მაგრად ჩამოართვა იოსებმა მოახლოებულ მასპინძელს. — ახალი თანამემამულე მოგიყვანე, ბატონი სერგო, მთელი დღე ჩემი სტუმარი იყო და არ მინდოდა ჩვენი სოფლიდან ისე წასულიყო, ლიზა და შენ არ ენახეთ.

— ძალიან მადლობელი ვარ, იოსებ, რომ იფიქრე ჩვენზე, — ალექსანდრე ახლა მე მომიბრუნდა: — სასიამოვნოა, ყმაწვილო, თქვენი გაცნობა, — და ხელი ჩამომართვა.

იოსებმა ადრევე ამიხსნა, რომ ალექსანდრემ უცხოეთში მოხვედრისთანავე იგრძნო, კარგა ხანს მომიხდება აქ დარჩენაო და პრაქტიკული ჭკუა გამოიჩინა: მაშინვე დაიწყო თურმე „სიტროენის“ ქარხანაში მუშაობა. ცოტა ფული დააგროვა თუ არა, იყიდა ნაკვეთი და შემდეგ ორსართულიანი სახლის აშენებაც წამოიწყო.

მალე, რაკი საკუთარი თავშესაფარი გაიჩინა, დასახლდა ამ სოფელში და აქედან დადიოდა ყოველდღე სამუშაოზე პარიზში. ჯერ ქარხანაში მუშებთან, მერე სოფელში გლეხებთან ნელ-ნელა დაეუფლა ენასაც. ბუნებით მორცხვი არ იყო ალექსანდრე. ადვილად ამყარებდა კონტაქტს ყველასთან, მართალია, პირველი ფრაზის წარმოთქმისთანავე შეეტყობოდა, რომ უცხოელი იყო, მაგრამ მაინც მიიქცევდა ყურადღებას და ადვილად იპოვიდა საერთოს მოსაუბრესთან, ის კი არა, მალე პატივსაცემ კაცად იქცა და მეზობლებიც ანგარიშს უწევდნენ.

— გავაქართველე ჩემი მეზობლები, — გვითხრა იმ საღამოს ალექსანდრემ ღიმილით. — იყო შემთხვევა, შევნიშნავდი მეზობელს, რომ ესა თუ ის იარაღი სჭირდება, და როცა მივუტანდი, კმაყოფილებით სავსე თვალებით მომაჩერდებოდნენ. ნელ-ნელა გაიგეს ჩემი ხასიათი, მალე მეც ასე დამიწყეს მოქცევა. ამიტომ ვთქვი, გავაქართველე-მეთქი. მხოლოდ ერთი კია, რომ სუფრაზე ერთმანეთს არ დავუძახებთ ყოველთვის, როცა ვინმე სტუმარი მოგვივა. გახსოვთ, ჩვენში რომ იციან, ნათესავი ან მეგობარი მოგივა და რაც უფრო ბევრ მეზობელს მოიპატიჟებ სუფრაზე, ვითომ სტუმარს ამით მეტ პატივს სცემ. ფრანგებს უყვართ ინტიმურობა, გარეშესთან გარკვეული დისტანციის დაჭერა და იქნებ არც სცდებიან. წლების მანძილზე ერთად ცხოვრებით უკეთ გავიცანით ერთმანეთი და დავუახლოვდით; ზოგი რამ გადაიღეს ჩემგან, ზოგიც მე მათგან. ასე რომ, არც ისე უკმაყოფილო ვარ ჩემი მეზობლებით.

სულ სხვა ყოფაში აღმოჩნდა მისი მეუღლე, უბრალო ქართველი ქალი ლიზა.

იგი განდეგილივით მარტოობაში ატარებდა გრძელ დღეებს უცხო მიწაზე. მხოლოდ დასვენების და უქმე დღეებში თუ ხედავდა თავის ალექსანდრეს, თორემ სხვა დროს არავინ ჰყავდა ხმის გამცემი; იყო მარტოდმარტო გამოყრუებული ამოდენა სახლში დილიდან საღამომდე.

მორჩილი ტანის ეს მშვიდი ქალი, ბუნებით ისედაც მორიდებული, უცხო გარემოში მოხვედრამ და ენის უცოდინარობამ კიდევ უფრო დაამორცხვა. ვერა და ვერ მოახერხა თურმე მეზობელ ფრანგის ქალებთან ურთიერთობის დამყარება. არ მოსწონდა ლიზას მათი ქედმაღლობა, სითამამე. გაურბოდა მათთან შეხვედრას, ვაითუ დამცინონო. მხოლოდ მეუღლის შინ ყოფნისას თუ გაბედავდა მეზობლებთან ხმის ამოღებას და ასე ძლივს ისწავლა ორიოდე ფრანგული, თორემ იყო გაბუტულივით მარტოკა დილიდან საღამომდე. დღის მიწურულს კი თვალი და ყური ჭიშკრისკენ ეჭირა თავისი ალექსანდრეს დაბრუნების მოლოდინში.

იშვიათად ხედავდა თავისი ქვეყნის ხალხსაც და როგორ აღფრთოვანდებოდა, როცა ვინმე ქართველი ესტუმრებოდა და მშობლიურ ენაზე საუბრის შესაძლებლობა მიეცემოდა. წელიწადში ორჯერ, შობას და ოცდაექვს მაისს, ალექსანდრეს ლიზა პარიზში მიჰყავდა საზეიმო საღამოზე დასასწრებლად, რომ სხვა ქართველები ენახა და მათთან ქართულად ლაპარაკით გული ეჯერებინა.

შემდგომში ხშირად მინახავს ლიზა ქართულ საღამოებზე ჩიხტიკოპით მორთული, ქართველ ქალებთან რომ ბაასობდა სახეგაბრწყინებული!

ვიდრე ალექსანდრეს მუშაობა შეეძლო და პენსიის ასაკი დაუდგებოდა, მათი ცხოვრება ჩვეულებრივ, მონოტონურად მიედინებოდა. როცა უკვე საკმაოდ დაბერდა და თანდათან გაუჭირდა სოფლიდან ყოველ დილით პარიზში სიარული, პენსიაზე გავიდა. ლიზამ ამით თურმე ძალიან გაიხარა. ახლა მას მთელი დღე გვერდში ეყოლებოდა თავისი ალექსანდრე.

პირველ ხანებში თითქოს უდარდელად მიედინებოდა მათი ცხოვრება, მაგრამ ნელ-ნელა დაიწყეს თავიანთ ხვედრზე ფიქრი; რაკი შვილი, ძირი, მემკვიდრე არავინ ჰყავდათ, სიკვდილის შემდეგ მთელი ეს სიმდიდრე, ამდენი წლის ნაამაგარი, ავტომატურად დარჩებოდა სახელმწიფოს; ამიტომ გადაწყვიტეს გაეყიდათ თავიანთი ავლა-დიდება, ესარგებლათ საკუთარი სიმდიდრით, ეცხოვრათ ხელგაშლილად.

მართლაც გაყიდეს ყველაფერი, რის შემდეგ იცოცხლეს კიდევ კარგა ხანს. მათ დალიეს სული სწორედ იმ სახლში, რომელიც თავად ააშენეს, მაგრამ იურიდიულად მათ უკვე აღარ ეკუთვნოდათ.

შესაძლოა ვინმეს დაუჯერებელი ეჩვენოს ეს ამბავი: როგორ? გაყიდეს სახლი-ეზო, აიღეს მისი საფასური და ისევ იქ დარჩნენ საცხოვრებლად? — დიახ!

საქმე ისაა, რომ დასავლეთის ქვეყნებში არსებობს კარ-მიდამოს გაყიდვის ერთგვარი ფორმა, რომელსაც ფრანგულად „ვანდრ ან ვიაჟერ“ ეწოდება; „ვანდრ“ „გაყიდვას“ ნიშნავს, „ან ვიაჟერ“ — „სამუდამოდ“, მაგრამ პირდაპირი თარგმანი არაფერს გვეუბნება, ამიტომ ავხსნი:

ასეთი ფორმა გაყიდვისა ჩვეულებრივისაგან იმით განსხვავდება, რომ გამყიდველი სიკვდილამდე ინარჩუნებს გაყიდული სახლ-კარით სარგებლობის უფლებას. ამიტომ ამ თავის საკუთრებას ყიდის ნახევარ ფასად, იქნებ ნაკლებადაც. ყველაფერი დამოკიდებულია გამყიდველის ასაკზე. რაც უფრო ხანშია შესული გამყიდველი, ე. ი. უხეშად რომ ვთქვათ, რაც უფრო ახლოა სიკვდილთან, მით უფრო ძვირად ფასობს მისი ქონება და — პირიქით.

ამ სახით გაყიდვაში არის ჰუმანური მხარეც. მოხუცებს ეძლევათ შესაძლებლობა აილონ თანხა და თან თავიანთი წუთისოფელი მოჰამონ „საკუთარ“ სახლში, სადაც მთელი ცხოვრება გაუტარებიათ.

რასაკვირველია, ალექსანდრეს და ლიზას შეეძლოთ გაეყიდათ თავიანთი ავლა-დიდება ორმაგად, იქნებ მეტადაც, თუ მას დატოვებდნენ გაყიდვისთანავე და იყიდდნენ პატარა სახლს. ის კი არა, შეეძლოთ ეცხოვრათ პარიზის საუკეთესო სასტუმროში, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დრამა იქნებოდა მათთვის, რომ უკანასკნელი დღენი გაეტარებიათ უცხო გარემოში, და არა იქ, სადაც ათასი წვრილმანი მოგონებები აკავშირებდათ.

მათ გამოიჩინეს წინდახედულობა იმ მხრივადაც, რომ წინასწარ იყიდეს ლოვილში, ქართულ მიწასთან ზიარ სასაფლაოზე, ორი სამარე. ამოაშენეს იგი მდიდრულად, დაადგეს მარმარილოს ძვირფასი ქვა, რომელზედაც აღნიშნული იყო მათი გვარი, სახელი, დაბადების წლები და პატარა ტირე, რომლის შემდეგ დატოვებულ ცარიელ ადგილს თავის დროზე შეავსებდნენ თანამემამულეები.

ვატყობ, ამ წარსული ამბების მოგონებამ ცოტა შორს შემიტყუა, მოვლენებს წინ გავუსწარი. ლიზა და ალექსანდრე ლოვილის სასაფლაოს მივუახლოვე, მაშინ, როდესაც მათთან პირველ შეხვედრაზე თხრობა არ მაქვს დამთავრებული.

მინდა უკან დავიხიო და ამბავი იქიდან განვაგრძო, როცა იოსებთან ერთად მათ პირველად ვესტუმრე.

ზოგი რამ, როგორც ვთქვი, ბატონმა იოსებმა წინასწარ მიამბო ამ ოჯახზე. შემდგომშიც ბევრჯერ მინახავს ისინი პარიზში საღამოებზე და ოჯახშიც ხშირად ვყოფილვარ მათთან, მაგრამ პირველმა შეხვედრამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

რამდენჯერ მინახავს პარიზში ემიგრანტების ოჯახებში ქართული ნივთები, სურათები, ძვირფასი ქართული წიგნები, ხატები, თვალსაჩინო ადგილას გაკრული საქართველოს ვეებერთელა რუკა. ყოველივე ამის ხილვას შეუძლებელი იყო არ აეშალა დანატრებულ სამშობლოზე ფიქრი, მაგრამ ლიზას და ალექსანდრეს სახლში მისაღებ ოთახში შესვლისთანავე ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს საფრანგეთში კი არა, ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე ერთ-ერთ ოჯახში შევდგი ფეხი.

დარბაზში თვალი მომტაცა ტახტის ზემოთ, კედელზე გაკრულმა მომხიბლავმა ხალიჩამ, რომლის ბოლოებში მაღლა ორი ვეებერთელა ყანწი იყო დაკიდული ცერად, შუაში კი ვერცხლის ქამარ-ხანჯალი კიაფობდა ჩამავალი მზის სხივების ანარეკლზე.

ხალიჩის ქვემოთ ფარდაგგადაფარებულ ტახტზე წყვილი მუთაქა იყო ერთმანეთზე თავმიდებული, მათ შორის კი მოქარგული პატარა ბალიში, სწორედ ისე, ჩვენი ქვეყნის სოფლებში რომ იცოდნენ წინათ.

ცნობისმოყვარეობით მოვავლე თვალი დანარჩენ კედლებზე აქა-იქ ჩამოკიდებულ სურათებსაც, საიდანაც ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი უცნობი თანამემამულეები გაკვირვებით იცქირებოდნენ, თითქოს გეუბნებოდნენ: ამ სხვის ქვეყანაში რა გაჩერებთო.

ოთახის კუთხეებში, პატარა მაგიდებსა და ფანჯრების რაფებზე ქართული ნივთები იყო განლაგებული. დარბაზში ყველაფერს ისეთი ელფერი ჰქონდა, თითქოს ლიზას, ამ ტანმორჩილ ქართველ ქალს, მაგიური სული ჩაებერა აქაურობისათვის და ამ სიშორეზე პატარა საქართველო შეექმნა სხვის მიწა-წყალზე.

სხვა დროს არასოდეს მიგრძვნია ამგვარი სიახლოვე სამშობლოსთან...

ცოლ-ქმართან ტკბილი საუბარი დიდხანს გაგრძელდა. ჩვენი თავპატიჟის მიუხედავად, ლიზას ქათამი დაეკლა, თავიანთ ეზოში მოწეული ჰყინტი სიმინდი მოეხარშა და მალე სუფრა გაშალა. თვითონაც იქვე მოგვიჯდა, რომ გული ეჯერებინა ჩვენთან საუბრით.

ფრანგულმა „ბოჟოლემ“ ლოყებშეფაკლული იოსები კიდევ უფრო მოიყვანა ლაპარაკისა და ხუმრობის ეშხზე.

ღიმილით მიყვებოდა იგი ლიზასა და ალექსანდრეს ცხოვრების ზოგიერთ ეპიზოდს; განსაკუთრებით იმას, თუ როგორ ატარებდნენ ისინი კვირა და უქმე დღეებს თავიანთ სამფლობელოში.

იოსები ცოტა აშარჟებდა მათ ცხოვრებას, რაზედაც ლიზა შეეკამათებოდა ზოგჯერ: ქა, რას ამბობ, როგორ იქნებაო, მაგრამ ვატყობდი, ძალზე სიამოვნებდა მაინც ნაამბობის მოსმენა.

იოსების თქმით, დილიდან საღამომდე მარტოობაში მყოფი ლიზა კვირაობით გამოცოცხლდებოდა, თავს ბედნიერად გრძნობდა, რადგან ალექსანდრე შინ ეგულებოდა, ხმის გამცემი ჰყავდა იქვე; მაგრამ საქმე ის იყო, რომ ალექსანდრე მაინც არ ჩერდებოდა სახლში, ეზოში ჩასული ყოველთვის გამონახავდა რაღაცას საჩხირკედელაოდ და მთელი დღე საქმიანობდა, ამიტომ მოუსვენარი ლიზა გადმოდგებოდა თურმე სახლის აივანზე, მოძებნიდა მეუღლეს და გაბრწყინებული თვალებით შორიდან გადასძახებდა ხმამაღლა:

— ალექსანდრეეე...

მეუღლეც შეეხმიანებოდა შორიდანვე:

— რა გინდა, ქალო, აქა ვარ.

— ისე დაგიძახე, — გაისმოდა ლიზას დამშვიდებული, კმაყოფილებით სავსე ხმა.

რამდენი სითბო, სიყვარული და სიმწარეც იყო ამ დიალოგში!

პარიზში გვიან დაბრუნებულს ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ეს ერთი დღე გამოვგლიჯე ემიგრანტულ ცხოვრებას და იგი საფრანგეთიდან შორს ქართლის ერთ-ერთ პატარა სოფელში გავატარე.

ლოგინში ჩაწოლილს, ჩაბნელებულ ოთახში, გვიან ჩაძინებამდე მესმოდა ყურებში სასიამოვნო ძახილი:

— ალექსანდრეეეე!

— რა გინდა, ქალო...

— ისე დაგიძახე!

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო“ № 46.

ამ დღეებში თბილისში სტუმრად იმყოფებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს წარმომადგენლები — რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ პროდიუსერი ბატონი თემურ ჯინჯიხაშვილი და ჟურნალ „ამერიკის“ სარედაქციო განყოფილების გამგე ბატონი დიკ ბეიკერი.

სტუმრები სიამოვნებით დათანხმდნენ ჩვენთან საუბარს.

●

მაშ, ასე, ჯერ ჩვენს თანამემამულეს **თემურ ჯინჯიხაშვილს** მოვუსმინოთ:

**— თბილისში დავიბადე. დავამთავრე 48-ე საშუალო სკოლა. სწავლა მოსკოვში განვაგრძე. შემდეგ კი, 70-იან წლების დასაწყისში, შტატებში, ნიუიორკს გავემგზავრე ოჯახით. თავიდან გამიჭირდა, მით უმეტეს უკვე ორი ბავშვი მყავდა, მაგრამ შემდგომში ყველაფერი კარგად აეწყო.**

— ჯინჯიხაშვილების გვარი ჩვენში ჰადრაკითაა ცნობილი...

**— დიახ, დიდოსტატ რომან ჯინჯიხაშვილის ძმა გახლავართ. ჩვენ ერთად წავედით ამერიკაში. იგი აშშ-ის მოჭადრაკეთა გუნდის მწვრთნელია. უფროსი ძმა ნოდარი ფილოსოფიის დოქტორია, ლექციებს კითხულობს ფულბრაიტის უნივერსიტეტში.**

— თქვენს საქმიანობაზე რას იტყოდით?

**— შვიდი წელიწადია ვაშინგტონში, რადიოსადგურ „ამერიკის ხმაში“ ვმუშაობ. თავიდან ქართულ რედაქციაში ვმსახურობდი, ამჟამად — რუსულში ვარ. ერთბაშად პროდიუსერიც გახლავართ, ჟურნალისტიც, თარჯიმანიც და დიქტორიც.**

**შეძლებისდაგვარად ვთანამშრომლობ „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციასთან. სხვათა შორის, მათ შეუმცირეს ეთერში გასვლის დრო და ვცდილობთ მის აღდგენას.**

**უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს ქართულმა რედაქციამ განახორციელა რამდენიმე საინტერესო რადიო-ხიდი საქართველოსთან.**

**ვცდილობთ წავახალისოთ არა მარტო ამგვარი ურთიერთობანი, არამედ ვიქონიოთ პირდაპირი კავშირებიც. ძნელია თქმა, თუ როგორ წარიმართება ჩვენი თანამშრომლობა, მაგრამ ის მაინც შეიძლება ითქვას, რომ დასაწყისი ბევრს გვპირდება. ამის ნიშანია თუნდაც ის ფაქტი, რომ ორიოდე კვირის წინათ „ამერიკის ხმის“ განყოფილების უფროსი ბატონი გერდ ფორდემინგი შეხვდა და ესაუბრა ბატონ ზვიად გამსახურდიას.**

**იქმნება პირობები დამოუკიდებელი ქართული ტელევიზიისა და რადიოს შესაქმნელად, რაც დამაიმედებელ პერსპექტივებს უქმნის ჩვენს თანამშრომლობას.**

— ხომ არ დადგა დრო, საქართველოში გაიხსნას „ამერიკის ხმის“ საკორესპონდენტო პუნქტები?

**— შარშან, პირველად „ამერიკის ხმის“ არსებობის ისტორიაში, მივაღწიეთ იმას, რომ მოსკოვში აგვეყვანა ერთი კორესპონდენტი. ამჟამად ლაპარაკია მეორე კორესპონდენტის ადგილზე.**

**ცხადია, საქართველოში არ გვყავს კორესპონდენტი, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ გვეყოლება, თუკი, რა თქმა უნდა, რაციონალურად გამოვიყენებთ ჩვენს ფინანსურ შესაძლებლობებს; საქმე ისაა, რომ ამერიკის კონგრესმა შეგვიმცირა ასიგნებანი და გარკვეულწილად ხელმოკლედ დავრჩით. თუმცა ჩვენში ოპტიმიზმი სჭარბობს ხელმოკლეობის განცდას.**

— იყო დრო, „ამერიკის ხმის“ — ე. ი. სიმართლის მოსმენისათვის ხალხს იჭერდნენ. ახლა სიტყვის თავისუფლების ისეთი დრო დაგვიდგა, მარტო „მართლის თქმით“ ველარ მიიპყრობ ყურადღებას.

როგორ ცდილობთ მსმენელთა მიზიდვას, დაინტერესებას?

**— ვამუშავებთ ისეთ მასალებს, რაც ამჟამად საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ადამიანებს აინტერესებთ — მაგალითად, ვაშუქებთ ეკონომიკის, ფერმერული ცხოვრების საკითხებს.**

**ამასთანავე, ვღებულობთ მსმენელთა წერილებს, რომლებსაც აუცილებლად ვითვალისწინებთ პროგრამების შედგენაში.**

— შარშან, აპრილის ტრაგედიის დღეებში ჩვენში „ამერიკის ხმის“ ოპერატიულობას უჩიოდნენ — ახალ ამბებს დროზე ვერ გადმოსცემენ, ან თუ გადმოსცემენ, საკ-დესის ცნობებს იმეორებენო.

**— „ამერიკის ხმა“ ის საინფორმაციო უწყებაა, რომელიც ოფიციალურად წარმოადგენს აშშ-ის მთავრობას. არსებობს კანონი, რომელიც გვიკრძალავს მასალის გადაცემას, თუ იგი სულ მცირე ორი ოფიციალური სააგენტოს მიერ მაინც არაა დადასტურებული.**

**იმ საშინელ დილას რედაქციაში ვიყავი, ვმუშაობდი. წარმოიდგინეთ ჩემი შეშფოთება და გაოგნება საზარელი ამბის შეტყობისას, გვერწმუნეთ, ჩვენს შორის არ იყო კაცი, ვინც თავდადებით არ ცდილობდა მოეპოვებინა და გადაეცა სწორი ინფორმაცია სამშობლოში მომხდარ ტრაგედიაზე.**

— ბატონო თემურ, „ლიტერატურულ საქართველოს“ თუ კითხულობენ ამერიკაში?

**— როგორ გეკადრებათ, ჩვენთვის „ლიტერატურული საქართველო“ ყველაზე პოპულარული ქართული გაზეთია. თითქმის ყველას გამოწერილი გვაქვს. მე ორმაგად მახარებს მისი წაკითხვა, ვინაიდან მასში „ამერიკის ხმის“ ინფორმაციებიც იბეჭდება.**

— ალბათ ძალზე დაგვიანებით ღებულობთ ჩვენს გაზეთს.

**— არც მაინცდამაინც დაგვიანებით, ერთ კვირაში აღწევს.**

— დაბოლოს, ბატონო თემურ, თქვენი ჩამობრძანების მიზანი...

**— იმაზე მეტი რა მიზანი უნდა მქონდეს კაცის ჩასვლას სამშობლოში, ვიდრე ნოსტალგიისა და მონატრების დაძლევის სურვილია.**

**სხვა მხრივ, წიგნების გამოფენას ვაწყობ რუსეთის რამდენიმე ქალაქში. დრო ვიხელთე და ჩამოვედი მშობლიურ თბილისში. მოვინახულე ახლობლები და მეგობრები. უქმად ყოფნა არც სამშობლოში მიყვარს — თბილისში რამდენიმე საქმიან პერსონალურ კონტაქტს მოვუხინჯე პირი.**

**ხსვათა შორის, ჩემთან ერთად ჩამობრძანდა ჟურნალ „ამერიკის“ სარედაქციო განყოფილების გამგე ბატონი დიკ ბეიკერი, რომელსაც ძალიან შეუყვარდა თბილისი. თუმცა, სჯობს თავად მოგახსენოთ.**

— გმადლობთ, ბატონო თემურ.



თემურ ჯინჯიხაშვილი

# ჩვენ იგივე ვართ — გარდაქმნა არ გვჭირდება



დიკ ბეიკერი

●

გვესაუბრება **დიკ ბეიკერი**

— ბატონო ბეიკერ, თუ შეიძლება გაეცანით „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველებს.

**— სამხრეთ კალიფორნიიდან გახლავართ. ვიმსახურე ამერიკის ავიაციაში. დავამთავრე უნივერსიტეტი. გავხდი ბაკალავრი. ოცი წელიწადია ვაშინგტონში ვცხოვრობ. რვა წელიწადს ვიმუშავე რადიოში. ბოლო ათ წელიწადს კი — ჟურნალ „ამერიკაში“.**

— საქართველოში პირველად ბრძანდებით?

**— მესამედ გახლავართ. პირველად 1978 წელს ვიყავი, მუსიკალურ ანსამბლ „რეგტაიმს“ ვახლდი; ფილარმონიაში გამოვედით.**

— საქმიანი ვიზიტი გაქვთ?

**— არა. ამჯერად ტურისტი ვარ და ესეც დიდ საქმედ მიმაჩნია.**

— როდის იქნება შესაძლებელი, რომ ჟურნალი „ამერიკა“ ისევე თავისუფლად გამოვიწეროთ, როგორც იწერენ, მაგალითად, „ოგონიოკს“ ან „მოსკოვსკიე ნოვოსტის“?

**— აგიხსნით საქმის ვითარებას და დასკვნა თვითონ გამოიტანეთ.**

**სახელმწიფოთა შეთანხმების თანახმად ჩვენი „ამერიკის“ პარალელურად აშშ-ში გამოდის საბჭოთა „სოვიეტ ლაიფი“. აუცილებლად უნდა იქნას დაცული ამ ჟურნალების ტირაჟთა თანაფარდობა.**

**სამწუხაროდ, „სოვიეტ ლაიფი“ ამერიკაში არ საღდება (ტირაჟი — დაახლოებით 40.000), რის გამოც ხელოვნურად იზღუდება ჩვენი ტირაჟი.**

**ახალი შეთანხმების შედეგად თავი დავაღწიეთ „სოვიეტ ლაიფის“ ტირაჟთან თანაფარდობის პრობლემას და მომავალ წელს ჩვენი ტირაჟი 150.000 მიაღწევს, თუმცა ესეც ზღვაში წვეთია.**

**ამასთან, ჟურნალის ერთი ეგზემპლარი ჩვენ ორი დოლარი გვიჯდება, თქვენთან კი ღირს მანეთი, რაც ჩვენთვის 30 კაპიკია.**

**ჩვენს საინფორმაციო სააგენტოს, რომელიც გამოსცემს „ამერიკას“, კონგრესმა 20 პროცენტით შეუმცირა ასიგნება.**

**ძალზე რთული და შრომატევადია ჟურნალის გამოცემის პროცესი. „ამერიკა“ ჯერ ინგლისურ ენაზე იქმნება, შემდეგ ითარგმნება რუსულ რედაქციაში. იბეჭდება მანილაში (იქ იაფი გვიჯდება ოთხ ფერში ბეჭდვა), იქიდან გემით მოაქვთ ჰამბურგში. ჰამბურგიდან კი სატვირთო მანქანით — მოსკოვში. ეს პროცესი 6-7 თვეს გრძელდება.**

**დაბოლოს, რაც უნდა გავზარდოთ ტირაჟი, „მეჟკნიგა“, ჩვენი გამავრცელებელი, ხელმოწერაზე კი არ გაუშვებს, კიოსკებს ვაუგზავნის, რადგან იქიდან მეტი მოგება რჩება.**

— პერესტროიკა რუსეთში ახალ-ახალ სტადიებს აღწევს. ამ პროცესის პარალელურად ხომ არ იცვლება თქვენი ჟურნალის თემატიკა და განწყობილება?

**— ჩვენ არ გვესაჭიროება გარდაქმნა. რაც ვიყავით, იგივე ვრჩებით, ისევე ავსახავთ ამერიკის ცხოვრებას, როგორც პერესტროიკამდე ავსახავდით. მცირე ნიუანსობრივი სიახლე კი ის გახლავთ, რომ ამჯერად ცოტა უფრო მეტს ვწერთ ეკონომიკის, ბიზნესის სპეციფიკურ საკითხებზე.**

— ბატონო დიკ, გულახდილად გვითხარით, როდის და როგორ შეიტყეთ, რომ არსებობს ქვეყანა, რომელსაც საქართველო ჰქვია?

**— ჩვენდა სათაკილოდ, ამერიკელებმა ცოტა რამ ვიცით სხვა ქვეყნების შესახებ. [illegible] გამოცხადების შემდეგ რიგითმა ამერიკელებმა უკვე იციან, რომ საბჭოთა კავშირში 15 რესპუბლიკაა, რომ ეს რესპუბლიკები რუსებმა ძალით შეჰკრა და ა. შ.**

**რაც შეეხება კითხვას, მართალი გითხრათ, აღარ მახსოვს, ალბათ ეს სტალინის სახელს უკავშირდებოდა...**

— თქვენს წარმოდგენაში, ერთი შეხედვით, ქართველი ტიპიური „საბჭოთა ადამიანია“ თუ სხვა ვინმე?

**— ოჰ, რას ბრძანებთ! ასეთ თბილ, ხალისიან, კაცთმოყვარე ადამიანებში ამერიკელი „საბჭოთას“ ვერაფერს შენიშნავს.**

— ნება მომეცით, ასეთი რამ გკითხოთ: ვიცით, რომ დასავლეთში პრეზიდენტი გორბაჩოვი უყვართ;

საქართველოში — არ უყვართ.

ეს ამბავი რომ გაიგოს დასავლეთის რიგითმა მოქალაქემ, ქართველებს შეიძულებს თუ დაიწყებს გამორკვევას, რატომ არ უყვართ მისთვის საყვარელი ადამიანი?

**— ჩვენ გორბაჩოვი გვიყვარს, რადგან მან დაიწყო პერესტროიკა, გაათავისუფლა აღმოსავლეთი ევროპა და ა. შ.**

**ისიც ვიცით, თქვენ რატომ არ გიყვართ — ცუდი ცხოვრება გაქვთ. ასეთ შემთხვევაში ამერიკელები გადაარჩევდნენ თავიანთ პრეზიდენტს.**

**არა, ჩვენ არ შევიძულებთ იმისათვის, რომ თქვენ არ გიყვართ ის, ვინც ჩვენ გვიყვარს.**

— როგორ გგონიათ, შეიძლება, რომ ოდესმე ჟურნალი „ამერიკა“ ქართულ ენაზედაც დაიბეჭდოს?

**— რომ გათავისუფლდებით, მერე „ამერიკა“ თუ არა, რაღაც ჟურნალი მაინც უნდა დავბეჭდოთ ამერიკელებმა საქართველოსთვის.**

— რა ადგილი უკავია მხატვრულ ლიტერატურას თქვენს ჟურნალში?

**— ყოველ ნომერში ვბეჭდავთ ლექსს, მოთხრობას ან ნაწყვეტს რომანიდან. სხვათა შორის, მასალას ვარჩევთ არა საბჭოთა მკითხველის გემოვნების გათვალისწინებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოსწონთ ამერიკელებს. ჩვენი მიზანი ხომ მხოლოდ ამერიკული სინამდვილის ჩვენებაა. თქვენი გაზეთიც ალბათ ასე არჩევს მასალას — რაც საქართველოში მოსწონთ.**

— რა თქმა უნდა; მაგრამ, „სამწუხაროდ“, ამჯერად წესს ვუღალატებთ: დავბეჭდავთ ისეთ ინტერვიუს დიკ ბეიკერთან და თემურ ჯინჯიხაშვილთან, რომ მხოლოდ საქართველოში კი არა, ამერიკაშიც მოეწონებათ.

**— მართლაც, ძალზე საინტერესო სანახავი იქნება — უცხო, უცნაურ ქართულ ასოებს შორის ჩამჯდარი დიკ ბეიკერის პორტრეტი. ბატონი თემური წამიკითხავს, აუცილებლად გამოგვიგზავნეთ...**

— „ლიტერატურული საქართველო“!

**— დიახ, „ლიტერარი ჯორჯია“.**

ესაუბრა
**ივანე ამირხანაშვილი**

## შემოქმედებითი კოლექტივის დეპარტიზაცია

ბათუმში, საქართველოს მწერალთა აჭარის ორგანიზაციაში შედგა [illegible] პარტიის პირველადი ორგანიზაციის კრება.

კრებამ მწერალთა უმრავლესობის მოთხოვნით, ქართველ მწერალთა აჭარის ორგანიზაციასთან, ამ[illegible]იდან პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა ჩათვალა შეუფერებლად და იგი გაუქმდა.

ჩვენ ყველანი სულით და გულით მივესალმებით ამ დროულ გადაწყვეტილებას, რადგანაც იგი ახალ ასპარეზს გაუხსნის თვითეულ ჩვენგანს და ჩვენი სამწერლო შემოქმედება, ჩვენი ნიჭი და უნარი მთელი ეროვნული შემართებით, თავისუფლების ბედნიერი შეგრძნებით, მართლაც მშობელი ხალხის სამსახურში ჩადგება.

**ფრიდონ ხალვაში**

## ფასი არ მაშინებს

„ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველი ვარ აგერ 5-6 წელია. მე ფასი არ მაშინებს — ყოველწლიურად მრავალ გაზეთს ვიწერდი. წელსაც პირველ რიგში „ლიტერატურული საქართველო“ გამოვიწერე. ოღონდ კარგი იქნებოდა ორ-სამ თვეში ერთხელ რაიონებს თუ ესტუმრებოდით რედაქციის თანამშრომლები, ჩვენი ჭირ-ვარამის უკეთ გაცნობასთან ერთად იმასაც შეამოწმებდით, თუ როგორ მიდის მკითხველამდე გაზეთი. მარტო მე თქვენი გაზეთის 13 ნომერი დამაკლეს. ვითომ საფოსტო მომსახურების ხარჯის გაზრდა ამ საქმეს უშველის? ღმერთმა ქნას, კაცი იმედით ცოცხლობს.

**ივლიანე ბრძოლიძე**

ქ. ბაღდათი

# კავკასია—საერთო სახლი

კავკასიის საერთო სახლის შექმნა ჭერჭერობით მომავლის საქმეა. თანამედროვე ეტაპზე მას მრავალი სოციალურ-პოლიტიკური წინააღმდეგობა ხვდება. კავკასიის ხალხთა პროგრესული ძალები კი ცდილობენ გამონახონ საერთო ინტერესები, პრობლემები, რომლებიც მათ გააერთიანებთ დღევანდელ რთულ და დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში. სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნება საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც აპრილის შუა რიცხვებში მოეწყობა. კონფერენციისათვის მზადების ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენდა 17 და 18 ნოემბერს თბილისის ჟურნალისტთა სახლში ჩატარებული შეხვედრა ჟურნალისტებს, სახალხო დეპუტატებსა და მეცნიერებს შორის. შეხვედრის მოწყობის ინიციატორი გახლდათ საქართველოს მწვანეთა პარტია. სხდომას ესწრებოდნენ დეპუტატები, ჟურნალისტები და ეკოლოგები კავკასიის თითქმის ყველა რეგიონიდან.

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის თავმჯდომარის, ბატონ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის წინადადებით, შეხვედრის მონაწილეთა სახელით მილოცვა გაეგზავნა საქართველოს ახლადარჩეულ პარლამენტსა და მის თავმჯდომარეს.

შეკრებილთ მიესალმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ნემო ბურჭულაძე. მან აღნიშნა, რომ კავკასიის მთლიანობა და ჰარმონია ღვთისგან არის შექმნილი და მის დასარღვევად კაცთა ჩარევა კატასტროფას გამოიწვევს. რაც შეეხება მწვანეთა მოძრაობას, ქვეყნებში, რომლებიც სწორი გზით ვითარდებოდნენ, იგი დიდი ხნის წინათ დაიწყო და სასიამოვნოა, რომ ჩვენშიც უკვე მიაქციეს ყურადღება გარემოს დაცვის საკითხებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებას, თუ არ გვეყოლება ჯანსაღი მომავალი.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ეკოლოგიური ასოციაციის თავმჯდომარის — აკადემიკოს გივი თუმანიშვილის გამოსვლაში გამოიკვეთა დღევანდელი შეკრების მთავარი მიზანი: — კავკასიის ხალხებს შორის, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, შეიძლება მოინახოს ისეთი პრობლემები, რომლებიც ერთი აზრისა და საქმის ირგვლივ დარაზმავს მათ. ეს გახლავთ, პირველ რიგში, ეკოლოგია, გარემოს დაცვა. კავკასია ერთი გეოგრაფიული რეგიონია და მისი ბუნების დასაცავად ყველამ ერთად თუ არ ვიზრუნეთ, მოსალოდნელია გარდუვალი კატასტროფა. ამისათვის საჭიროა ჩვენშიც მომზადდეს სპეციალისტ-ეკოლოგი-მენეჯერი, რომელიც მოაწესრიგებს ურთიერთობას გარემოსა და ადამიანის მოღვაწეობას შორის.

როგორც საქართველოს მწვანეთა პარტიის სპიკერმა — ზურაბ ჟვანიამ აღნიშნა, ამ ეტაპზე კავკასიის ხალხებს შეუძლიათ სამი თვალსაზრისით გააერთიანონ თავიანთი ინტერესები და ძალები: 1. უნდა შეიქმნას საერთო კავკასიური ეკოლოგიური სისტემა; 2. ეკონომიკური ინტეგრაცია. ამიერკავკასიის რესპუბლიკებს აქვთ ურთიერთშემავსებელი ბუნებრივი რესურსები. ისინი, პირველ რიგში, უნდა გადანაწილდეს ერთმანეთში, კავკასიის სახელმწიფოებს შორის; 3. კულტურული ურთიერთობანი. კულტურული გათიშულობა ხშირად ხდება მიზეზი ერთაშორისი წინააღმდეგობებისა და შუღლის.

მოწვეულმა სპეციალისტებმა, ჟურნალისტებმა და დეპუტატებმა ისაუბრეს თავიანთ ამოცანებზე, თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებაზე ამიერკავკასიაში და ეკოლოგიაზე. მიმდინარე შეხვედრა სწორედ ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის საკითხების გაშუქებას ეძღვნებოდა. განიხილეს პროექტი საერთაშორისო შეთანხმებისა, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ეკოლოგიური კატასტროფების თავიდან აცილების და ეკოლოგიურ უბედურებათა ზონების აღორძინების დარგში. მიიღეს შესაბამისი დოკუმენტები.

ზემოდასახელებული საკითხების მოგვარებაში დიდია ინფორმაციის საშუალებათა როლი. მათ მიერ მოვლენების სწორ და დროულ გაშუქებას მრავალი ეკოლოგიური, პოლიტიკური თუ სოციალური პრობლემის თავიდან აცილება შეუძლია. ამიტომ, დაისვა კავკასიის რეგიონისათვის ერთიანი საინფორმაციო ცენტრის შექმნისა და გაზეთის გამოშვების საკითხი.

შეხვედრის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს შემდეგ განცხადებას:

„ჩვენ, ეკოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილი შეხვედრის მონაწილეები, რომელიც მიმდინარეობდა 1990 წლის 17 და 18 ნოემბერს დევიზით — „კავკასია — ჩვენი საერთო სახლი“, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ბოლო სესიაზე სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. ს. გორბაჩოვის იმ გამოსვლასთან დაკავშირებით, რომელშიც მან განაცხადა, რომ უკვე იღებს „ინფორმაციას საქართველოდან, თუ როგორი აღელვება გამოიწვია იქ, როცა განაცხადეს, რომ წყდება საუკუნეებით დამყარებული კავშირები“, ჩვენს მოვალეობად მივიჩნევთ, მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადოთ, რომ არავითარი მღელვარება არ შეგვინიშნავს. უფრო მეტიც, მოსახლეობამ დიდად მოიწონა საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ კანონის მიღება. ამიტომ პრეზიდენტის ასეთი განცხადება ჩვენს გაკვირვებას იწვევს. ხომ არ არის ეს დაგეგმილი მღელვარების წარმოქმნის მაუწყებელი?“

მაია ქერქაძე



მხედრები. ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

# დასაწყისის ფინალი



ჩავატართ თუ არა ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი — იყო დიდი დავა-კამათი ამ გაზაფხულზე. კამათობდა ყველა, დიდი თუ პატარა, სპეციალისტი თუ დილეტანტი, გულშემატკივარი თუ ფეხბურთისადმი გულგრილად განწყობილი. ყველას ჰქონდა თავისი არგუმენტი, თავისი მოსაზრება. ყველა თავის თავთან მართალი და გულწრფელი იყო, მაგრამ თქმულა, ჭეშმარიტება მხოლოდ ერთიაო. და ეს ჭეშმარიტება აუცილებლად უნდა გამოჩენილიყო, უნდა დადასტურებულიყო, რათა ადამიანთა თვალში გაერჩია ტყუილი და მართალი, თეთრი და შავი, ანუ, ხატოვნად რომ ვთქვათ, იფქლი და ღვარძლი.

ეს დღეც დადგა.

ან უფრო სწორად, კი არ დადგა, ჩვენ დავაყენეთ, ჩვენ, — ვინც ვკამათობდით, ვინც ვმსჯელობდით, ვინც ვთამაშობდით, ვინც ვუყურებდით.

ჩვენ, ყველამ ერთად შევქმენით საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში.

და ყველა ერთად მოწმეც ვიყავით ამ ჩემპიონატის გვირგვინისა — 18 ნოემბერს საქართველოს ეროვნული თასისათვის ბრძოლაში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ „გურია“ და „ცხუმი“, — სპორტისა და ქვეყნის ერთგულებისათვის ანთებულ ჭაბუკთა ორი გუნდი, ორი მშვენიერი და ძვირფასი ქართული სახელი.

120 წუთის მანძილზე 30 ათასი გულშემატკივარი ალტაცებით შეჰყურებდა რაინდთა თავდადებულ, პატიოსან ორთაბრძოლას.

ამ ასოცმა წუთმა ბევრი რამ დაამტკიცა, და მათ შორის ის, რომ ქართულმა ფეხბურთმა საბოლოოდ მოაცილა მზერა იმპერიის ჩემპიონატს და მტკიცედ დაადგა თავის გზას, ძნელს, მაგრამ საამაყოს და სანუკვარს.

ორთაბრძოლაში „გურიამ“ გაიმარჯვა. თუმცა, ეს იმდენად მშვენიერი დღე იყო, გამარჯვება ყველას ეკუთვნის — ორთაბრძოლის მონაწილეებსაც, მაყურებლებსაც...

18 ნოემბრის ფინალით დაიწყო ეროვნული ჩემპიონატების ისტორია.

მიმომხილველი





„ლიტერატურული საქართველოს“ №45-ში (9. XI) დაიბეჭდა ლადო სულაბერიძის წერილი „უშველეთ მომავალ თაობებს!“ —რომელშიც კრიტიკულად იყო შეფასებული საშუალო სკოლის სახელმძღვანელოები — „მოთხრობები სსრ კავშირის ისტორიიდან“ და „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები“.

სახალხო განათლების სამინისტროდან გვაცნობეს, რომ მინისტრის № 127-ე და 386-ე ბრძანებების საფუძველზე ეს სახელმძღვანელოები ამოღებულია სასწავლო პროგრამებიდან.

გაზეთი დაკაბადონდა 21 ნოემბერს.


მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე.

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე,

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი ანდრო ბედუკაძე.





რედაქციის მისამართი:
380005, თბილისი,
გუდიაშვილის
მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-03-65. 95-86-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკეობით